"ედპ-ტრადიციონალისტების" ოპტიმიზმი შინაგანი პესიმიზმის ფონზე A2

შემდეგი - განათლების ყოფილი მინისტრი A7

გულახდილად B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — შაბათი, 27 მარტი, 2004 წელი. №73 (622) — ფასი 50 თეთრი

## აფხაზების მიერ გატაცებული დავით ბაძაღუა გაათავისუფლეს

27 იანვარს სოფელ ორსანტიადან გატაცებული, არასამთავრობო ორგანიზაცია "ქართველ ხელოვანთა კავშირის" თავმჯდომარე დავით ბაძაღუა აფხაზმა ბოევიკებმა გალის რაიონის სოფელ სიდის ტერიტორიაზე გაათავისუფლეს.

გატაცების შემდეგ სამართალდამცველების ინფორმაციით, არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერი აფხაზმა ბოევიკებმა გაიტაცეს და გალის ტერიტორიაზე იმყოფება. ქართველ სამართალდამცველთა ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფდა აფხაზური მხარე. არადა, როგორც სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლები ირწმუნებოდნენ, დავით ბაძაღუა ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილმა და რუსულ "კამუფლიაჟში" გამოწყობილმა ხუთმა ბოევიკმა გაიტაცა. ამის თქმის საფუძველს სამართალდამცველებს გატაცებისას დავით ბაძაღუასთან ერთად მყოფი მოწმის, თემურ ქორთუას ჩვენება აძლევდათ. საქმე ისაა, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია "ქართველ ხელოვანთა კავშირმა" აფხაზურ მხარესთან შეთანხმებით მოაწყო აქცია - დავით ბაძაღუამ და თემურ ქორთუამ გალში მცხოვრებ ქართველ ბავშვებს ქართული წიგნები დაურიგეს, რის შემდეგაც ბაძაღუა გაიტაცეს.

ჯერჯერობით დაუდგენელია, ვინ გაიტაცა დავით ბაძაღუა. გალის პოლიციის უფროსი თენგიზ ძაძუა არ საუბრობს მისი წამების ან შეურაცხყოფის თაობაზე. დაუდგენელია ისიც, თუ რა პირობით მოხდა მისი გათავისუფლება. ძაძუას თქმით, ეს ყველაფერი გაირკვევა მას შემდეგ, რაც დავით ბაძაღუას ოფიციალურად დაკითხავენ.

ჯერჯერობით, არც ბაძაღუა აკონკრეტებს გამტაცებელთა და იმ გავლენიან პირთა ვინაობას, რომლებიც, სავარაუდოდ, გათავისუფლებაში მონაწილეობდნენ.

*24 საათი*

### ეკონომიკა

## იტალიელი ინვესტორი რუსთავიდან წავიდა, რა იქნება შემდეგ?

რუსთავის მეტალურგიული კომბინატის იტალიელმა ინვესტორებმა ქარხნიდან წასვლის თაობაზე განცხადება გააკეთეს.

A4

### საზოგადოება

## დარაჯის ჯიხურში ბუფეტი აღარ იქნება

თურმე შეიძლება, XXI საუკუნეში ევროპული ქვეყნის დედაქალაქში სასკოლო ბუფეტი დარაჯის ჯიხურში ფუნქციონირებდეს, შეშის ღუმელი საკლასო ოთახებში კვამლს აყენებდეს, დამსკდარი მილები ტუალეტებში - ტბორებს, სასაპნეები ცარიელი იყოს, ფიზკულტურის გაკვეთილები კი იმ მიზეზით არ ტარდებოდეს, რომ სპორტული დარბაზი მეოთხე სართულზეა და შენობა დატვირთვას ვერ გაუძლებს. ყველაფერი ეს თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში ხდება.

A6

### ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 21 |
| ქუთაისი | 22 |
| ბათუმი | 22 |
| სოხუმი | 19 |
| ფოთი | 22 |
| თელავი | 20 |
| ზუგდიდი | 22 |
| გორი | 18 |
| ახმეტა | 20 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.0000 |
| ევრო | 2.4240 |
| გირვანქა სტერლ. | 3.6090 |
| რუბლი | 0.0702 |

# პრეზიდენტის მიმართვა ქართველ ხალხს

მინდა მოგმართოთ კვირას დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით. ვფიქრობ, ხვალ მოფიქრების დღეა, ამიტომ გადავწყვიტე მივმართო ჩვენს ხალხს პარასკევ საღამოს.

ვფიქრობ, ჩვენმა ქვეყანამ დიდი დრო და დიდი გზა განვლო ნოემბრის მოვლენების შემდეგ. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ბოლო ორი თვის განმავლობაში, საქართველოში მოხდა მართლაც სერიოზული შემობრუნება. ვფიქრობ, პირველად საქართველოში გაჩნდა ხელისუფლება, რომელმაც თითოეული მოქალაქის ინტერესი დააყენა უფრო მაღლა, ვიდრე საკუთარი გამორჩენა. პირველად გაჩნდა ტენდენცია, რომ ნებისმიერ ადამიანს მოვეპყროთ პატივისცემით, ნებისმიერი ადამიანი ჩავრთოთ ქვეყნის მშენებლობაში; თითოეულმა ადამიანმა იგრძნოს, რომ კანონი არის არა მარტო რჩეულთათვის, არამედ კანონი იცავს მათ, სახელმწიფო აპარატი იცავს მათ. ყველა მოხელემ დაინახა, რომ მთავარი, რაც მას მოეთხოვება, არის პატიოსანი, კეთილსინდისიერი მუშაობა და ჩვენ არ მოვითმენთ კორუმპირებულებს, არ მოვითმენთ ჩვენი მოქალაქეების დამცირებას.

გაგრძელება A8 გვერდზე




პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

# მარჯვნივ, მარცხნივ, თუ პირდაპირ
## პოლიტიკური სპექტრის იდეოლოგიური მოზაიკა

*ქართულ პოლიტიკურ სპექტრს ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი იმ დრომდე, როდესაც ქართული პარტიების მემარჯვენე-მემარცხენეებად დაყოფა აზრს მოკლებული აღარ იქნება. დღეს სხვაგვარი დიქოტომია უფრო მართებულია - ერთი პროგრესული ძალა ბევრი ჩამორჩენილის წინააღმდეგ.*

გიორგი ხელაშვილი

საზოგადოების დიდი ნაწილი, ალბათ, დაეთანხმება მოსაზრებას, რომ ცივილიზებული სახელმწიფოს შესაქმნელად საქართველოს მთავრობამ და ხალხმა სერიოზული და რადიკალური რეფორმები უნდა განახორციელოს. უდავოა ისიც, რომ ამგვარ რეფორმებს კონსერვატორები ვერ გაუძლებიან, რადგან ისინი ცვლილებებს ყველაზე მეტად უფრთხიან. მაშასადამე, რეფორმებს სათავეში არა კონსერვატიული, არამედ პროგრესული პოლიტიკური ძალა უნდა ჩაუდგეს. ამგვარი ძალა ხვალ ჩვენ უნდა ავირჩიოთ.

რომელი პოლიტიკური ძალაა "პროგრესული" და, შესაბამისად, ვისი მხარდაჭერისკენ უნდა მოვუწოდოთ მოსახლეობას?

დღევანდელი პოლიტიკური სპექტრი თეორიულად "პროგრესული" პარტიების დიდ არჩევანს გვთავაზობს - ამა თუ იმ კონკრეტული ისტორიული ვითარებიდან გამომდინარე, პროგრესულად შეიძლება

გაგრძელება A8 გვერდზე

# დღე, რომელსაც მოესწრო

მაია ქალაგანიძე

*82 წლის ზეინაბ კედია-ზურაბიშვილს რომ მოუსმენთ, მიხვდებით - ემიგრაციაში სხვანაირად უყვარდათ საქართველო, უფრო სუფთად და ამაღლებულად. ასე იზრდებოდა ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი. ოჯახში ფრანგული სიტყვისთვის ჯარიმდებოდნენ. ქალბატონ ზეინაბის დედამ, თავართქილაძის ქალმა, ფრანგული არ იცოდა... ხუმრობით, მას ჯარიმა გურულ სიტყვაზე დაუწესეს...*

- ეს არის მთელი ცხოვრების იმედების და სურვილების აღსრულება, მაგრამ ნამდვილად არ მეგონა, რომ ჩემი ქალიშვილი აქამდე მოვიდოდა. საქართველოში ელჩობაც დიდი ბედნიერება იყო. საგარეო საქმეთა მინისტრობა საერთოდ წარმოუდგენელი რამ არის... თუმცა, ჩვენს ოჯახში ყველას სულითა და გულით სურდა, საქართველოსთვის რაღაც გაეკეთებინა. მუდამ ასე იყო - ჩვენი მშობლები, ჩემი ძმა, ჩემი მეუღლე, ვაჟი ოთარი - ყველას ერთი სურვილი გვკლავდა - როგორმე საქართველოსთვის გვეშველა.

გაგრძელება B1 გვერდზე



ზეინაბ კედია-ზურაბიშვილი

ლევან ხერხეულიძის ფოტო

# საქართველოს ვარდების რევოლუცია: ექლებისგან გათავისუფლება

ზეინო ბარანი
საერთაშორისო უსაფრთხოებისა და ენერგეტიკის პროგრამების ხელმძღვანელი, ნიქსონის ცენტრი

მოვლენებს, რომელიც საქართველოში მომავალი კვირების განმავლობაში განვითარდება, მნიშვნელოვანი გავლენა ექნება კავკასიის მთელ რეგიონსა და აშშ-რუსეთის ურთიერთობებზე. 28 მარტს საპარლამენტო არჩევნები შედგება. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ბოლოდროინდელი კრიზისი პირდაპირ უკავშირდება პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სურვილს, ჩაატაროს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები და აჭარის ლიდერის, ასლან აბაშიძის ძალისხმევას, გააყალბოს შედეგები.

იმის შესაფასებლად, თუ რის ირგვლივ მიდის დავა, "ვარდების რევოლუციის" წინა პერიოდი უნდა გავიხსენოთ. მე 2003 წლის ნოემბრის არჩევნებზე დამკვირვებელი ვიყავი და საკუთარი თვალით ვნახე, თუ როგორ განაპირობა აბაშიძის ნაბიჯებმა წინა მთავრობის კრახი. არჩევნები ყველაზე მეტად აჭარაში გაყალბდა, თან ისე ძლიერ, რომ პარლამენტში აბაშიძეს ყველაზე გავლენიანი პარტია ჰყოლოდა, რათა 2005 წელს პრეზიდენტად საკუთარი თავის არჩევა უზრუნველეყო.

გაგრძელება A5 გვერდზე

## იორში წინასაარჩევნო ვითარებას გაუმჯობესებულად მიიჩნევს

ლელა მჭედლიძე

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მისამართით ტკბილ სიტყვებს მათიას იორში ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნების დროს არ იშურებდა. იორში ახლა უფრო კმაყოფილი ჩანს. **"არჩევნების ადმინისტრირების თვალსაზრისით, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობაში დიდი პროგრესი იგრძნობა... თავის მხრივ, ევროპის საბჭო მონდომებულია, მომავალშიც დაეხმაროს ცესკო-ს ხელმძღვანელობას საარჩევნო ადმინისტრაციების და, საერთოდ, საარჩევნო გარემოს კიდევ უფრო დახვეწაში,"** -განაცხადა მათიას იორშმა ზურაბ ჭიაბერაშვილთან შეხვედრის შემდეგ.

გარკვეული წინსვლა იორშმა აჭარაშიც დააფიქსირა, განსაკუთრებით - ამომრჩეველთა რეგისტრაციის თვალსაზრისით, მაგრამ

გაგრძელება A2 გვერდზე

## ბათუმელ მაღალჩინოსანთა დავალება შეუსრულებელი დარჩა

უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე თბილისში, ერთ-ერთ სახლში დააკავეს წარსულში რამდენჯერმე ნასამართლევი, ბათუმელი ლერი ბერიძე, მეტსახელად "ქილერი". ბერიძე ამჟამად უშიშროების სამინისტროს წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფება და მას ბრალი ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შენახვაში ედება. თუმცა, სამართალდამცველების ვარაუდით, ბერიძე უფრო მძიმე დანაშაულშია ეჭვმიტანილი. კერძოდ, უშიშროების მინისტრის მოადგილის გიგი უგულავას განცხადებით, მას დავალებული ჰქონდა აჭარაში ოპოზიციური მოძრაობის ლიდერების - ედვარდ სურმანიძის, კობა ხაბაზის და რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარის ლევან ვარშალომიძის ლიკვიდაცია. ჩვენი ინფორმაციით, აღნიშნულ დანაშაულთან დაკავშირებით, უშიშროების სამინისტროს, ოპერატიული ინფორმაციის გარდა, კონკრეტული მტკიცებულებებიც გააჩნია. სამართალდამცველთა ინფორმაციით, ბერიძე თბილისში სწორედ აღნიშნული დავალების შესასრულებლად ჩამოვიდა. ამასთან გამოძიება ფლობს ინფორმაციას დანაშაულის დამკვეთების შესახებაც. გიგი უგულავას თქმით, ლერი ბერიძე აჭარის ხელისუფლების ზოგიერთი მაღალჩინოსნის, კერძოდ, სოსო და სერგო გოგიტიძეების დავალებას ასრულებდა.

გაგრძელება A7 გვერდზე

## ყაჩაღი მმართველების ტოპ-ათეული

მაია ურუშაძე

*განვითარებადი ქვეყნების ჩინოვნიკებმა მაფიოზური ფულის კეთებაში ალ კაპონეს გადააჭარბეს. მათ ტოლს არც ქართველი "მაფიოზები" უდებენ.*

"არალეგალური" ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კრიმინალური სახე ალ კაპონე წლიურად 60 მილიონ დოლარს აკეთებდა. უკრაინის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა პაველ ლაზარენკომ კი თავისი ორწლიანი პრემიერ-მინისტრობისას 114-დან 200 მილიონ დოლარამდე დააგროვა და მსოფლიოს "კანონიერი ყაჩაღების" ტოპ-ათეულში მეორე ადგილიც მოიპოვა.

გამაოგნებელია ამ ტოპ-ათეულის ლიდერის ინდონეზიის ყოფილი პრეზიდენტის მოჰამედ სუხარტოს შემოსავლები. როგორც ირკვევა, თავისი "ტკბილი პრეზიდენტობისას" მან 15-დან 35 მილიარდამდე დოლარი "იშოვა". საშუალოდ, მისი წლიური შემოსავალი, თურმე 0,5-დან 1 მილიარდ დოლარამდე მერყეობდა.

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ამბები | A3 რეკლამა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 პოლიტიკა | A7 სამართალი | A8 არჩევნები

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 კვირა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## "ედპ-ტრადიციონალისტების" ოპტიმიზმი შინაგანი პესიმიზმის ფონზე



*ეს ბლოკის მხარდამჭერთა ადგილებია.*

ამა თუ იმ პარტიის სიძლიერის გასაგებად სოციოლოგიური კვლევების ჩატარება საჭირო არ არის. ამისთვის საკმარისია შეიტყოთ, სად ატარებს ის წინასაარჩევნო ფორუმს - სპორტის სასახლის 12 ათასკაციანი დარბაზის მთლიანად შევსება მხოლოდ ორიოდ ძლიერ პარტიას ხელეწიფება, საშუალო დონის პოლიტიკური ორგანიზაციები ფილარმონიის (ორიათასამდე ადგილი) შეკრებას ამჯობინებენ, უფრო სუსტები კი რკინიგზელთა კულტურის სახლს ან კიდევ უფრო ნაკლებ ტევადობის დარბაზებს ქირაობენ.

საკმაოდ დიდი ამბიციების მქონე "ედპ-ტრადიციონალისტებმა" გუშინ არ გარისკეს, სპორტის სასახლეს არ ნაჯახობინენ და თავიანთი აქტივისტებთან შეხვედრა ფილარმონიაში გამართეს. სწორადაც მოიქციენ - აკაკი ასათიანისა და ბაჩუკი ქარდავას მხარდამჭერებმა მთლიანად მისი "ათვისება" კი ვერ მოახერხეს. არადა, როდესაც საპარლამენტო არჩევნებში, მინიმუმ, 10 პროცენტის მოგროვებაზე გაქვს პრეტენზია, წინასაარჩევნო გენერალურ რეპეტიციაზე ორი ათასი მხარდამჭერის მოყვანა პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს.

ეტყობა, დარბაზის შევსების უსახური სურვილი იყო იმის მიზეზი, რომ შეხვედრის დაწყება ნახევარი საათით დაგვიანდა. როდესაც საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ ცარიელი სკამები მაინც ბლომად დარჩებოდა, "ედპ-ტრადიციონალისტების" ლიდერებმა სცენაზე აბრძანება ინებეს. თუმცა, აკაკი ასათიანს და მის თანამებრძოლებს იმედი მაინც არ გაუტეხიათ და საკმაოდ რიხიანი განცხადებები გააკეთეს.

**"შვიდპროცენტიან ბარიერს გადავლახავთ და პარლამენტში აუცილებლად შევალთ"**, - საკუთარ თავს და თანაპარტიელებს ამხნევებდა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი მელაშვილი.

**"ჩვენთვის შვიდპროცენტიანი ბარიერი არ არსებობს"**, - იმეორებდა ბაჩუკი ქარდავა, რომელმაც, ამავე დროს, სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ სხვადასხვა სოციოლოგიური ჯგუფები (?!) პარტიების რეიტინგს არასწორად წარმოაჩენენ.

28 მარტის საპარლამენტო არჩევნებს გუბაზ სანიკიძე მესამე მსოფლიო ომად მიიჩნევს და დარბაზში მყოფ აქტივისტებს სიმტკიცის გამოჩენისაკენ მოუწოდებდა.

**"თითოეულ თქვენგანს 28-ში ბრძოლის ველზე საკუთარი ადგილი ექნება და ეს ადგილი მან ბოლომდე უნდა დაიცვას"**, - მთავარსარდლობდა საპარლამენტო ფრაქცია "ტრადიციონალისტების" თავმჯდომარე.

მიუხედავად იმისა, რომ ალიანსის ხელმძღვანელები ოპტიმისტურ ლოზუნგებს გუშინ უხვად აფრქვევდნენ, მაინც იგრძნობოდა, რომ "დაგეგმილი" წარმატებისა თავადაც არ სჯერათ. ამიტომ, არჩევნებში დამარცხების შემთხვევაში თავის გასამართლებელი არგუმენტების მოძიება გუშივე დაიწყო.

**"ხელისუფლება არჩევნებს ტოტალურად გააყალბებს"**, - ბაჩუკი ქარდავას მიერ ნათქვამ ამ ფრაზას "ედპ-ტრადიციონალისტები" 28 მარტის შემდეგაც, ალბათ, კიდევ არაერთხელ გაიმეორებენ: საკუთარი სისუსტის აღიარებაზე იოლი ხომ სხვების სიცუდეზე ლაპარაკია.

ორიგინალობით არც ბლოკის ლიდერის აკაკი ასათიანის სეფე-სიტყვა ყოფილა გამორჩეული. სხვა გამომსვლელების მსგავსად, ისიც, ძირითადად, ხელისუფლების დამღუპველ კურსზე საუბრობდა და ცდილობდა, შევარდნაძის თორმეტწლიანი მმართველობის ნაკლოვანებები ვარდების რევოლუციის ლიდერთა საქმიანობასთან დაეკავშირებინა.

ორიგინალური, ალბათ, უფრო ის იყო, რომ "ედპ-ტრადიციონალისტებს" ამომრჩევლებთან შეხვედრის განმავლობაში თავიანთი საარჩევნო პროგრამა ერთი სიტყვითაც არ უხსენებიათ, არ უთქვამთ, რას ჰპირდებიან საკუთარ მხარდამჭერებსა და, საერთოდ, საზოგადოებას.

აკაკი ასათიანის ბანაკის წარმომადგენელთა მიერ მომავლის ხედვას ერთ-ერთი გამომსვლელის ქადილში თუ ამოიკითხავდით: **"ერთხელაც იქნება, ჩავიბარებთ ხელისუფლებას და მაშინ, უჯიშოებსა და ურჯულოებს არ მივცემთ საშუალებას, ქვეყანა სხვადასხვა საერთაშორისო აფერისტებს ანაცვალონ".**

*გიორგი ასანიშვილი*

## "ვარდები ტანკებად გადაიქცა"

*პიკეტი მოსკოვში საქართველოს საელჩოს წინ*

რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის აქტივისტებმა მოსკოვში, საქართველოს საელჩოს წინ, პიკეტი გამართეს. "ხელები შორს აჭარისაგან", "ვარდები ტანკებად გადაიქცა", "ხიშტებით დემოკრატიას ვერ დაამყარებ" - ამ შინაარსის ლოზუნგებით მოსული სულ 12 ჟირინოვსკელი, პარტიის ლურჯი დროშებით ხელში, ნახევარი საათის განმავლობაში მიტინგობდა ქართული დიპმისიის წინ.

საელჩოს შენობას მილიციის გაძლიერებული რაზმი იცავდა. უბრალო გამვლელები პიკეტს უერთდებოდნენ, სიტყვას ითხოვდნენ. მაგალითად, ერთმა ქალბატონმა, ექიმი ვარო, განაცხადა და გაიხსენა, როგორ გააუპატიურეს რუსი ტურისტი გოგონები საქართველოში ათი წლის წინათ.

ჟირინოვსკის პარტიის ორგანიზაციულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ანდრეი ოსტალსტკიმ ჩვენთან საუბარში განაცხადა: **"ვაპროტესტებთ საქართველოს ხელისუფლებაში მოსული რეაქციული სამეულის მოქმედებებს აჭარის დღევანდელი ლიდერის წინააღმდეგ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ერთადერთი რეგიონია, სადაც რუსეთის მიმართ ნორმალური დამოკიდებულებაა, სადაც რუსებს არ სცემენ. ჩვენ მხარს ვუჭერთ ასლან აბაშიძეს და გვინდა, რომ ქართველმა ხალხმა იგი პრეზიდენტად აირჩიოს."**

ჟირინოვსკის მოადგილემ ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდის დარგში, ამხანაგმა სლავა გრომოვმა, ცოტა არ იყოს, "აურია": **"პიკეტის მიზანია, აიძულოს სააკაშვილი, აჭარის რეგიონის ავტონომიის კანონიერი უფლებების დაცვა კონსტიტუციურად დაამტკიცოს და არა დაპირებებით. თბილისმა სოხუმის უფლებამოსილებები უნდა ცნოს და იქ ადამიანის უფლებები არ უნდა დაირღვეს.** (?!) აქ უკვე ქართველმა ჟურნალისტებმა ვეღარ მოითმინეს და ღია დისკუსიაში ჩაებნენ ვოლფოვიჩის მომხრეებთან. ქართული მხარის შეკითხვები შეეხებოდა ისეთ "ბუნდოვან" თემას, როგორიცაა მაგალითად, პუტინის განცხადება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემაზე, პიკეტის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ქალბატონმა მაშა ვოლკოვამ განაცხადა: **"ჩვენ გვსურს, საქართველოს პრეზიდენტს მოვუწოდოთ მშვიდობისაკენ, ვარდები ტანკებად არ უნდა გადააქციოს."** ქართველი ჟურნალისტების შენიშვნაზე, რომ მათ უმჯობესია, ჩეჩნეთში ადამიანის უფლებების დარღვევაზე გაამახვილონ ყურადღება, ჟირინოვსკელებისაგან ასეთი პასუხი მივიღეთ: **"ჩეჩნეთი რუსეთის ნაწილია, აი, აჭარა კი, საქართველოს დიდი ხანია, აღარ ეკუთვნის."**

საქართველოს ელჩი კოტე კემულარია იმ დროს საელჩოში არ იმყოფებოდა. იგი მეცნიერთა და ფიზიკოსთა ქალაქ დუბნას ეწვია, სადაც დუბნელ ქართველ მეცნიერებს ხვდებოდა.

აჭარაში საქართველოს ხელისუფლების ქმედებების წინააღმდეგ გამართული პიკეტის მოწოდებები გაიზიარა საელჩოს წინ გამვლელმა ბომჟმაც, რომელსაც გული აუჩუყდა და ოდესღაც სკოლაში ნასწავლი "ბეჟალი რობკიე გრუზინი" ხმამაღლა, გამოთქმით წაიკითხა.

*რუსუდან ნიკურაძე,*
*საკ. კორ. მოსკოვში*

## იორში წინასაარჩევნო ვითარებას გაუმჯობესებულად მიიჩნევს

პირველი გვერდიდან

იორშმა ისიც იცის, რომ რეგისტრაციის პროცესი აჭარაში ჯერ არ დასრულებულა. **"აჭარაში არჩევნების დემოკრატიულად ჩატარება ასლან აბაშიძის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული და იმაზე, რომ მან ადგილობრივ მოსახლეობას არჩევნებში დაუბრკოლებლად მონაწილეობის საშუალება მისცეს,"** - ამბობს იორში. მისივე ანალიზით, არჩევნების ნორმალურად ჩატარება ახლა თავად ავტონომიის ხელმძღვანელის ინტერესებშიც შედის.

საღამოს ევროპის საბჭოს დელეგაციის ხელმძღვანელის შეკითხვებს უკვე ქვეყნის მეთაური და პრემიერ-მინისტრი პასუხობდნენ. საუბრების ძირითადი თემა 7-პროცენტიანი საარჩევნო ბარიერი იყო. პრეზიდენტის და პრემიერის პოზიცია იორშისათვის მისაღები აღმოჩნდა. ჩვენმა ხელისუფლებამ ევროპის საბჭოს წარმომადგენელი დაარწმუნა, რომ ერთი თვის ვადაში ევროსაბჭოს რეკომენდაციის შესრულება საარჩევნო ბარიერის დაწევასთან დაკავშირებით, უბრალო მიზეზის გამო ვერ შეძლო - არჩევნებამდე დარჩენილ დროის მცირე მონაკვეთში კონსტიტუციაში ამგვარი ცვლილების შეტანა შეუძლებელი იყო. ამავე დროს, იორშმა უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან მიიღო დაპირება, რომ შვიდპროცენტიანი საარჩევნო ბარიერი ხუთ პროცენტამდე მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის დაიწევა.

დღეს ევროსაბჭოს წარმომადგენლები უკვე პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს გაესაუბრებიან.

ევროპის საბჭოს წარმომადგენელთა გარდა, მიხეილ სააკაშვილს გუშინ საღამოს ამერიკის ელჩი რიჩარდ მაილსიც ესტუმრა. მან პრეზიდენტს ასლან აბაშიძესთან რამდენიმესაათიანი შეხვედრის შინაარსი გააცნო. მაილსი შიშობს, რომ არჩევნები რეგიონში რთულად ჩაივლის, მაგრამ, ამავე დროს, ელჩი იმედოვნებს, რომ არჩევნების მაქსიმალურად ნორმალურად ჩასატარებლად სერიოზულ მუშაობას რეგიონში ჩასული საერთაშორისო დამკვირვებლებიც გასწევენ.

## მემარჯვენე ოპოზიცია - "სამების მადლი გფარავდეთ!"



*სვლა გერგეთის სამებისაკენ.*

*წმინდა სამების მშენებარე საკათედრო ტაძრიდან გერგეთის წმინდა სამების ეკლესიამდე - ეს ის გზაა, რომელიც "მემარჯვენე ოპოზიცია - "მრეწველები"-"ახლების" ლიდერებმა არჩევნებამდე ორი დღით ადრე განვლეს. წინასაარჩევნო კამპანიის ასეთი არაორდინარული დასასრული პარტიული ბლოკის ლიდერებმა მარტივად ახსნეს - "ჩვენი მთავარი ლოზუნგია: ეროვნული აზრი, ეროვნული წარმოება ეროვნული სახელმწიფოსთვის, ეროვნული აზრის საძირკველს კი მართლმადიდებლობა წარმოადგენს".*

უკვე ყველასათვის კარგად ცნობილმა, ბლოკის ე.წ. სააგიტაციო ავტობუსმა გეზი ყაზბეგისაკენ 25 მარტს, საღამოს შვიდი საათისთვის აიღო. ჟურნალისტები წინასწარ ვიყავით გაფრთხილებულები, რომ ორი დღის განმავლობაში ბლოკის ლიდერები ამომრჩევლებს არ შეხვდებოდნენ და, შესაბამისად, ხევში წინასაარჩევნო აგიტაციისთვის არ მიემგზავრებოდნენ. **"ეს არის ჩვენი სიმბოლური ალმასვლა თბილისის სამების ტაძრიდან გერგეთის სამებამდე"**, - ასეთ კომენტარს აკეთებდა ბლოკის ერთ-ერთი ლიდერი დავით გამყრელიძე.

ბუნებრივია, შვიდპროცენტიანი ბარიერის გადალახვა "მემარჯვენე ოპოზიციისთვის" ნომერ პირველი ამოცანაა. ამიტომაც მგზავრობის პირველ დღეს ისინი ხან ხუმრობით, ხანაც სერიოზულად ბარიერის თემატიკას მაინც უბრუნდებოდნენ.

მაგრამ უნდა ითქვას, გუშინდელმა დღემ პროლიტიკა აშკარად მეორე პლანზე გადაწია. დილიდან სპორტულად გამოწყობილი პოლიტიკოსები საკმაოდ რთული მარშრუტის დასაძლევად ემზადებოდნენ. იმაზე, რომ ისინი მაინც ბედკრული ქართული პოლიტიკის ღვიძლი შვილები იყვნენ, მხოლოდ პარტიის რამდენიმე დროშა მეტყველებდა, რომელიც ბლოკის აქტივისტებმა გერგეთის სამების ტაძარში ასატანად გაამზადეს.

ალმასვლამდე კი ბლოკის ლიდერები უწმინდესის და უნეტარესის, კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის წინაპრის, შიოლა ღუდუშაურის სახელობის სულიერებისა და კულტურის ცენტრს ეწვივნენ და სტეფანწმინდისა და ხევის ეპისკოპოსი მეუფე პეტრე მოინახულეს, რომელმაც მემარჯვენე ოპოზიციას გერგეთის ტაძრისაკენ მიმავალი გზა დაულოცა. თავის მხრივ, ფიქრია ჩიხრაძემ მეუფე პეტრეს მე-18 საუკუნის "სამოციქულო წიგნი" გადასცა. **"ჩვენ სრულიად შემთხვევით წავაწყდით ამ წიგნს და გამოვისყიდეთ. ახლა იგი უკვე საზღვარგარეთ იქნებოდა"**, - დასძინა ჩიხრაძემ. .

ამის შემდეგ, პოლიტიკოსებმა და ჟურნასლიტებმა გეზი გერგეთის სამებისკენ აიღეს. საკმაოდ რთული ალმასვლის მიუხედავად, დისტანციას მხოლოდ "მრეწველების" ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ტყემალაძე და ერთი ჟურნალისტი გამოეთიშა.

თითქმის ერთსაათიანი ალმასვლის შემდეგ, როგორც იქნა, სამების ეკლესიაც გამოჩნდა. მზეზე მიფიცხებული დავით საგანელიძე, მყინვარწვერის ხედით მოხიბლული დავით გამყრელიძე, დაღლილი, მაგრამ საკმაოდ კმაყოფილი ფიქრია ჩიხრაძე და ბლოკის აფრიალებული დროშა - ეს ამ ალმასვლის ფინალი იყო.

ეკლესიის ეზოში პოლიტიკა უკვე აღარავის ახსოვდა. დავით გამყრელიძემ ჟურნალისტებს ისიც კი განუცხადა, რომ "სამების გადასახედიდან 28 მარტის არჩევნები საკმაოდ უმნიშვნელო პრობლემად" ეჩვენება, პოლიტიკა კი სიბინძურეაო. შემდეგ კი ეკლესიის წინამძღვარმა მამა ნიკოლოზმა წირვა-ლოცვა აღავლინა. "მემარჯვენე ოპოზიციონერებმა" კი გერგეთის სამების ეკლესიას მე-18 საუკუნით დათარიღებული ღვთისმშობლის ხატი გადასცეს. ყაზბეგში დაბრუნების შემდგომ კი სააგიტაციო ავტობუსმა გეზი თბილისისაკენ აიღო. ბუნებრივია, დედაქალაქში დაბრუნებული პოლიტიკოსებისთვის მთავარი თემა კვლავ არჩევნები იქნება, თუმცა, როგორც ბლოკის ლიდერებმა შინაურულად გვითხრეს, გერგეთის სამებამდე ალმასვლამ მათ გამარჯვების რწმენა გაუათმაგა.

*თამარ მჭედლიშვილი*

## ლეიბორისტებს ყველგან შეთქმულება ელანდებათ

"ლეიბორისტული პარტიის" წარმომადგენელი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, ბადრი ნიაური დარწმუნებულია, რომ ცესკო-ს თავმჯდომარე ერთ-ერთი განმახორციელებელია პრეზიდენტის მიერ შემუშავებული სპეცოპერაციისა, კოდური სახელწოდებით - "გასრისეთ ლეიბორისტები". ოპერაციის საწყის ეტაპზე, საარჩევნო ადმინისტრაციის თავმჯდომარის პოსტებიდან "ლეიბორისტების" გათავისუფლება დაიწყო, - ამბობს ნიაური. ბუნებრივია, საარჩევნო სიტუაციის თვალსაზრისით, მას ყველაზე "ცხელ-ცხელი" ამბები პარტიის ლიდერისთვის მშობლიური დუშეთის რაიონიდან აქვთ. ნიაურის განცხადებით, დუშეთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ ვინმე ბანცური დაინიშნა. მასზე სერიოზული სამხილები არსებობს სახელმწიფო ქონების გაფლანგვასა და დატაცებაზე. თუმცა, ბანცურის წარსულით ახლა არავინ ინტერესდება, რადგან მას პირდაპირი მითითება აქვს მიღებული, დუშეთის რაიონში არჩევნების ჩაშლის თაობაზე. ნიაური დარწმუნებულია, რომ როგორც კი რომელიმე საარჩევნო უბანზე შედეგები გაუქმდება, ამას პერმანენტულად შედეგების სხვა უბნებზე გაბათილება მოჰყვება. "ლეიბორისტთა" მონაცემებით, გლდანის რაიონში და სხვა ოლქებში ე.წ. "კარუსელებისთვის" სიების შედგენა დაიწყო, ერთი ხმა 5 ლარად არის შეფასებული. ყველაფერ ამის მიუხედავად, "ლეიბორისტებს" რაღაც იმედები მაინც შერჩათ. 28 მარტს, კენჭისყრის დასრულების შემდეგ, ამომრჩევლებს ისინი ცესკო-სთან შეკრებისკენ მოუწოდებენ. "ლეიბორისტებს" მიაჩნიათ, რომ ამომრჩევლებმა საკუთარი ხმები ამგვარი საპროტესტო ფორმით უნდა დაიცვან.

*24 საათი*

## ოფიციოზი

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 255

*2004 წლის 26 მარტი ქ. თბილისი*

ქ. თბილისის საოლქო სასამართლოში წარმომადგენლის შესახებ.

მიეცეს რწმუნება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საქართველოს პრეზიდენტის მთავრობასთან და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობისა და იურიდიულ საკითხთა სამსახურის საქართველოს მთავრობასთან, სხვა სახელმწიფო ორგანოებთან და სასამართლოებთან ურთიერთობის სამმართველოს მრჩეველს ნათია ბიძინაშვილს წარმოადგინოს საქართველოს პრეზიდენტის ინტერესები ქ. თბილისის საოლქო სასამართლოში შპს "აირზენა საქართველოს ავიახაზების" სარჩელთან დაკავშირებით.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 256

*2004 წლის 26 მარტი ქ. თბილისი*

საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმომადგენლის შესახებ.

მიეცეს რწმუნება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საქართველოს პრეზიდენტის მთავრობასთან და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობისა და იურიდიულ საკითხთა სამსახურის საქართველოს მთავრობასთან, სხვა სახელმწიფო ორგანოებთან და სასამართლოებთან ურთიერთობის სამმართველოს მთავარ მრჩეველს ნინო შარაშიძეს წარმოადგინოს საქართველოს პრეზიდენტის ინტერესები საქართველოს უზენაეს სასამართლოში ფიზიკური პირის ფოლად ოფჩიევის სარჩელთან დაკავშირებით.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 257

*2004 წლის 26 მარტი ქ. თბილისი*

ლ. იზორიას საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორად დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს ლევან იზორია საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორად.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 252

*2004 წლის 25 მარტი ქ. თბილისი*

გ. ითონიშვილის სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს გია ითონიშვილი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს უფროსის თანამდებობიდან საკუთარი ინიციატივით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 95-ე მუხლის საფუძველზე.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება № 103

*2004 წლის 26 მარტი ქ. თბილისი*

ზ. ნოღაიდელისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ.

მიენიჭოს საქართველოს ფინანსთა მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს უფლებამოსილება, რომ ხელი მოაწეროს მმართველობის რეფორმის პროგრამის თაობაზე საქართველოს მთავრობასა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის შეთანხმებას.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს მთავრობის დადგენილება №4

*2004 წლის 25 მარტი ქ. თბილისი*

საქართველოს სამინისტროს გამგებლობაში არსებულ ადმინისტრაციულ ფართობებთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგების შესახებ.

საქართველოს სამინისტროების გამგებლობაში არსებულ ადმინისტრაციულ ფართობებთან დაკავშირებული მდგომარეობის მოწესრიგებისა და სათანადო რეკომენდაციების მომზადების მიზნით საქართველოს მთავრობა ადგენს:

1. შეიქმნას სამთავრობო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ირაკლი რეხვიაშვილი - საქართველოს ეკონომიკის მინისტრი, კომისიის თავმჯდომარე

კახა კობერიძე - საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე

ბესარიონ ლოლაძე - საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე

ზურაბ მელიქიშვილი - საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე

ერეკლე ქიქოძე - სხიპ "საწარმოთა მართვის სააგენტოს" თავმჯდომარე

თეიმურაზ ქურხული - ქ. თბილისის ვიცე-პრემიერი

2. კომისიამ:

ა) უზრუნველყოს სამინისტროების გამგებლობაში ფაქტობრივად არსებული ფართობის აღწერა;

ბ) უზრუნველყოს ადმინისტრაციული ფართობის გაცემის ფაქტების მართლზომიერების შესწავლა და ვითარების მოწესრიგებისათვის აუცილებელი წინადადებების მომზადება;

გ) საქართველოს პრემიერ-მინისტრს ერთ თვეში წარუდგინოს ინფორმაცია გაწეული მუშაობის შესახებ.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს მთავრობის დადგენილება № 6

*2004 წლის 25 მარტი ქ. თბილისი*

ქალაქ რუსთავის 2004-2006 წლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური პროგრამის სახელმწიფო მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ.

ქალაქ რუსთავის ადგილობრივმა თვითმმართველობამ შეიმუშავა "ქ. რუსთავის 2004-2006 წლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური პროგრამა", რომლის განხორციელებაც საფუძველს უქმნის ქ. რუსთავის როგორც ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ინდუსტრიული ცენტრის სამომავლო სტრატეგიულ განვითარებას, რომელმაც უმნიშვნელოვანესი როლი უნდა შეასრულოს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ამაღლებაში.

ქ. რუსთავის 2004-2006 წლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური პროგრამის განხორციელებისათვის საჭიროა სახელმწიფო მხარდაჭერა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე და ქ. რუსთავის ეკონომიკური აღორძინების დაჩქარების მიზნით საქართველოს მთავრობამ დაადგინა:

1. ცნობად იქნეს მიღებული "ქ. რუსთავის 2004-2006 წლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური პროგრამა".

2. შეიქმნას ქ. რუსთავის 2004-2006 წლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური პროგრამის სახელმწიფო მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების სამთავრობო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ზურაბ ჟვანია - საქართველოს პრემიერ-მინისტრი, კომისიის თავმჯდომარე

ეროსი კიწმარიშვილი - საქართველოს სავაჭრო პალატის თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

ჯამბულ ბაკურაძე - სახელმწიფო მინისტრი, საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული

ზურაბ ნოღაიდელი - საქართველოს ფინანსთა მინისტრი

გიორგი პაპუაშვილი - საქართველოს იუსტიციის მინისტრი

ირაკლი რეხვიაშვილი - საქართველოს ეკონომიკის მინისტრი

თამარ სულუხია - საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების მინისტრი

მერაბ ტყეშელაშვილი - ქალაქ რუსთავის მერი

3. კომისიის უფლებამოსილების ვადად განისაზღვროს 2004-2006 წლები.

4. კომისიამ ერთ თვეში შეიმუშაოს და მთავრობის სხდომაზე დასამტკიცებლად წარმოადგინოს ქ. რუსთავის 2004-2006 წლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური პროგრამის განხორციელების სახელმწიფო მხარდამჭერი ღონისძიებების გეგმა, ყოველ ექვს თვეში წარმოადგინოს ინფორმაცია დამტკიცებული ღონისძიებების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

5. ქ. რუსთავის 2004-2006 წლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური პროგრამის განხორციელების სახელმწიფო მხარდამჭერი ღონისძიებების შემუშავების, მისი სრულყოფისა და ეფექტიანობის ამაღლების წინადადებების მომზადების მიზნით შეიქმნას დარგობრივი სამუშაო ჯგუფები.

6. საქართველოს სამინისტროებმა და უწყებებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქ. რუსთავის 2004-2006 წლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური პროგრამის მხარდაჭერის ღონისძიებათა განხორციელებაში, უზრუნველყონ შესაბამისი ინფორმაციით და მასალებით დარგობრივი სამუშაო ჯგუფები თავისი კომპეტენციის ფარგლებში, შეიმუშაონ სათანადო წინადადებები და განსახილველად წარუდგინონ სამთავრობო კომისიას.

7. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება № 108

*2004 წლის 20 მარტი ქ. თბილისი*

რ. გორგილაძის საქართველოს განათლების მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს რუსუდან გორგილაძე საქართველოს განათლების მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობიდან საკუთარი ინიციატივით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 95-ე მუხლის საფუძველზე.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება № 114

*2004 წლის 25 მარტი ქ. თბილისი*

დ. გურგენიძის საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს დავით გურგენიძე საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 94-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება № 115

*2004 წლის 25 მარტი ქ. თბილისი*

ა. თვალჭრელიძის საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გეოლოგიის დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს ალექსანდრე თვალჭრელიძე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გეოლოგიის დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობიდან საკუთარი ინიციატივით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 95-ე მუხლის საფუძველზე.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება № 116

*2004 წლის 25 მარტი ქ. თბილისი*

გ. უგულავას საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს გიორგი უგულავა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პირველ მოადგილედ.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება № 117

*2004 წლის 25 მარტი ქ. თბილისი*

გ. უგულავას საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს გიორგი უგულავა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პირველ მოადგილედ დანიშვნასთან დაკავშირებით.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება № 118

*2004 წლის 25 მარტი ქ. თბილისი*

ნ. უფლისაშვილის საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს ნუგზარ უფლისაშვილი საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობიდან "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 94-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება № 119

*2004 წლის 25 მარტი ქ. თბილისი*

თ. ცაბაძის საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს თეიმურაზ ცაბაძე საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 94-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება № 120

*2004 წლის 25 მარტი ქ. თბილისი*

მ. კვეკვესკირის საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს მერაბ კვეკვესკირი საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 94-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება № 121

*2004 წლის 25 მარტი ქ. თბილისი*

გ. ხაინდრავას მოსკოვში მივლინების შესახებ.

საქართველოს სახელმწიფო კანცელარიამ აუნაზღაუროს საქართველოს სახელმწიფო მინისტრს გიორგი ხაინდრავას 2004 წლის 1-4 მარტს მოსკოვში გამართულ მე-2 რელიგიათაშორის საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობასთან დაკავშირებით სამივლინებო ხარჯები საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის მივლინებისათვის დამტკიცებული ასიგნებებიდან.

*ზურაბ ჟვანია*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.




## ნაკლებად ცნობილი მხარეები ბათუმის ნავთობის ტერმინალის შესახებ

ბათუმის ნავთობის ტერმინალის 95 %-ის მფლობელი უცხოელებია. შესაკუთრეებმა შეიტანეს შეერთებული შტატების კომბინირებული კერძო კაპიტალი (თავიდანვე OPIC-ის - აშშ-ს სახელმწიფო ორგანიზაცია - მიერ დაფინანსებული), ისევე როგორც შვეიცარიელმა და დანიელმა ინვესტორებმა.

ბათუმის ნავთობის ტერმინალი წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს ნავთობტერმინალს საქართველოში. ამ უკანასკნელის შემდეგ ადგილს იკავებენ სუფსისა და ფოთის ტერმინალები.

ბათუმის ნავთობის ტერმინალში იტვირთება ნავთობპროდუქტების თითქმის 60 %-ი, რომელიც საქართველოს ნავთობის სატრანზიტო კორიდორით გადის მსოფლიოს სხვადასხვა ბაზარზე.

ბათუმის ნავთობის ტერმინალში იტვირთება მხოლოდ სარკინიგზო ხაზით შემოსული 17 სხვადსხვა სპეციფიკაციის ნედლი ნავთობი და ნავთობპროდუქტი. ის არც არსებულ და არც სამომავლოდ დაგეგმილ რეგიონალურ მილსადენებს არ უწევს კონკურენციას.

ბათუმის ნავთობის ტერმინალის მფლობელებმა 1999 წლიდან საქართველოში 75 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია დააბანდეს. აქედან 52 მილიონი აშშ დოლარი დაეთმო ტერმინალის რეაბილიტაციასა და მოდერნიზაციას.

ბათუმის ნავთობის ტერმინალში დასაქმებულია 2000-ზე მეტი ადგილობრივი მცხოვრები და ის აფინანსებს არაერთ სოციალურ და საქველმოქმედო პროგრამას.

ბათუმის ნავთობის ტერმინალის მფლობელები 2004 წლის ბოლოსათვის დაასრულებენ 5 წლიან საინვესტიციო პროგრამას საქართველოში. მათ 100 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ინვესტიცია აქვთ დაბანდებული ამ ქვეყანაში.



### გადატვირთვის მოცულობები




### გადატვირთვის ტარიფები




## ბათუმი ოილ ტერმინალ ლიმიტედი

**ბათუმი**
მაიაკოვსკის ქ. 4
ბათუმი, საქართველო
ტელ.: + 995 222 760 06
ფაქსი: + 75 01 940 45 07

**ლონდონი**
გროსვენორის ქ. 18
ლონდონი, დიდი ბრიტანეთი
ტელ.: + 44 20 76 29 18 18
ფაქსი: + 44 20 74 99 84 35

**თბილისი**
თავისუფლების მოედანი, 4
თბილისი, საქართველო
ტელ.: + 995 32 922 567
ფაქსი: + 995 32 922 569

# იტალიელი ინვესტორი რუსთავიდან წავიდა, რა იქნება შემდეგ?

მაია მოსიაშვილი

რუსთავის მეტალურგიული კომბინატის იტალიელმა ინვესტორებმა ქარხნიდან წასვლის თაობაზე განცხადება გააკეთეს. გუშინ კომბინატის მუშა-მოსამსახურეებს შეხვდა იტალიელი ბიზნესმენი ჯან კარლო ონჯისი, რომელმაც კომპანია "არესის" 50 პროცენტი სწორედ მაშინ შეიძინა, როცა "არესს" შპს "რუსთავი არეს მეტალურგიული კომბინატის" 98 პროცენტი გადაეცა. იტალიელები იანვრის შემდეგ ქარხანაში მომუშავე 400-მდე მუშას ხელფასს აღარ უხდიდნენ. ონჯისი მათ უახლოეს დღეებში სახელფასო დავალიანებას გასტუმრებას დაჰპირდა.

"24 საათი" მეტალურგიული კომბინატის რეაბილიტაციის ახალ მმართველს ბენო ქაშაკაშვილს დაუკავშირდა, რომელმაც დაადასტურა ინფორმაცია ქარხნიდან იტალიელების წასვლის შესახებ. **"წინა ხელისუფლებამ მათ, ფაქტობრივად, აჩუქა ეს ქარხანა, ჩვენ კი ის დავიბრუნეთ. ინვესტორის წასვლით პრობლემები მოგვემატება, თუმცა ყველაფერს მალე მოვაგვარებთ,"** - განაცხადა ბენო ქაშაკაშვილმა.

იტალიელების ამგვარი გადაწყვეტილება მოულოდნელი არ ყოფილა ქვემო ქართლის გუბერნატორისთვის სოსო მაზმიშვილისთვის, რომელმაც დაადასტურა, რომ იტალიელებმა რუსთავის სასამართლოს გადაწყვეტილება არ გაასაჩივრეს, რაც ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ ძალაში შევიდა სასამართლო განჩინება, რომლის თანახმადაც, შპს "რუსთავი მილის" 98 პროცენტის "არესისთვის" დათმობის ხელშეკრულება გაუქმდა და "რმკ"-ს უკან დაუბრუნდა ის 77 მილიონი დოლარის ღირებულების ქონება, რომელიც "რუსთავი მილში" იყო გადასული.

**"ჩვენ ქარხნიდან არავის ვაგდებთ. მათ შეუძლიათ, თუ სურვილი ექნებათ, ახალი ბიზნეს-გეგმა წარმოადგინონ და რეალური ინვესტიციები ჩადონ ქარხანაში,"** - განაცხადა გუბერნატორმა. მისივე თქმით, იტალიელებმა აუცილებლად უნდა დაფარონ ყველა ვალდებულება და ასევე აანაზღაურონ იმ 3 ათასი ტონა ჯართის საფასური, რომელიც ქარხნიდან გაიტანეს. კომბინატის ტერიტორიაზე ამჟამად 5 ათასი ტონა მზა პროდუქცია აწყვია, რომელსაც, სავარაუდოდ, ორშაბათს საგადასახადო ინსპექცია დააყადაღებს და შემდეგ დადგინდება იმ ვალდებულებების ოდენობა, რომელიც იტალიელებს საწარმოსადმი გააჩნიათ.

დღეს უკვე ყველა ასკვნის, რომ იტალიურმა "არესმა", უფრო სწორედ, მისი სახელით მოქმედმა რამდენიმე ადამიანმა, ორი წლის მანძილზე ქართული მეტალურგიით საკმაოდ იხეირა; ხელისუფლების წარმომადგენლები მეტალურგიულ კომბინატში განვითარებულ პროცესებზე საუბრისას აფიორისთვის დამახასიათებელ ნიშნებსა და ქმედებებზე აკეთებენ აქცენტს ანუ ყველა, ფაქტობრივად, ამბობს იმას, რაზეც "24 საათი" ჯერ კიდევ ერთი წლის წინ წერდა სტატიაში "დიდი აფიორა".

რა ელოდება რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს? - ამ კითხვაზე ქვემო ქართლის გუბერნატორი ასე პასუხობს: **"ის ძალიან საიმედო ხელშია, დარწმუნებული ვარ, ბენო ქაშაკაშვილი ყველა სიძნელეს თავს გაართმევს და ქარხანას უშველის."**

# ფინანსთა სამინისტრო საგარეო ვალის პროდუქციით გასტუმრებას ცდილობს

*ფინანსთა სამინისტროს უკანასკნელი მონაცემებით, საქართველოს საგარეო ვალის მოცულობა ერთ თვეში, დახლოებით, 100 მილიონი ლარით შემცირდა და, 29 თებერვლის მდგომარეობით, 3 მილიარდ 752 მილიონი ლარი შეადგინა. წელს ამ ციფრის მნიშვნელოვნად შემცირება არის მოსალოდნელი.*

ეთერ მამულაშვილი

ყველაზე ბევრი საქართველოს თურქმენეთის რესპუბლიკის მართებს. ამ დროისთვის ვალის მოცულობა 252 მილიონ ამერიკულ დოლარს აჭარბებს. სამი ადგილობრივი კომპანიის დახმარებით შარშან თურქმნეთის ვალი კიდევ რამდენიმე ათეული მილიონი ლარით შემცირდა. ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების თანახმად, ბოლო სამი წელია, რაც თურქმენეთის ვალს ს.ს.თბილავიამშენი, ს.ს. ქართული შაქარი და შპს. თ.ჯ. თრეიდი წარმოებული პროდუქციითა და მომსახურებით იხდის.

თითოეულ კომპანიას კი, მათ მიერ დაფარული საგარეო ვალის სანაცვლოდ, წლის ბოლოს ცენტრალური ბიუჯეტიდან ერიცხება დისკონტირებული თანხები. ეს შემდეგს ნიშნავს: ყოველი ხსენებული კომპანია თურქმენეთის რესპუბლიკას აწვდის საკუთარ პროდუქციას ან მომსახურებას, რომლის საფასურს საქართველოს მთავრობა იხდის. თუმცა ამ შემთხვევაში კომპანიების მიერ გაწეულ მომსახურებას ფინანსთა სამინისტრო ფასდაკლებით ანაზღაურებს (ანაზღაურება შესაბამისი ეკვივალენტით ეროვნულ ვალუტაში ხდება).

თურქმენული ვალის შემთხვევაში ს.ს. თბილავიამშენსა და თ.ჯ. თრეიდს ფინანსთა სამინისტრო შესრულებული სამუშაოს ღირებულების 70 პროცენტს უხდის, ხოლო ქართულ შაქარს - 75 პროცენტს. ეს უკანასკნელი საკუთარი პროდუქციით, ძირითადად, საჯარიმო პროცენტების დაფარვას ახორციელებს.

ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის შეფასებით, ქართული შაქრის შემთხვევაში დისკონტირებული თანხა ძალიან მაღალია და თურქმენეთის მთავრობასთან შესაძლებელია მოლაპარაკება ვალის ამ ნაწილის რესტუქტურიზაციის თაობაზე.

ფინანსთა სამინისტროს საგარეო ვალის დეპარტამენტის მონაცემებით, ამ ეტაპზე თურქმენეთის მიმართ დაგროვილი დავალიანებიდან ექვს მილიონზე ცოტა მეტი ჯარიმა-საურავებზე მოდის.

სხვათაშორის, ქვეყნის საგარეო ვალის დაფარვის ხსენებული მექანიზმი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში წარმატებით მუშაობს და, რაც მთავარია, ვალის დაფარვის ეს პრაქტიკა ხელს უწყობს ქვეყანაში არსებული სავალუტო რეზერვების შევსება-შენარჩუნებას.

საგარეო ვალის ამ გზით გასტუმრების შესახებ შეთანხმებას საქართველოს მთავრობამ დღემდე მხოლოდ თურქმენეთის სახელმწიფოსთან (2000 წელს) მიაღწია. შესაძლებელია, რომ მსგავსი შეთანხმება წელს კიდევ რამდენიმე სახელმწიფოსთან იქნას მიღწეული. ფინანსთა სამინისტროს საგარეო ვალის დეპარტამენტის თავმჯდომარემ სოსო სოსელიამ "24 საათთან" საუბრის დროს აღნიშნა: **ჯერჯერობით, რეალურ შედეგს ვერ მივაღწიეთ, თუმცა არის მცდელობები რუსეთთან, სომხეთსა და ყაზახეთთან. მიმდინარეობს მოლაპარაკებები ამ სახელმწიფოების წარმომადგენლებთან, რათა მათ მიმართ არსებული საგარეო ვალი საქართველოს ხელისუფლებამ სხვადასხვა პროდუქციითა და მომსახურებით დაფაროს.**

წელს კი ფინანსთა სამინისტროში იმედოვნებენ, რომ საქართველოს მთავრობა თურქმენეთის ვალიდან, სულ ცოტა, კიდევ 100 მილიონის ჩამოწერას მოახერხებს, თუკი კომპანიები სამინისტროს შემოთავაზებას შეასრულებენ. სამინისტრო კომპანიებს სთავაზობს, რომ თითოეულმა მათგანმა შარშანდელთან შედარებით ორ-სამჯერ მეტი ღირებულების პროდუქცია და მომსახურება მიაწოდოს თურქმენეთის რესპუბლიკას, რის საფასურსაც სამინისტრო ორი-სამი წლის პერიოდში აანაზღაურებს (ბუნებრივია, დისკონტირებულ ფასებში). ამ ეტაპზე სამინისტროსა და კომპანიებს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკება, რომლის საბოლოო შედეგები, სავარაუდოდ, თვის ბოლოს გაირკვევა.

# თემურ ჭყონია ფინანსურ პოლიციაში აღძრულ საქმესთან კავშირს უარყოფს

"კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას" გენერალური მენეჯერი თემურ ჭყონია აცხადებს, რომ ფინანსურ პოლიციაში აღძრულ სისხლის სამართლის საქმესთან "არაფერი აკავშირებს". როგორც "ინტერ-პრესს" ჭყონიამ განუცხადა, მან ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში მიმდინარე გამოძიების შესახებ იცოდა და "კოკა-კოლას" 1,8 მილიონი ლარის აქტივი სწორედ მისი წინადადებით ჩამოეჭრა.

**"საგამოძიებო დეპარტამენტიდან წერილი მივიღე. გამოძიება გვაფრთხილებდა, რომ "სალბისგან" შეძენილი აქტივი, შეიძლებოდა, ყალბი ყოფილიყო. ამიტომ ფინანსთა მინისტრს წერილი მივწერე და ვთხოვე, ვიდრე მდგომარეობა გაირკვეოდა, აქტივს ნუღარ დაგვაწერდნენ. ნოღაიდელმა წერილს რეზოლუცია დაადო, ბიუჯეტს რომ არ ეზარალა, შევთანხმდით, ანგარიშსწორებას არსებული წესით ვაწარმოებდით,"** - განაცხადა ჭყონიამ.

*ინტერ-პრესი*


## "ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ.

**29 მარტს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:**
ვაჟა-ფშაველას გამზირის(ნაწილობრივ), ვაჟა-ფშაველას გამზირის(ნაწილობრივ), ასათიანის ამბროლაურის, ბუდაპეშტის, კანდელაკის, ნუცუბიძის(ნაწილობრივ), ტაშკენტის, ვაზისუბნის, ყუშიტაშვილის, ასათიანის, დელისის, ჰეიდარ აბაშიძის, კანდელაკის, ლევანდოვსკის, ლომონოსოვის, ონიაშვილის, ოსეთის, ვაზისუბნის, ზემო ვეძისის, ზაქარიაძის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**30 მარტს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:**
ბოგვის, ჩარგლის, დავით გარეჯელის, გვაზაურის, ჟინვალის, ლიახვის, მუხრანის, ნაგომარის, რატევანის, შენგელაიას, ხორნაბუჯის, ზიგზაგის ქუჩების მაცხოვრებლებს.


# ყაჩაღი მმართველების ტოპ-ათეული

პირველი გვერდიდან

"არ გაუმართლა" იუგოსლავიის ექსპრეზიდენტ სლობოდან მილოშევიჩს. მისი წლიური შემოსავლები შედარებით მოკრძალებული იყო და საერთო ჯამში, მმართველობის დროს მიღებულმა შემოსავალმა მილიარდი დოლარი შეადგინა. ამიტომ მილოშევიჩმა ტოპ-ათეულში მხოლოდ მეხუთე ადგილი დაიკავა.

"ყაჩაღი მმართველების ათეულის" მეორე ხუთეულს შეადგენენ შედარებით "წვრილმანი ქურდები", ანუ ის ჩინოვნიკები, რომელთა წლიური შემოსავლებიც არა მილიარდობით, არამედ მხოლოდ მილიონობით დოლარს ითვლის.

სხვათა შორის, ტოპ-ათეულში, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაცია Transparency International-მა შეადგინა, ძირითადად, განვითარებადი ქვეყნების მაღალჩინოსნები მოხვდნენ. ორგანიზაციის წარმომადგენლები ამას იმით ხსნიან, რომ კორუფციის დონე განვითარებად ქვეყნებში მაღალია.

მაგალითად, ზაირმა, მობუტუ სეკეს მმართველობისას, საერთაშორისო დონორებისგან 12 მილიარდ დოლარამდე ოდენობის დახმარება მიიღო. ამ ფულიდან უმეტესი ნაწილი აორთქლდა, 5 მილიარდ დოლარამდე კი თავად სეკეს ჯიბეში დაილექა.

დაახლოებით ამავე ოდენობის თანხა "გააკეთა" თავისი 5-წლიანი გენერლობისას ნიგერიელმა სანი აბაჩეიმაც. ანუ, მის ჯიბეში ნიგერიის ნავთობმოპოვების სექტორის შემოსავლების 10 პროცენტი მიდიოდა. აბაჩეის ფულებიდან, რაც შვეიცარიისა და ლონდონის ბანკებში ილექებოდა, ნიგერიამ მხოლოდ 825 მილიონი დოლარის დაბრუნება შეძლო.


*პაველ ლაზარენკო*


*მოჰამედ სუხარტო*


*სლობოდან მილოშევიჩი*

## ქართველ "მაფიოზთა" ტოპ-ათეული

მსოფლიო ათეულში ქართული გვარი არ მოხვედრილა. საქმე ისაა, რომ ამ ნუსხის ქართველი პრეტენდენტების ბრალეულობა, ჯერჯერობით, ოფიციალურად დადასტურებეული არ არის. ამდენად, ქართველი ჩინოვნიკები ამ სიის წევრობის "კანდიდატობას", ჯერჯერობით, არ გასცილებიან.

საქართველოში "მაფიოზების" მიერ ფულის შოვნის ტემპები, ხშირ შემთხვევაში, ხელისუფლებასთან შეკვრის ხარისხის პირდაპირპროპორციული გახლდათ. ამის გამო, შეიძლებოდა, საჭირო მონაცემები თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციებიდან ამოგვეღო, მაგრამ ამ შემთხვევაში მხოლოდ "თეთრი" შემოსავლების დათვლის საშუალება გვექნებოდა, არალეგალური და მიჩქმალული ნაკადები კი ყურადღების მიღმა დაგვრჩებოდა და, შესაბამისად, არასრულყოფილი სურათი დაიხატებოდა.

ოფიციალური მონაცემებით, ქართველ მილიონერთა ნუსხას ხაშურის მაჟორიტარი ვალერი გელაშვილი კვლავ უცვლელად უდგას სათავეში, პრეზიდენტი შევარდნაძე კი, ოფიციალურად, მხოლოდ მეოცე ადგილზეა.

ამის გამო, "24 საათმა", "მაფიოზთა სიის" წევრობის კანდიდატთა ქართული ათეულის შედგენისას, ცნობილი ქართველი "მაფიოლოგები" დაიხმარა. მთავარი კონსულტანტები გივი თარგამაძე და მიხეილ მაჭავარიანი გახლდნენ. ზოგიერთმა საქმეში ჩახედულმა თანამდებობის პირმა ამ თემაზე ოფიციალური კომენტარის გაკეთებისგან და "მაფიოზების" ხელაღებით დადანაშაულებისგან თავი შეიკავა ყოველ შემთხვევაში, "ყაჩაღობის დამადასტურებელი ფაქტების" სრულყოფილად შეგროვება-დალაგებამდე. თუმცა, მას შემდეგ, რაც ეს ფაქტები შეგროვდება და დალაგდება, არ არის გამორიცხული, Transparency International-ს ახალი სიის შედგენა მოუწიოს.

საბოლოოდ, "24 საათის" მიერ გამოკითხულ "მაფიოლოგთა" მონაცემებით, ქართველ მაფიოზთა ტოპ-ათეული ასე გამოიყურება:

სიის სათავეში ასლან აბაშიძეა, რომელმაც თავისი მმართველობის განმავლობაში მილიარდ დოლარზე მეტის დაგროვება შეძლო. ამ სიის პირველი ადგილი ექსპრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ "აჭარის ლომს" მხოლოდ იმიტომ დაუთმო, რომ "მაფიოზთა ნუსხაში" შევარდნაძის კლანის წევრები დამოუკიდებლად შევიდნენ, ხოლო მხოლოდ "თავის წილად ნაკეთები ფულით", შევარდნაძემ თავის ვასალს ვერ გადააჭარბა.

მეორე ადგილზე შინაგან საქმეთა ექსმინისტრი კახა თარგამაძე გავიდა, რომლის ნაშოვნი 700-800 მილიონი დოლარი რეკორდულად მცირე დროშია დაგროვებული. შემოსავლის ძირითად წყაროდ ქართველი "მაფიოლოგები" ნარკობიზნესს, იარაღით ვაჭრობასა და პოლიციის კორუფციულ შემოსავლებს ასახელებენ.

ქართველ "მაფიოზთა" სიაში მესამე ადგილზე "გაძვრა" "ოქროს მაგნატი", ამჟამად ძებნილი ლევან მამალაძე, რომლის მიერ ქვემო ქართლის გუბერნატორობისას დაგროვილმა "მარაგმა" 150 მილიონს გადააჭარბა.

მეოთხე და მეხუთე ადგილს პრეზიდენტის კლანის წარმომადგენლები, შევარდნაძის მძახალი გურამ ახვლედიანი და სიძე გია ჯოხთაბერიძე იყოფენ. "მაფიოლოგთა" შეფასებით, ახვლედიანის მიერ ნაშოვნი თანხა 150 მილიონ დოლარს არ უნდა აღემატებოდეს. დაახლოებით, ამავე მოცულობის ფული იშოვა ჯოხთაბერიძემაც; აქედან, მარტო 70 მილიონი - "აზოტიდან".

მეექვსე ადგილი ისევ ექსპრეზიდენტის ოჯახის წარმომადგენელს, მის ძმიშვილს ნუგზარ შევარდნაძეს ერგო. "მაფიოლოგები" ვარაუდობენ, რომ მან, შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში, 50 მილიონ დოლარზე მეტის შოვნა შეძლო.

შედარებით მოკრძალებულია "რკინიგზის" ექს-შეფის კაკო ჩხაიძისა და ბანკირ ვანო ჩხარტიშვილის მიერ ნაშოვნი თანხები. ქართველი "მაფიოლოგები" მათ სიის მეშვიდე-მერვე ადგილებს უყოფენ და ვარაუდობენ, რომ მათ მიერ "ზეობისას" ნაშოვნი შემოსავალი 50 მილიონ დოლარს არ უნდა აჭარბებდეს.

მეცხრე ადგილზე "აჭარის ლომის" ცოლისძმა, აჭარის უშიშროების მინისტრი სოსო გოგიტიძე გავიდა. ქართველი "მაფიოლოგების" შეფასებით, მისი მონაგარი მხოლოდ 40-45 მილიონ დოლარს თუ მიაღწევს, რადგან ის, ძირითადად, თავად ასლან აბაშიძის "ხაზინადარი" იყო და ამდენად, მისი ჯიბისთვის უფრო ხშირად უწევდა ზრუნვა.

სიას ფრიდონ ინჯია ასრულებს. თანხების შოვნის მის მიერ განვითარებული ტემპები სიის სათავეში მყოფთა ტემპებს ტოლს არ უდებს, მაგრამ ინჯია მათ საერთო მონაგარით მაინც ჩამორჩება. მიზეზი მარტივია მეტისთვის "დრო არ ეყო".

დაბოლოს: ამ სიაში ვერ მოხვდა პარლამენტარი ლევან პირველი, რომელმაც სოლიდური თანხები დააგროვა, მაგრამ ტოპ-ათეულში მოსახვედრად მონაგარის მასშტაბებმა ხელი არ შეუწყო. სიის გარეთ დარჩა ვახტანგ რჩეულიშვილი, რომელსაც, ხელისუფლების სათავეში ყოფნისას, დიდძალი ფულის შოვნა არ გასჭირვებია. ასევე, სიის გარეთ დარჩნენ ის შედარებით "წვრილი თევზებიც", რომელთა "საქმეებიც", ამ ეტაპზე, სამართალდამცველების ყურადღების ცენტრშია.


## უფროსი კონსულტანტი გარემოს დაცვის დარგში

"ბი-პი"-ს მილსადენების პროექტებისთვის, "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ზედამხედველობით, IRA Ltd ეძებს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირს, გარემოს დაცვის დარგში უფროსი კონსულტანტის თანამდებობის დასაკავებლად. იგი იქნება მესამე მხარის კონტრაქტორი ბრითიშ პეტროლეუმის მილსადენის პროექტისთვის საქართველოში, რომელიც იმუშავებს "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ზედამხედველობით.

**სამუშაოს აღწერა:**
ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის საოპერაციო უფროსი კონსულტანტი გარემოს დაცვის დარგში ანგარიშვალდებული იქნება საოპერაციო მენეჯერის მიმართ. მისი როლი შეიცვლება, პროექტის წინსვლასთან ერთად და შესაბამის პირს შეექმნება კარიერის განვითარების შესაძლებლობები. როლი შეიძლება შეიცვალოს წინასაექსპლუატაციო ეტაპიდან საექსპლუატაციო ეტაპზე გადასვლის დროს.

უფროსი კონსულტანტი გარემოს დაცვის დარგში პასუხისმგებელი იქნება ადგილებზე მოქმედი ხელმძღვანელობისა და ზედამხედველებისთვის მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე, პროაქტიური კონსულტაციების სახით, ყველა საქმიანობის მონიტორინგის გზით, რათა საქართველოში მოქმედმა სამუშაო ძალებმა განაგრძონ გარემოს დაცვის კონტროლის ყველა საჭირო ზომების მიღება, რომლებიც დააკმაყოფილებს როგორც კომპანიის, ასევე საერთაშორისო, აგრეთვე მარეგულირებელი ორგანოების გარემოსდაცვით სტანდარტებს. ამ თანამდებობაზე მომუშავე პირის სამუშაო ადგილი საქართველოში იქნება, თუმცა მას მოეთხოვება აზერბაიჯანში მოგზაურობაც.

იგი მჭიდროდ ითანამშრომლებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის უფროს საოპერაციო კონსულტანტთან გარემოს დაცვის დარგში (აზერბაიჯანი), რათა უზრუნველყოფილი იყოს ეკოლოგიური და სოციალური საკითხების მიმართ მიდგომათა შეთანხმებულობა.

**როლები და პასუხისმგებლობები**
ამჟამად როლები მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით:

- კონსულტაციები გაუწიოს ადგილზე მომუშავე მენეჯერებსა და ზედამხედველებს და განახორციელოს იმ პროცედურების და პრაქტიკის მონიტორინგი, რომლებიც აუცილებელია ISO 14001-ის, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების, საოპერაციო HSO მენეჯმენტის სისტემების და მარეგულირებელი ორგანოების და ბრითიშ პეტროლეუმის გარემოსდაცვითი სტანდარტების განხორციელებისთვის
- განახორციელოს გარემოში ნარჩენების დაცლის შესახებ მონაცემების მონიტორინგი და განიხილოს ბუნებრივი გარემოს გამოკვლევები, რათა საჭიროებისამებრ რეკომენდაცია გაუწიოს მაკორექტირებელ ღონისძიებებს
- ჩაატაროს ოფიციალური და არაოფიციალური ინსპექციები და შემოწმებები ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის აზერბაიჯანისა და საქართველოს მონაკვეთებზე, შეთანხმებული პროცედურების განხორციელების მონიტორინგის უზრუნველსაყოფად
- მონაწილეობა მიიღოს ეკოლოგიური ინციდენტების შემსწავლელი ჯგუფების მუშაობაში და მოამზადოს ანგარიშები ამ ინციდენტების შესახებ
- მონაწილეობა მიიღოს საექსპლუატაციო ჯგუფის მიერ მანქანა-დანადგარების სუსტი მუშაობის გამოკვლევაში, როდესაც ასეთი მუშაობა დაუშვებელია გარემოსდაცვითი თვალსაზრისით
- მოამზადოს სტანდარტული შიდა და გარე ანგარიშები და შეაგროვოს მონაცემები, რომლებიც გათვალისწინებულია ISO 14001 გარემოსდაცვითი დოკუმენტით
- მოამზადოს პრეზენტაციები საზოგადოების ინფორმირებისთვის, გარემოსდაცვითი ფორუმებისა და თანამშრომლებთან საუბრებისთვის და ჩაატაროს ტრენინგები ბუნებრივი და სოციალური გარემოს დაცვის სფეროში
- იმუშაოს ადგილზე მომუშავე ხელმძღვანელებთან და ზედამხედველებთან და კონსულტაციები გაუწიოს მათ, რათა მინიმუმამდე შემცირდეს ყველა სახის საოპერაციო ღონისძიების ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედება, მილსადენის არსებობის მთელი დროის განმავლობაში (მაგ. ნარჩენების მენეჯმენტი და გარემოში გამოტყორცნების კონტროლი)
- იყოს წამყვანი კოორდინატორი ადგილებზე მომუშავე ხელმძღვანელებთან და ზედამხედველებთან და ნავთობის დაღვრის სფეროში კონტრაქტორებთან, ნავთობის დაღვრაზე რეაგირების გეგმების შედგენისას, სწავლებისას და დასუფთავების ოპერაციების დროს.
- დაამყაროს ადგილობრივი კავშირები ოპერატორებთან, პროექტებთან, მარეგულირებელ ორგანოებთან, ეკოლოგიური ლობირების ჯგუფებთან და სხვა კომპანიებთან, გარემოს დაცვის სფეროში
- დაესწროს საჯარო შეხვედრებს, როგორც აზერბაიჯანის, საქართველოს და თურქეთის წარმომადგენელი ბინებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების სფეროში

კანდიდატს უნდა ჰქონდეს შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია:

- უნდა ჰქონდეს გარემოს დაცვის სფეროში მუშაობის გამოცდილება (იდეალურია 2 წლის გამოცდილება ამ სფეროში)
- ჰქონდეს ურთიერთობის კარგი უნარი
- კარგად შეეძლოს კომპიუტერზე მუშაობა (Microsoft office)
- შეეძლოს მუშაობა, როგორც ჯგუფის წევრს
- სასურველია განათლება გარემოს დაცვის სფეროში
- კარგად ფლობდეს ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებს.

**როგორ შეიტანოთ განაცხადი / დამატებითი ინფორმაცია**
თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ გაქვთ სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება ამ როლის შესრულებისთვის, გათხოვთ წარმოადგინოთ თქვენი ბიოგრაფია (CV) და შეავსით შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელიც შეგიძლიათ მიიღოთ ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე. განცხადებების მიღების ბოლო ვადაა სამშაბათი, 13 აპრილი, 2004 წ.

საქართველოს მოქალაქეობა აუცილებელია.

**განხილული იქნება ყველა განაცხადი, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ ყველა კანდიდატს მიიწვევენ გასაუბრებაზე და შესთავაზებენ სამუშაოს.**

**ადამიანური რესურსების დეპარტამენტი**
**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია**
**BP Georgia**
**საბურთალოს ქ. N38**
**თბილისი, საქართველო.**

# საქართველოს ვარდების რევოლუცია: ექლებისგან გათავისუფლება

პირველი გვერდიდან

აბაშიძე იმდენ ხანს აშანტაჟებდა შევარდნაძეს სეპარატიზმით, ვიდრე მისი "გაბერილი ხმები" არ აღიარეს. ხმების პარალელური დათვლა კი აჩვენებდა, რომ სააკაშვილის პარტიამ გაიმარჯვა. მას მერე, რაც შევარდნაძე აბაშიძის მოთხოვნების მძევლად იქცა, დემოკრატიის დამცველებს მეტი აღარაფერი დარჩენოდათ, თუ არა მშვიდობიანი რევოლუციის გზით ხელისუფლება გადაეყენებინათ.

სააკაშვილს, როგორც კრიმინალის და კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლს, დიდი გზა აქვს გავლილი - მან თავისი მეუღლეც კი ადამიანის უფლებათა სტრასბურგის საერთაშორისო ინსტიტუტში სწავლის დროს გაიცნო. ერთ-ერთ გახმაურებულ მთავრობის სხდომაზე მან მთავრობის რამდენიმე წევრის სასახლის სურათები აჩვენა. ეს სახლები, ცხადია, მათი მცირე ხელფასით არ იყო შეძენილი. რევოლუციის შემდეგ, სააკაშვილმა პირობა დადო, რომ პოლიტიკურად და ეკონომიკურად ძლიერ და ერთიან ქვეყანას ააშენებდა.

იგი მომავალ საპარლამენტო არჩევნებს "ვარდების რევოლუციის" მონაპოვრის განმტკიცებისათვის კრიტიკულ გამოცდად განიხილავს და ამიტომაც, გადაწყვიტა, დაითანხმოს აბაშიძე, რათა ნოემბრის მსგავსი გაყალბება თავიდან იქნეს აცილებული. მით უმეტეს, რომ ბევრი ქართველი და უცხოელი ექსპერტი დღესაც საუბრობს მზარდ საფრთხეებსა და ძალადობაზე რეგიონში და აჭარაში საარჩევნო კამპანიის მოსამზადებლად ჩასულ ფინანსთა მინისტრსაც კი აკავებენ.

მაშინ, როცა სააკაშვილი 14 მარტს აჭარისაკენ საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების მოთხოვნით მიემგზავრებოდა, აბაშიძე, როგორც ხშირად ასეთ შემთხვევებში, მოსკოვში იყო და პოლიტიკურ მხარდაჭერას ეძებდა. აბაშიძე და მისი რუსი მოკავშირეები რამდენიმე კვირის განმავლობაში საერთაშორისო საზოგადოებრიობაზე მიმართულ კამპანიას აწარმოებდნენ და სააკაშვილის მიერ დაგეგმილ "მოახლოებულ სამოქალაქო ომზე" საუბრობდნენ.

ეს კამპანია აშშ-საც კი მისწვდა: აბაშიძეს მომხრეებმა დაარწმუნეს "ჰილი" (კონგრესის ბეჭდვითი ორგანო), 23 იანვარს გამოექვეყნებინა სტატია, სადაც ეწერა, რომ აჭარის ლიდერებმა თითქოსდა "გამოააშკარავეს სააკაშვილის საიდუმლო გეგმა, რომლის მიხედვით, იგი ინაუგურაციის შემდეგ ავტონომიური რესპუბლიკისა და ბათუმის ნავსადგურის ხელში ჩაგდებას აპირებდა." თუმცა, მსგავსი არაფერი მომხდარა. ამის შემდეგ ისევ მოახლოებული სამოქალაქო ომის შესახებ გაფრთხილება გაისმის და აბაშიძის შეიარაღებული მებრძოლები პრეზიდენტის ესკორტს აჭარაში შესვლის საშუალებას არ აძლევენ.

სააკაშვილმა კრიზისი განმუხტა იმით, რომ აბაშიძეს შემდეგი მოთხოვნები წაუყენა: თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარება; აჭარის ტერიტორიაზე მართლწესრიგის აღდგენა; ცენტრალური ხელისუფლებისათვის საბაჟოსა და საზღვაო ნავსადგურის კონტროლის კანონიერი უფლებების აღსრულების საშუალების მიცემა - ეს აუცილებელი პირობაა მასიური კონტრაბანდის აღსაკვეთად, რომელსაც აბაშიძის ხელისუფლება ემყარება. იგი წლების მანძილზე ცენტრალურ ბიუჯეტში შემოსავლების შეტანაზე უარს აცხადებდა. აბაშიძემ პრეზიდენტის პირობები მიიღო და შეიარაღებული ფორმირებების განიარაღება-დაშლაც ივალდებულა. ახლა მთავარია, აბაშიძემ თავისი სიტყვა შეასრულოს - თუმცა, უკვე სახეზეა შემაშფოთებელი ნიშნები, რომ იგი ამას არ იზამს.

ნათელია, რომ აბაშიძეს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების შედეგები აშინებს. სავსებით შესაძლებელია, რომ იგი "პოლიტიკურ ფანდებს" მიმართავს. ამიტომაც, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ეუთო-მ და სხვა დამკვირვებლებმა ყურადღება აჭარაზე გაამახვილონ. არჩევნების გაყალბება ხშირად არჩევნების დღემდე იწყება - დამკვირვებლები იმის უზრუნველყოფას უნდა შეუდგნენ, რომ ამომრჩევლებს არ აშინებდნენ (განსაკუთრებით, ფიზიკურად და სამსახურიდან დათხოვნით) და საარჩევნო სიები გამართული იყოს (სიებში "მკვდარი სულების" გარეშე). არჩევნების დღეს თითოეულ საარჩევნო უბანზე, სულ მცირე, ორი დამკვირვებელი უნდა იყოს, რომელთაც უფლება ექნებათ, თვალყური ადევნონ როგორც ხმის დათვლის პროცესს, ასევე საარჩევნო ურნების თბილისში გადატანას, რადგან ჩვეულებრივი მოვლენაა, როცა ურნას გზაში ათასობით ბიულეტენი ემატება.

აჭარაში სააკაშვილის ანტიკორუფციული საქმიანობის დაწყებით, აბაშიძესთან ერთად დაზარალდება ორგანიზებული დამნაშავეობა და ყველა ის, ვინც აქამდე ბათუმის პორტში ჩრდილოვანი ბიზნესის წარმოებით სარგებლობდა. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ 28 მარტისათვის პრობლემების შექმნას ეს ჯგუფებიც შეეცდებიან. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ აჭარაში კრიზისის დროს მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი გამოჩნდა, რომელსაც "თავისი ძმის მხარდაჭერის" გარდა, სხვა მიზანი არ ამოძრავებდა. ლუჟკოვმა აჭარაში თან რამდენიმე ბიზნესმენიც ჩაიყვანა, მათ შორის - მაფიასთან კავშირში ეჭვმიტანილი, აბაშიძის ყოფილი ბიზნესპარტნიორი გრიგორი ლუჩანსკი. ცნობილი არ არის, თუ რა ბიზნესკავშირები აქვთ მათ დღეს აბაშიძესთან, მაგრამ მხარდაჭერის ამგვარმა გამოვლინებამ თბილისში ბევრი გააოცა.

კრემლი კრიზისში აქამდე კონსტრუქციულ როლს ასრულებს, თუმცა, თუ საქართველოსთან დაკავშირებით რუსეთის განცხადებებსა და მოქმედებებს შორის ტრადიციულ წინააღმდეგობას გავითვალისწინებთ, მოსკოვის როლი მუდმივი თვალყურის დევნებას იმსახურებს. სულ ახლახან, მოსკოვი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ოფიციალურად მხარდაჭერის ფონზე, საქართველოს სეპარატისტული რეგიონების ლიდერებს მასპინძლობდა. ამჯერად, სააკაშვილმა და პუტინმა ტელეფონით ისაუბრეს, რის შემდეგაც სააკაშვილს სჯერა, რომ პუტინი აბაშიძეს არ დაუჭერს მხარს. მართლაც, რუსეთის გადაწყვეტილებამ, სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში არ ჩარეულიყო (და ამის საშუალება მას ნამდვილად აქვს, თუ გავითვალისწინებთ რუსეთის სამხედრო ბაზის არსებობას ბათუმში), შეიძლება აბაშიძე აიძულა, რომ სააკაშვილის მოთხოვნებს დათანხმებოდა. თუმცა, არჩევნების დამთავრებამდე ჯერ არაფერია დასრულებული და რუსეთის რეაქციული ძალების ფაქტორი აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული.

საერთოდ, საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები დემოკრატიისა და რეგიონული თანამშრომლობის გამარჯვებაზე მიუთითებენ. სააკაშვილი იქნებ იმპულსურადაც მოქმედებდა, მაგრამ ამასთანავე მისი მოქმედებები დამაჯერებელიც იყო. იგი საქმიანობს ქვეყანაში, სადაც პოლიტიკური თამაშის წესები მეტისმეტად მკაცრია და მას უწევს ისეთივე შეუვალი იყოს, როგორც მისი მოწინააღმდეგეები. ბოლოს და ბოლოს, "ბნელ ძალებს" მხოლოდ მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით ხომ ვერ დაამარცხებ და აშშ-მ ეს კარგად იცის. ამავდროულად, მნიშვნელოვანია, რომ აშშ საქართველოს ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობას აგრძელებს. ასე რომ, თავისუფლების, დემოკრატიისა და ეფექტური მმართველობის მოწინააღმდეგეები საქართველოში სამხედრო კონფრონტაციის პროვოცირებას ველარასდროს შეძლებენ.

# როლანდას პაქსასმა ბოდიში მოიხადა

ლიტვის პრეზიდენტმა როლანდას პაქსასმა გავლენიან ბრიტანულ გამოცემა "თაიმს"-ს განუცხადა, რომ მის თანაშემწედ რუსეთის მოქალაქის, იური ბორისოვის დანიშვნა შანტაჟის შედეგად მოხდა. შეგახსენებთ, რომ 8 მარტს ლიტვის პრეზიდენტის მიმართ იმპიჩმენტის პროცედურის დაწყების მთავარი მიზეზი ბორისოვის გარშემო ატეხილი სკანდალი იყო. ბრიტანული გამოცემა ავრცელებს პაქსასის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ბორისოვს ლიტვის პრეზიდენტზე მაკომპრომეტირებელი მასალები ჰქონდა და მათი გამოქვეყნების მუქარით პაქსასზე ზემოქმედებას ახდენდა.

ორი დღის წინ კი პაქსასმა ლიტველების წინაშე ბოდიში მოიხადა. იური ბორისოვს ვილნიუსის სასამართლომ აღმკვეთი ღონისძიება - გაუსვლელობის შესახებ, შინაპატიმრობით შეუცვალა. სასამართლომ ბორისოვს გარკვეულ პირებთან შეხვედრაც აუკრძალა, პირველ რიგში - ლიტვის პრეზიდენტთან.

საინტერესოა, რომ ამ აღიარებამდე, ოთხშაბათს პრეზიდენტმა პაქსასმა ბორისოვი თავის მრჩევლად დანიშნა, რითიც ლიტვის პოლიტიკურ წრეებში მძაფრი პროტესტი გამოიწვია. აღშფოთების ტალღა იმდენად ძლიერი იყო, რომ პრეზიდენტს იმავე დღეს მოუხდა ამ გადაწყვეტილებაზე უარის თქმა. გუშინ კი პაქსასმა თავისი რჩეული ბორისოვი შანტაჟშიც დაადანაშაულა.

პრეზიდენტის გარშემო სკანდალი შარშან ოქტომბერში აგორდა. პოლიტიკური დებატების მიზეზი გახდა ლიტვის უშიშროების სამსახურის მოხსენება, სადაც ლაპარაკი იყო პრეზიდენტის კანცელარიის კავშირზე ორგანიზებულ დანაშაულთან და რუსეთის დაზვერვასთან. მოხსენებაში ბორისოვის სახელი ფიგურირებდა. ამ სკანდალმა, ფაქტობრივად, ნატო-ში დღედღეზე გასაწევრიანებელ ბალტიისპირა სახელმწიფოს პარალიზება გამოიწვია. რაც შეეხება პრეზიდენტ პაქსასის იმპიჩმენტს, ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია.

ბორისოვი ლიტვის დღევანდელი პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიას აფინანსებდა და, ამავდროულად, ლიტვის სპეცსამსახურების ინფორმაციით, დაკავშირებული იყო რუსულ მაფიასთან და დაზვერვის სამსახურთან. ლიტვის გენერალურ პროკურატურაში ამ ეტაპზე მიმდინარეობს წინასასამართლო გამოძიება სისხლის სამართლის ორი საქმის ირგვლივ. ერთი - ბორისოვს პრეზიდენტისადმი მუქარაში სდებს ბრალს, მეორე კი - ტერორისტთა მხარდამჭერ ქვეყნებში შვეულმფრენთა ნაწილების უკანონო მიწოდებას უკავშირდება.



ლიტვის პრეზიდენტი როლანდას პაქსასი.

რუსი ეროვნების იური ბორისოვი ფლობს ფირმა "ავია-ბალტიკა"-ს, რომელიც კაუნასში შვეულმფრენების შეკეთებითაა დაკავებული. რუსი მეწარმე 2002-2003 წლებში პაქსასის საარჩევნო კამპანიას 400 ათასი აშშ დოლარით დაეხმარა. პრეზიდენტად არჩევის შემდეგ პაქსასმა, გამონაკლისის სახით, ბორისოვს ლიტვის მოქალაქეობა მიანიჭა, რაც ქვეყნის კანონმდებლობით დაუშვებელია. სწორედ ეს დაედო საფუძვლად პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებას. მის წინააღმდეგ პროცესი დაიწყო "კონსტიტუციისა და დადებული ფიცის უხეშად დარღვევის გამო". დღევანდელ დღემდე პაქსასი იცავდა ბორისოვს და ყველა ბრალდებას უარყოფდა. უფრო მეტიც, ლიტვის სეიმში მის წინააღმდეგ მიმდინარე მოვლენებს იგი შეთქმულებად ნათლავდა.

გუშინ ლიტვის საკონსტიტუციო სასამართლოში ქვეყნის პრეზიდენტის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებების ირგვლივ საბოლოო კამათი დაიწყო. 8 მარტს სეიმში დაწყებული იმპიჩმენტის პროცედურა დროებით შეჩერებულია და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მოლოდინშია. მოსალოდნელია, რომ პრეზიდენტის იმპიჩმენტს უკვე აპრილში ეყრება კენჭი. პაქსასი შეიძლება გადაყენებულ იქნეს თანამდებობიდან, თუ მის წინააღმდეგ ლიტვის 137-წევრიანი საკანონმდებლო ორგანოს 85 დეპუტატი მისცემს ხმას.

თუ როგორ იმოქმედებს ლიტვის პრეზიდენტის აღიარება მის ბედზე, ამას უახლოეს დღეებში გავიგებთ.

# კრემლინოლოგიის აღორძინება

პიტერ ლევილი
ვაშინგტონ ტაიმსი

საბჭოთა კავშრის დაშლამ იმ მეცნიერების გაქრობაც გამოიწვია, რასაც სოვეტოლოგია ერქვა. რაც შეეხება დასავლურ კრემლინოლოგიას, ეს არის სპეკულირებული ფსევდომეცნიერება, რომლის მიზანსაც იმის შესწავლა და გამოაშკარავება წარმოადგენს, რაც კრემლის კედლებს მიღმა იმალება. ეს კი არასდროს ყოფილა წარმატებული.

მეორე მხრივ, ის არც შეიძლებოდა წარმატებული ყოფილიყო. კრემლინოლოგია, რომელსაც გასართობი ხასიათი უფრო ჰქონდა, ინფორმაციის ნაკლებობის გამო იძულებული იყო, საბჭოთა კავშირის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებები განევითარებინა. ეს კი წარუმატებლობისათვის იყო განწირული.

რუსეთის შესახებ დასავლური მოსაზრებები, ჩვეულებრივ, მცდარი იყო. პეტრე პირველის დროიდან მოყოლებული, დასავლეთი რუსეთში მიმდინარე ცვლილებებს ყოველთვის განვითარების მაგისტრალურ გზად ან მისგან გადახვევად განიხილავდა. საბჭოთა კავშირმა, რომელიც დასავლეთისათვის რეალური იდეოლოგიური და სამხედრო მეტოქე იყო, დასავლეთში შექმნა სპეციფიკური ინდუსტრია - "რუსეთის ექსპერტები."

მოკლედ რომ ვთქვათ, კრემლინოლოგია ცდილობდა, საბჭოთა კავშირის ხელისუფლებაში არსებული დაფარული დაჯგუფებების მოქმედება აეხსნა. კრემლინოლოგების კვლევის საგანს წარმოადგენდა პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებს შორის პრივილეგიების განაწილების საკითხი, თუ ვინ უფრო ახლოს იდგა გენერალურ მდივანთან საპირველმაისო აღლუმზე. ეს დეტექტიური ხასიათის საკმაოდ გასართობი თამაში იყო, მაგრამ ის არ იძლეოდა არავითარ რეალურ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რეალურად რა ხდებოდა კრემლში.

კრემლინოლოგებმა თავისი საქმიანობა ოფიციალურად ჯერ კიდევ ელცინის ეპოქაში დაასრულეს. საბჭოთა კავშირი მიწისაგან პირისა აღიგავა, ხოლო იმ ქაოსის შესწავლა, რომელიც პოსტ-საბჭოთა ტერიტორიაზე 1990-იან წლებში წარმოიშვა, უკვე სრული უაზრობა გახდა. კრემლინოლოგებს ფულს იმისათვის უხდიდნენ, რომ მათ კომუნისტური რეჟიმის ბნელი საიდუმლოებები გაეხსნათ და არა იმისათვის, რათა პოლიტიკური და ეკონომიკური ქაოსი შეესწავლათ.

სახელმწიფო დაფინანსების შეწყვეტის შემდეგ კრემლინოლოგების უმრავლესობამ მუშაობა შეაჩერა, საქმიანობის მიმართულება შეცვალეს და უკეთესი დროის დადგომას დაელოდნენ. მათ შორის ყველაზე წარმატებულები დააჯილდოვეს კიდეც. ამჟამად, არა მხოლოდ ეს ხალხი, არამედ ის ჟურნალისტებიც კი, რომლებიც რუსეთის თემატიკაზე მუშაობდნენ, სრულ ფორმაში არიან.

კრემლინოლოგია, რომელიც გაქრობის ზღვარზე იდგა, ახალი ძალით აღორძინდა, რადგანაც ახლა რუსეთს "კაგებეს" ყოფილი ფუნქციონერი აკონტროლებს. საუბედუროდ, ამ ადამიანმა კვლავ გაუხსნა კარები ანალიზისა და კვლევის ამ წარუმატებელ მეცნიერებას.

ახალი კრემლინოლოგები არ აღიარებენ, რომ პუტინს რუსეთისათვის ახალი და ბედნიერი მომავალი სურს. ამის მიზეზს კი მისი კაგებეშნიკური წარსული წარმოადგენს. მაგრამ, ამ პოპულარული თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ უშიშროების კომიტეტი კადრების შერჩევას განსაკუთრებულად ეპყრობოდა. ამ სამსახურისათვის ყურადღებით არჩევდნენ ერთგულ, ყველაფერზე წამსვლელ და ძლიერი ნებისყოფის მქონე ადამიანებს. მოგწონთ თუ არ მოგწონთ, ამ თვისებებს პუტინს ვერ დაუკარგავთ.

ფილოსოფოსი კარლ პოპერი (1902-1994) ამტკიცებდა, რომ ცოდნის გაღრმავება ჰიპოთეზის ფალსიფიკაციის გზით ხდება. კრემლინოლოგია ადრეც და ახლაც სამ ფუნდამენტურ შეცდომას უშვებს, რომლებიც ფალსიფიკაციას თითქმის შეუძლებელს ხდის.

პირველი - როგორ შეიძლება მოვლენის მნიშვნელობის შეფასება? მაგალითად, კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ნავთობგიგანტი კომპანიის "იუკოსის" საქმიანობის გამოკვლევა მიხაილ ხოდორკოვსკის პოლიტიკური ამბიციებით და მის მიერ ოპოზიციური პარტიების დაფინანსებით იყო განპირობებული. რა არის ეს - რუსეთში პოლიტიკური პარადიგმის შეცვლა თუ ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის იმ კონფლიქტის გაგრძელება, რომელიც 1990-იან წლებში დაიწყო?

რატომ დააპატიმრეს "იუკოსის" ყოფილი შეფი, მილიარდერი ხოდორკოვსკი? იმისათვის, რომ ის თაღლითია თუ იმისათვის, რომ ის პოლიტიკაში ჩაერთო? გამოცნობა თქვენთვის მოგვინდია - კრემლინოლოგები ყველა ამ შესაძლებლობას უშვებენ.

კრემლინოლოგების მეორე შეცდომა - რუსეთის პოლიტიკის პერსონალიზირების მუდმივი მცდელობაა. ვინ არის პუტინი, "ძლიერი" თუ "სუსტი" ლიდერი? საბჭოური ტერმინების - "რეფორმატორების" და "მკაცრი კურსის გამტარებლების" ნაცვლად, კრემლს ახალი იარლიყები მიენიჭა - "ოჯახი" (ექს-პრეზიდენტ ელცინის გარემოცვის ნარჩენები), "ჩეკისტები" (ლენინის დროინდელი კაგებეს თანაშრომლები), "ძალოვნები" (ხელისუფლებაში ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები), "პეტერბურგის დაჯგუფება" (კაგებეს ყოფილი ფუნქციონერები).

როგორც ადრეულ წლებში, კრემლინოლოგია ფრაქციებსა და პოლიტიკოსებს ერთი მიმართულებით განიხილავს და სრული და ყოვლისმომცველი სურათის შექმნას არ ცდილობს. კრემლინოლოგიის ყველაზე დიდ დამსახურებას რუსეთის პოლიტიკური ელიტის წარმომადგენელთა კარიკატურული გალერეის შექმნა წარმოადგენს.

მესამე შეცდომა კი იმ მცდარ წარმოდგენაში მდგომარეობს, რომელიც ხელისუფლების მუშაობას შეეხება. როდესაც ამა თუ იმ მოვლენის არსი ბუნდოვანია, ავტომატურად ჩნდება განცხადებები პუტინისეული კრემლის ავტორიტარული, ანტიდემოკრატიული და რეტროგრადიული ხასიათის შესახებ. ხოლო, როდესაც სრულიად გამჭვირვალე მოვლენები ხდება, როგორიცაა მთავრობაში გამოჩენილი რეფორმატორის დანიშვნა, ეს ფაქტი იგნორირებულია ხოლმე.

ამდენად, კრემლინოლოგიის თანამედროვე მიმართულებას უარი უნდა ეთქვას. აზროვნების ასეთი ფორმა არანაირად არ უწყობს ხელს რუსეთში მიმდინარე მოვლენების გაგებას. ამას არც უნდა ეწოდოს მეცნიერული აზროვნება. თანამედროვე კრემლინოლოგია, ფაქტობრივად, დათვურ სამსახურს უწევს იმის გაგებას და შეცნობას, რაც სინამდვილეში ხდება რუსეთში.

# მუშარაფი "ალ-ქაიდას" სამიზნეში

პაკისტან-ავღანეთის საზღვარზე მდებარე პატარ ქალაქ ვანაში "ალ-ქაიდას" და "თალიბანის" მებრძოლთა წინააღმდეგ მიმდინარე სპეცოპერაცია უშედეგოდ დასრულდა. პაკისტანის შეიარაღებული ძალების სარდლობა და პრეზიდენტი მუშარაფიც თითქმის დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ქალაქში მათ ოსამა ბინ ლადენის მოადგილე და მარჯვენა ხელი აიმან ალ-ზავაჰირი ჰყავდათ მიმწყვდეული. ისლამისტების გააფთრებულ წინააღმდეგობასაც სწორედ ამ მიზეზით ხსნიდნენ. შემდეგ გაირკვა, რომ "ალ-ქაიდას" მებრძოლებს სულ სხვა პირი ხელმძღვანელობდა. აიმან ალ-ზავაჰირი კი, რომლის თავიც ვაშინგტონს 25 მილიონ ამერიკულ დოლარად აქვს შეფასებული, კვლავ დღის სინათლეზე გამოჩნდა. უფრო სწორად, ცნობილმა არაბულმა ტელეარხმა "ალ-ჯაზირამ" ეთერში მისი აუიდო მიმართვა გადასცა. დასავლეთის სპეცსამსახურების ანალიტიკოსები ამჟამად ცდილობენ, დაადგინონ, მართლა ეკუთვნის თუ არა აუდიო ჩანაწერზე აღბეჭდილი ხმა "ალ-ქიადას" მეორე პირს.

ალ-ზავაჰირი მუსლიმებს ბრძოლის გაგრძელებისაკენ მოუწოდებს და კონკრეტულ სამიზნესაც უსახელებს - პაკისტანის პრეზიდენტი მუშარაფი და მისი მთავრობა. **"მე პაკსიტანელ მუსლიმებს მოვუწოდებ, დაამხონ მათი მთავრობა, რომელიც ამერიკელების სასარგებლოდ მუშაობს,"** - აცხადებს აიმან ალ-ზავაჰირი. ის ამ მისიის შესრულებას განსაკუთრებით პაკისტანელ სამხედროებს აკისრებს და მათ მოუწოდებს, რომ სამხედრო გადატრიალების გზით დაამხონ მუშარაფის მთავრობა.



ფერვეზ მუშარაფი

როგორც ცნობილია, ეს მიზანი "ალ-ქაიდას" დიდი ხანია, ამოძრავებს. სულ ცოტა ხნის წინ პაკისტანის პრეზიდენტზე ორი უშედეგო თავადასხმა განხორციელდა.

ამავე დროს, გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ პაკისტანის არმიის დიდი ნაწილი პუშტუნური ტომების წარმომადგენლებითაა დაკომპლექტებული. ისინი უკმაყოფილონი არიან, რომ საკუთარ თვისტომებთან უწევთ ბრძოლა.

**"ქალაქებშიც კი ძლიერია "ალ-ქაიდას" მხარდაჭერა. ერთ-ერთ ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნებულია გამოკითხვის შედეგები, რომლის თანახმადაც პაკისტანელების 65 პროცენტი ბინ ლადენს უჭერს მხარს. ბინ ლადენი პაკისტანში გაცილებით დიდი პოპულარობით სარგებლობს, ვიდრე პრეზიდენტი ბუში,"** - იუწყება ამერიკული ჟურნალი "ტაიმი."



უსტაბაში
ირაკლი ბერიაშვილი

## უშანგა

- მიშა? არა, მიშა არა! შალვა!

უშანგას წითელკოპლებიანი პერანგი ეცვა, აივანზე გადმომდგარიყო და იქიდან ყვიროდა:

- შალვა! შალვა! შალვა!

აივნის ქვეშ გოგო-ბიჭები შეგროვილიყვნენ. ჭიტოს სადღაც მშენებლობიდან კარგა მოზრდილი ცალთვალა ურიკა მოეთრია და ქვევით ეპატიჟებოდა უშანგას:

- ჩამო, უშანგ, აგიტაცია ჩავატაროთ!

უცნაურია, როგორ მეორდება ყველაფერი. გოგო-ბიჭებმა და უშანგამ სამოციანი წლები გამახსენა. პლეხანოველ ბიჭებს ზუსტად ეგეთ ურიკაზე კიკა დაესვათ და მიაგორებდნენ.

- ხრუშჩოვი ვარ, ხრუშჩოვი! - იკრიჭებოდა კიკა და პროსპექტზე გამოფენილ ხალხს ესალმებოდა.

ზუსტად აღარ მახსოვს, რა ზომები მიიღო მაშინ მილიციამ, ეს კი იყო, მეორე დღეს კინოთეატრ "კომკავშირელის" წინ საღ-სალამათი იდგა და თავისებურად "ეწეოდა" - ესე იგი, წინ უბერავდა სიგარეტს.

- "ორას ორის" რეკლამა ვარ, "ორას ორის!" - რეპერტუარი გააფართოვა უშანგამ.

- ჩამო, უშანგ, აგიტაცია ჩავატაროთ! - არ ისვენებდა ჭიტო.

ეგ არი, ხმის უფლება წაართვეს, თორემ უშანგას აგიტაციას დიდი გასავალი ჰქონდა უბანში.

...რაც მე და ჩემმა ბიძაშვილმა ქართული ხალხური ანდაზები ვიცით, სულ ბებიაჩემის დამსახურებაა. ისეთს დაახეთქებდა ხოლმე, გოგოები ყურებამდე წითლდებოდნენ, ბიჭებს კი, რა დაგიმალოთ და, ძალიანაც მოგვწონდა და სამუდამოდ გვეჭედებოდა გონებაში.

- ქართველებს სხვისი ხელით გიყვართ ნარის გლეჯაო, - ისე იტყოდა, თითქოს თვითონ ჭარელი ლეკი იყო. არჩევნებზე წასული ბებიაჩემი ნამდვილად არ მახსოვს, მაგრამ ახლა, ცოცხალი რომ იყოს, ზუსტად იგივეს იტყოდა.

გუშინ რამდენიმე ნაცნობმა მითხრა, ხალხი არჩევნებზე წასვლას არ აპირებს - ყველაფერი ისედაც ნათელია, რა აზრი აქვსო.

ეგრეა, საქმე მოთავებული გვგონია და ინტერესიც დავკარგეთ. თუმცა, არჩევნები აქ არაფერ შუაშია. საერთოდ ეგეთები, ბებიაჩემი რომ იტყოდა, "ყელფანდურები" ვართ. ეს ყველგან, ყოველთვის და ყველაფერში იგრძნობა. აი, ფეხბურთი ავიღოთ. საქმე, რომელსაც ყველაზე სერიოზულად ვეკიდებით. "არარატთან" გამართული შეხვედრებისა და კიდევ რამდენიმე მატჩის გარდა, არ მახსოვს, თბილისის "დინამოს" ბოლომდე მიეყვანოს საქმე. ერთ ბურთს გაიტანდნენ და იყვნენ მერე არხეინად. თუმცა, რა ფეხბურთი, ეგრე ვიყავით ყველაფერში. რაღაც თვალსაზრისით ეს თვისება მომხიბლავიც კია - შურისძიების ჟინს ანელებს, რბილსა და მიმტევებელს ხდის ადამიანს.

გამონაკლისები როგორ არ არის. მაგრამ წაქცეულის ცემა ნამდვილად არ გვიყვარს. ეს კარგად ჩანს თუნდაც ქართული ჭიდაობის წესებში. იმ წესებშიც, ყველა, სულ პატარა ბიჭიც რომ ემორჩილება ჩხუბის დროს.

რაღა თქმა უნდა, არც არჩევნებია გამონაკლისი. საპრეზიდენტო არჩევნებში ოპოზიცია დამარცხდა და ქართველმაც მოთავებულად ჩათვალა საქმე.

არადა, არც ეგრეა. დღეს რომ წაქცეულად გვეჩვენება და სიცილის გუნებაზე გვაყენებს, ხვალ ფეხზე მოგვწვდება და ისე გვიკბენს, თავბედს გვაწყევლინებს.

ამ ბოლო დროს ოპოზიციის აუცილებლობასთან დაკავშირებით იმდენი სისულელე მოვისმინე, ერთხანს ვიფიქრე, მართლა ხომ არ გამოსულელდა ეს ხალხი, ღორის ტილის ამბავი მაინც არ გაუგონიათ-მეთქი?

როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს, ერთადერთი, ვინც რეალურად გრძნობს ამ საფრთხეს, ისევ პრეზიდენტია. ეს ახალგაზრდა კაცი, თავისი ევროპელობისა თუ ამერიკელობის მიუხედავად, ყურს არ უგდებს იორშისა და მისი მსგავსების "დემოკრატიულ აბდაუბდას". არ ვიცი, რა ჰქვია ამას, მონადირის ალღო, პოლიტიკური ინტუიცია თუ ლიდერის თანდაყოლილი ტალანტი, ერთი კია - მართალია, მიხეილ სააკაშვილის მოქმედებას აუარებელი წვრილმანი ლაფსუსი ახლავს თან, მაგრამ მთავარი პრობლემების გადაჭრისას, თვით ყველაზე კრიტიკულ სიტუაციებშიც კი, არც ერთი შეცდომა არ მოსვლია. ვფიქრობ, ამ ეტაპზე საქართველოს პარლამენტში პრეზიდენტს აუცილებლად უნდა ჰყავდეს კონსტიტუციური უმრავლესობა. დარწმუნებული ვარ, ოპოზიციური აზრი თვითონ ამ გუნდის შიგნით საკმარისზე მეტი იქნება.

როგორც ჩანს, ადამიანები სხვის კი არა, საკუთარ მაგალითზეც ვერ სწავლობენ. როგორც ჩანს, ისტორია მართლაც დიდაქტიკურ იგავთა კრებულია და მეტი არაფერი. კარგა ხანია დაგვავიწყდა, როგორი სასაცილო იყო ჰიტლერისა და მისი ამფსონების წინასაარჩევნო შანსები, ვაპირებთ, როგორღაც უყურადღებოდ დავტოვოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში ახლახან ჩატარებული კენჭისყრა, რომელზეც ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი ტერორისტის იასინის ლიკვიდაცია მხოლოდ ერთმა სახელმწიფომ არ დაგმო. ნუ გვგონია, რომ ძალიან სასაცილო და უწყინარია ლეიბორისტებისა და აღორძინების გაუფორმებელი ალიანსი...

- მიშა? არა, მიშა არა! შალვა!

უშანგას კოპლებიანი პერანგი ამოსჩაჩოდა, პირისახეზე ალმური ასდიოდა.

- შალვა! ბაბუ! შალვა!

- ეგ აქ ჩამომსვლელი აღარ არის. - ხელი ჩაიქნია ჭიტომ, ურიკა გრუხუნით მოაბრუნა და მშენებლობისკენ წაარახრახა.

- "ორას ორის" რეკლამა ვარ, "ორას ორის!" - ცალი ხელი მოაჯირისთვის ჩაეჭიდებინა, მეორით კი ჰაერში რაღაცას ხაზავდა უშანგა.

- ვის აძლევ ხმას, უშანგ? - ასძახა ვიღაცამ ქვევიდან.

- შალვას! კაკოს! ბაბუს!

სხვათა შორის, რუსებსაც აქვთ ანდაზები. ერთი დაახლოებით ასე ჟღერს: გამოჭედე რკინა, სანამ ცხელიაო! კაი ანდაზაა.

ისე, ცხოვრებაში ვერ ვიყენებთ, თორემ არც ქართველებს გვაქვს ნაკლები. დღევანდელ ვითარებასაც მშვენივრად ერგება. მაგალითად, აი, ის, ავადმყოფზე როა, სანამ ლოგინშია, მანამდე უნდა იხმაროო (მე მაპატიეთ, მე მაპატიეთ...).

არაა! ანდაზა კაი რამეა, ცხოვრებაში გატარება რომ არ გვეზარებოდეს ქართველებს!

- მიშა? არა, მიშა არა! შალვა!

არც მე მიყვარს წაქცეულზე წიხლის დაჭერა, მაგრამ სულ ისეთი გრძნობა მაქვს, ბებიაჩემი გვერდით მიდგას და მაფრთხილებს, ღორის ტილი, ღორის ტილიო...

არადა, რა აუცილებელია. სპორტშიც ხომ არის ეს ოხერი დამამშვიდებელი ტურნირები. ძიუდოში, ველოში... შეგროვდნენ წაგებულები და გაარკვიონ, ვინ არის იმათ შორის პირველი. თან დამშვიდდებიან კიდეც. მოკლედ, ეგრე ვფიქრობ: წავიდეთ ხვალ არჩევნებზე, საქმე მოვითაოთ, იქითა კვირას კიდე დამამშვიდებელი არჩევნები გავმართოთ - შალიკოსთვის, კაკოსთვის, ზაქროსთვის, ბაბუსთვის...

თქვენი არ ვიცი, მე კი ხვალ, როგორ გუნებაზეც არ უნდა გავიღვიძო, აუცილებლად მოვინახულებ ავადმყოფებს...


საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანია (სგსეკ) აცხადებს ღია ტენდერს ქვემო ქართლში აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად შემდეგ პოზიციებზე:

| ლოტი | ღონისძიების დასახელება | ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | რუსთავის გამრიცხველიანება I ეტაპი 2004 წ 7 აპრილიდან | აბონენტი | 750 |
| 2 | რუსთავის გამრიცხველიანება II ეტაპი 2004 წ 22 აპრილიდან | აბონენტი | 750 |
| 3 | 0.4 კვ მაღთულების გამოცვლა | მეტრი | 1500 |
| 4 | ზეთი ტრანსფორმატორებისათვის | ლიტრი | 5000 |
| 5 | ქვესადგურების გადახურვა | კვ მ | 1500 |
| 6 | ელექტრომარწუხი ("კლეში") | ცალი | 32 |
| 7 | დენისა და ძაბვის გამზომი ხელსაწყო ("ვაფი") | ცალი | 6 |
| 8 | ტრანსფორმატორების მრიცხველები | ცალი | 40 |

სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად და აგრეთვე ნებისმიერი კომერციული და ტექნიკური ინფორმაციისათვის მიმართეთ მარინა გეთიას 31 მარტამდე (marina.getia@uedc.ge)
ტელეფონი +995 99 51 39 30; +995 24 15 70 50.


# დარაჯის ჯიხურში ბუფეტი აღარ იქნება

## დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი ცხოვრების ჯანსაღ წესს ირჩევს

მაკა ჯაიანი

*თურმე შეიძლება, XXI საუკუნეში ევროპული ქვეყნის დედაქალაქში სასკოლო ბუფეტი დარაჯის ჯიხურში ფუნქციონირებდეს, შეშის ღუმელი საკლასო ოთახებში კვამლს აყენებდეს, დამსკდარი მილები ტუალეტებში - ტბორებს, სასაპნეები ცარიელი იყოს, ფიზკულტურის გაკვეთილები კი იმ მიზეზით არ ტარდებოდეს, რომ სპორტული დარბაზი მეოთხე სართულზეა და შენობა დატვირთვას ვერ გაუძლებს. ყველაფერი ეს თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში ხდება.*

ამ რაიონში 31 სკოლა და 34 ბაგა-ბაღია. ის, რაც ზემოთ ითქვა: შეშის ღუმელებით გაკვამლული საკლასო ოთახები, დამსკდარი მილები, ტბორები - ტუალეტებში, ცარიელი სასაპნეები - უმეტესი სკოლის პრობლემაა. ბუფეტი დარაჯის ჯიხურში ერთგან ფუნქციონირებს, თუმცა მოწესრიგებული კვების ბლოკით თავს თითზე ჩამოსათვლელი სასწავლო დაწესებულებები თუ მოიწონებენ. პრობლემაა მერხებიც - არა მარტო მათი მდგომარეობა და რაოდენობა, არამედ ისიც, რომ მერხების განაწილება მოსწავლეთა ასაკისა და სიმაღლის შესაბამისად არ ხდება. შეიძლება, ამას ვინმესთვის მეორე ან მეათე რიგის მნიშვნელობა ჰქონდეს, მაგრამ სპეციალისტები გეტყვიან, რომ მოზარდის ორგანიზმის სწორი განვითარებისათვის ეს უმნიშვნელოვანესი საკითხია, ისევე, როგორც განათება, ჯანსაღი კვება და შესაბამისი ფიზიკური დატვირთვა. აღარაფერს ვამბობ ჰიგიენაზე, რისი დაცვაც ნებისმიერი დაწესებულებისთვის ნორმებში უნდა ჯდებოდეს.

რა ხდებოდა ამ თვალსაზრისით თბილისის სასწავლო დაწესებულებებში, დღემდე მხოლოდ ფრაგმენტულად იყო ცნობილი. ორიოდ კვირაში დანამდვილებით შეგვეძლება ვთქვათ, რა სურათია ამ კუთხით დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში. ასოციაცია "ჯანსაღი სკოლა" ინსპექტირებას სწორედ იქ ატარებს. რამდენად დახურულია განათლების სისტემა, თუნდაც კეთილგანწყობილი შემოწმებებისთვის, კარგად მოგეხსენებათ. ამ შემთხვევაში ასოციაციას თავად რაიონის ახალი გამგებელი უნთებს მწვანე შუქს. ამ თანამშრომლობის შედეგად, უკვე ჩატარდა დიდუბე-ჩუღურეთის 20 სკოლისა და 7 ბაგა-ბაღის კომპლექსური ინსპექტირება. ეს გულისხმობს: სამედიცინო და ფსიქოლოგიური კაბინეტების, მათი კვალიფიციური პერსონალით უზრუნველყოფის, ასევე - კვების ბლოკის, სასკოლო ოთახების, სასკოლო მერხების, განათების, ტუალეტების, ეზოების, სპორტული დარბაზების შემოწმებას, ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების მონიტორინგს და სხვა.



თემურ ჭეიშვილი: "ცხოვრების ჯანსაღი წესი სკოლიდან უნდა დამკვიდრდეს".

ლევან ხერხეულიძის ფოტო

სკოლამდელი და სასკოლო დაწესებულებების ასეთი კომპლექსური კვლევა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში პირველად ჩატარდა. შემოწმდა იქ მოქმედი №1 დამხმარე სკოლაც, რომლის კონტინგენტსაც თბილისსა და თბილისის შემოგარენში მცხოვრები ოლიგოფრენიით დაავადებული 130 ბავშვი შეადგენს. იქ არსებული კვების ბლოკი, რბილად რომ ვთქვათ, გადახალისებას საჭიროებს. დანარჩენ დაწესებულებებს, უკვე ნათქვამის გარდა, სარემონტო შენობების, სადეზინფექციო საშუალებების ნაკლებობის საკითხი აწუხებთ. არის სკოლები, სადაც საერთოდ არა აქვთ სპორტული დარბაზი. ბაგა-ბაღები არც სათამაშოებსა და თეთრეულზე იტყოდნენ უარს. რაც შეეხება სკოლებსა და ბაგა-ბაღებს, რომლებმაც ასოციაციის მიერ ჩატარებული ინსპექტირებისას მოწონება დაიმსახურა, ესენია - 155-ე, 150-ე, 23-ე, მე-4, მე-18, 166-ე, 130-ე სკოლები, 207-ე ბაგა-ბაღში მოქმედი საერო სკოლა "სადუნი".

სასწავლო დაწესებულებების ინსპექტირება პირველი ნაბიჯია იმ პროექტისა, რომლის განხორციელებასაც დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობა ასოციაცია "ჯანსაღ სკოლასთან" ერთად შეუდგა. პროექტი, ასევე, გულისხმობს: რაიონის ხუთი სკოლის, ორი ბაგა-ბაღისა და ერთი ინსტიტუციონალური დაწესებულების მოსწავლეთა, მასწავლებელთა სამედიცინო შემოწმებას; მოსწავლეთათვის საჭირო სტაციონარული გამოკვლევებისა და მკურნალობის უზრუნველყოფას; ჯანმრთელობის ბანკის შექმნას; გამაჯანსაღებელი და სარეაბილიტაციო პროგრამების შერჩევას მოსწავლეებისთვის; სასწავლო დაწესებულებების სამედიცინო პერსონალის ტრეინინგსა და ამისთვის საჭირო მასალების მომზადებას; საექიმო კაბინეტების საჭირო მედიკამენტებით უზრუნველყოფას; სასწავლო დაწესებულებების უზრუნველყოფას სადეზინფექციო საშუალებებით; სასკოლო იმუნიზაციის ორგანიზებას; სამედიცინო, ფსიქოლოგიური კაბინეტებისა და სპორტული დარბაზების აღჭურვას.

**"ქალაქის მერიაში ორწლიანმა მუშაობამ დამანახა, რომ არ შეიძლება სკოლამ აქცენტი მხოლოდ მოზარდის განათლებაზე გააკეთოს. ბავშვს თავიდანვე უნდა ვასწავლოთ ცხოვრების ჯანსაღი წესი, რომ სრულფასოვან პიროვნებად გაიზარდოს. სხვაგვარად - მცოდნე, მაგრამ ცხოვრებისთვის გამოუსადეგარ მოქალაქეებს მივიღებთ,** - ამბობს რაიონის გამგებელი თემურ ჭეიშვილი, - **განათლების სამინისტროს ყოფილ ხელმძღვანელობასთან ამ საკითხებთან დაკავშირებით საერთო ენა ვერ გამოვნახეთ. დღეს მე მისი ახალი ხელმძღვანელობის, ასევე, ჯანდაცვის სამინისტროს, განათლებისა და ჯანდაცვის საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელთა მხარდაჭერის იმედი მაქვს. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი ცხოვრების ჯანსაღ წესს ირჩევს და პირველი სიტყვა ამ საქმეში სწორედ სასწავლო დაწესებულებებმა უნდა თქვან. ასოციაცია "ჯანსაღი სკოლა" წლების განმავლობაში მუშაობდა სკოლებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების საკითხებზე და ამ კუთხით მსოფლიოს გამოცდილებას იცნობს. ჩვენ გვაქვს ბრწყინვალე პროგრამა და მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ მისთვის თანხები გაიღონ ქალაქის ბიუჯეტმაც და რაიონში მოქმედმა მსხვილმა მეწარმეებმაც."**

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, როგორც თემურ ჭეიშვილი აცხადებს, ამიერიდან ცხოვრების ჯანსაღ წესს ირჩევს. სექტემბრისთვის რაიონს უკვე ექნება ერთი სკოლა, რომელიც ჯანსაღი სკოლის პროგრამის ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებს - საკუთარი სასკოლო ავტობუსი, სასწავლო ფორმა, ჯანსაღი სკოლის ჰიმნი - ზარის ნაცვლად, დროშა და ლოგო, მარკირებული მერხები, საუკეთესო კვების ბლოკი, შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო, ფსიქოლოგიური კაბინეტები, სპორტული დარბაზი, ჯანსაღი გარემო, ეყოლება სოციალური მუშაკი. იმ დროისთვის, იქაც და რაიონის სხვა სკოლებშიც მოწესრიგდება ყველა საკითხი, რომელიც ინსპექტირების დასრულებისას გამოვლინდება. ამის მონიტორინგს, ინსპექტირების ანალიზის შედეგად გაკეთებული რეკომენდაციების მიხედვით, ასოციაცია "ჯანსაღი სკოლა" მოახდენს. დიდუბე-ჩუღურეთში სერიოზულად არიან განწყობილნი. კარგია, თუ ეს მაგალითი გადამდები იქნება.

# ზვიად გამსახურდიას იუბილე თსუ-ში

*26 მარტს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 65-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა. ღონისძიებას ორგანიზატორობას ქალბატონ მანანა არჩვაძის ფრთა და საქართველოს საპატრიარქო უწევდა.*

ნინო ცინცაძე

გუშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი სააქტო დარბაზი, აივანი და შემოსასვლელები გადაჭედილი იყო შუახნის ასაკის მანდილოსნებითა და მამაკაცებით, რომლებმაც თავის დროზე ქვეყნის პირველი პრეზიდენტი აირჩიეს და შემდეგ მას ბოლომდე უერთგულეს. დარბაზში ისხდნენ უნივერსიტეტის თანამშრომლები, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატები, მანანა არჩვაძის გუნდის წევრები და სხვა ჩვეულებრივი ადამიანები. ამ წლების მანძილზე ბევრ მათგანს მოხვედრია პოლიციელის "დუბინკა", ბევრს კი საპყრობილეშიც გაუთენებია არა ერთი ღამე. თუმცა, ერთგულების განცდა, ამის გამო, მათ არ მოჰკლებიათ - პირიქით...

დარბაზი კათოლიკოს-პატრიარქსა და ქალბატონ მანანას მქუხარე ტაშით შეეგება. ქალბატონ მანანას ბევრი არაჩვეულებრივად ლამაზი ვარდების თაიგული მიართვეს, ოღონდ, ალბათ, არა - როგორც "ვარდების რევოლუციის" სიმბოლო. სცენაზე საპატიო სტუმრებს შორის ადგილი მიხეილ სააკაშვილის ხანმოკლე წინაასარჩევნო კომპანიონს, გია მაისაშვილსაც ეკავა, მაგრამ აქ არ ჩანდნენ არც კოკო გამსახურდია, თავისი მომხრეებით, და არც თანხმობის ეროვნული სახელმწიფო კომისიის წარმომადგენლები; თუმცა, რამდენადაც ცნობილია, პირველი პრეზიდენტის სახელის უკვდავსაყოფი ღონისძიებებისადმი მიძღვნილი სხდომა გუშინწინ მათაც გამართეს. როგორც ჩანს, მომავალში ზვიად გამსახურდიას სახელთან დაკავშირებით გამართული შეხვედრებით სამი (თუ მეტი არა) მხარე პარალელურად გაგვანებივრებს ხოლმე.

კონფერენცია მისმა უწმინდესობამ ილია II გახსნა. **"ეს პიროვნება თავისი ღვაწლით აუცილებლად შევა ერისა და ეკლესიის ისტორიაში"**, - განაცხადა მან და დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ საქართველოს საპატრიარქო ზვიად გამსახურდიას ყოველთვის გვერდით ედგა.

**"ჩემთვის დიდი პატივია, მივესალმო იმ კონფერენციის დაწყებას, რომელიც საქართველოს პირველი პრეზიდენტის დაბადებიდან 65-ე წლისთავს ეძღვნება. საგულისხმოა, რომ მისი საიუბილეო დღეები უნივერსიტეტიდან იწყება, რადგან სწორედ უნივერსიტეტი იყო მისთვის ჭეშმარიტი Alma mater-ი"**, - ამ სიტყვებით წარდგა დარბაზის წინაშე უნივერსიტეტის რექტორი ბატონი როინ მეტრეველი. თავის სიტყვაში ბატონმა როინმა განსაკუთრებით ორი ისტორიული მოვლენა გამოყო: 1989 წლის აპრილის დღეები და 31 მარტის რეფერენდუმი. რადგან ორივე ამ მოვლენის დროს მას ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული სტატუსი ჰქონდა, პირველ შემთხვევაში ბატონმა როინმა უნოვერსიტეტის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი; გაიხსენა, თუ როგორ აიტაცა მაშინ ეროვნულმა მოძრაობამ სწორედ უნივერსიტეტში ეროვნული დროშა და როგორ წაიღო იგი უმაღლესი საბჭოს შენობისკენ; მეორე შემთხვევაში კი ბატონმა როინმა თავისი ღვაწლიც არ დაივიწყა. მან გაიხსენა, თუ როგორ იყო იგი ერთ-ერთი ინიციატორი იმისა, რომ რეფერენდუმი სწორედ 31 მარტს, ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეს დამთხვეოდა. თავისი გამოსვლა მან შემდეგი სიტყვებით დაასრულა: **"პირობას გაძლევთ, რომ უნივერსიტეტი ყოველთვის იქნება იქ, სადაც ეროვნული სული და ეროვნული ძალა სუფევს"**.

სამეცნიერო მოხსენებები ზვიად გამსახურდიას წრეში კარგად ცნობილმა მეცნიერებმა პროფესორმა თეიმურაზ გვანცელაძემ და პროფესორმა ტარიელ ფუტკარაძემ წაიკითხეს. ამ უკანასკნელის მოხსენება ქართველი ერის შესახებ ზვიად გამსახურდიას კონცეფციას შეეხებოდა. საქართველოს საპატრიარქოს საპარლამენტო მდივანმა გიორგი ანდრიაძემ ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობის ეროვნულ-ქრისტიანულ საფუძვლებზე გაამახვილა ყურადღება. დოცენტ ბიმურზა აფრასიძის თემა პრეზიდენტის ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის საკითხებს ეხებოდა, პროფესორ მანანა ტაბიძისა კი - სიტყვა-სიმბოლოებს ზვიად გამსახურდიას პოეზიაში.

კონფერენცია დიდხანს გაგრძელდა წერილობით გაგზავნილი შეკითხვების, ტაშისა და ცრემლების თანხლებით.

# ვიცე-პრემიერის დაპირებები და ჰოლანდიელთა საჩუქარი

*ფინანსთა სამინისტრო თბილისის მთავრობას ქალაქის წლევანდელი წლის ბიუჯეტის 70-75 მილიონით გაზრდას ჰპირდება. "ზურაბ ნოღაიდელი აცხადებს, რომ დაპირება რეალურია. თუ ასე იქნება, დედაქალაქისთვის განსაკუთრებით მწვავე პრობლემების მოსაგვარებლად საბიუჯეტო ხარჯები საგრძნობლად გაიზრდება და თბილისში ბევრი რამ უკეთესობისკენ შეიცვლება," - აცხადებს თბილისის ვიცე-პრემიერის მოვალეობის შემსრულებელი თემურ ქურხული.*

ნანა ქადაგიშვილი

თბილისის ერთადერთი ვიცე-პრემიერი საკმაოდ ხმამაღალ და მიმზიდველ დაპირებებს იძლევა. **"თბილისს ევროპულ ქალაქად ვაქცევთ, თანაც - ძველ იერს დავუბრუნებთ. უპირველესად კი ყველაზე პრიორიტეტულ საკითხებს მოვაგვარებთ,"** - აცხადებს იგი.

მთავარი პრიორიტი თბილისისთვის ავარიული სახლების აღდგენაა. დედაქალაში არსებული ავარიული სახლების გამაგრებას 200 მილიონი ლარი მაინც სჭირდება. 2004 წლის ბიუჯეტში კი 10 მილიონის ჩადებაა ნავარაუდევი. თუმცა, შარშანდელ ბიუჯეტთან შედარებით, ეს თანხა სამჯერ მეტია. **"ამ 10 მილიონით, პირველ რიგში, 10-12-სართულიან კორპუსებს გავამაგრებთ. მხოლოდ ვარკეთილში უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია 28 მრავალსართულიანი კორპუსი. ერთ-ერთი თორმეტსართულიანი კორპუსი ერთი მეტრით არის გადახრილი და მცხოვრებლებს სახლში სკამის დადგმა უჭირთ,"** - აცხადებს ქურხული.

მეორე პრობლემა, რის მოგვარებასაც ქალაქის მთავრობა აპირებს, დედაქალაქის დასუფთავება, გამწვანება და განათებაა. 2003 წლის ბიუჯეტში თბილისის დასუფთავებისა და გამწვანებისთვის გამოყოფილი თანხები 2004 წელს საგრძნობლად გაიზრდება. გაკეთდება სკვერები. სხვათა შორის, დღეს მერიას "არტ-იმედის" მომღერლებთან ერთად გასართობ-გამწვანებითი ღონისძიებაც აქვს დაგეგმილი. ცნობილი მომღერლები დედაქალაქის ხუთივე რაიონში ხეებს დარგავენ. რაც შეეხება ქალაქის განათებას, წლის ბოლომდე თბილისის ცენტრალური გამზირები და ქუჩები ყვითელი ნათურებით განათდება, ისტორიული მნიშვნელობის შენობებს მინათებებით გაალამაზებენ, დავით აღმაშენებლის გამზირზე კი შენობების გარე ფასადი აღდგება. მოწესრიგდება სარეკლამო დაფები. როგორც ქურხული ამბობს, ამიერიდან სარეკლამო დაფები და შენობების ფასადები მხოლოდ მერიის შესაბამის სამსახურთან შეთანხმებით გაკეთდება.

მესამე მნიშვნელოვან პრობლემაზე (ტრანსპორტით გადატვირთული ქუჩების განტვირთვაზე) მუშაობა მერიამ უკვე დაიწყო. მიკროავტობუსების გადამზიდავი ფირმების სატენდერო პირობებსა და სამარშრუტო სქემების შესახებ "24 საათი" უკვე წერდა. ამჯერად სიახლე ის არის, რომ წელს მერია ჰოლანდიური წარმოების 150 პატარა ავტობუსს შემოიტანს. სხვათა შორის, ჩვენი პირველი ლედის ხათრით, ავტობუსების ღირებულების 30 პროცენტს ჰოლანდიის მთავრობა იხდის. ქალაქის ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ამ ავტობუსების წყალობით, დედაქალაქში მოძრავი "მარშრუტკების" რაოდენობა შემცირდება. **"თბილისის ცენტარულ ქუჩებში, ძირითადად, ავტობუსები იმოძრავებს. რუსთაველის გამზირს მიკროავტობუსებისგან მთლიანად გავათავისუფლებთ. ლესელიძის ქუჩის მიმდებარე ქუჩებზე ტრანსპორტის მოძრაობას საერთოდ შევაჩერებთ და ამ ადგილს სავაჭრო და დასასვენებელ უბნად ვაქცევთ. რაც შეეხება დანარჩენი ავარიული ქუჩების აღდგენას, დაფინანსება აქაც გაიზრდება. კუვეიტის ფონდიდან 5 მილიონს მივიღებთ, მსოფლიო ბანკიდან - 4 მილიონს, ბიუჯეტში კი 10 მილიონია ნავარაუდევი,"** - აცხადებს ქურხული.

ასე რომ, დაპირებები მშვენიერია, მთავარი მათი შესრულებაა. თემურ ქურხული იმედებს ფინანსთა მინისტრზე ამყარებს. **"ზურაბ ნოღაიდელის სწორი პოლიტიკის წყალობით, თბილისში ბოლო სამი თვის დაფინანსება საგრძნობლად გამოსწორდა. იანვრის თვის ბიუჯეტი 200 ათასი ლარის გადაჭარბებით შესრულდა, თებერვლის - 600 ათასის, მარტის თვის კი - 1,5 მილიონი ლარის. თუკი ფინანსთა სამინისტრო 2004 წლისთვის დაგეგმილ ბიუჯეტს რეალურად შეასრულებს, ყველა დაპირების განხორციელებას შევძლებთ,"** - გვპირდება ქურხული.

# შემდეგი - განათლების ყოფილი მინისტრი

ხათუნა ჯანგირაშვილი

*რამდენად დააკმაყოფილებს გენერალური პროკურატურა ყოფილი განათლების მინისტრის ალეკო კარტოზიას თხოვნას - დაკავების შემთხვევაში, მას ნიღბიანი სპეცრაზმელები არ გაუგზავნონ სახლში, - წინასწარ ძნელი სათქმელია. "ნუ შემომისევთ იარაღიან სპეცრაზმელებს, დაკითხვაზე გამომიძახეთ და ჩემი ფეხით, ცივილიზებულად მოვალ პროკურატურაში" , - ეს განცხადება განათლების ყოფილმა მინისტრმა მაღალჩინოსნების დაკავების სერიალის დაწყებისთანავე, სპეციალურად მოწვეულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. ალეკო კარტოზიას ბედი ახლა ირაკლი ოქრუაშვილის ხელშია. საქმე ისაა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ყოფილი მინისტრის მიმართ სისხლის სამართლის საქმე უკვე აღძრა და მასალები გენერალურ პროკურატურას გადაუგზავნა. ერთი სიტყვით, კიდევ ერთი ყოფილი მაღალჩინოსნის საქმე უკვე გენერალურ პროკურატურაში დევს.*



*შინაგან საქმეთა მინისტრი ამაყია.*

**"ალეკო კარტოზია უკვე დაკითხულია, თუმცა ის არ დაგვიპატიმრებია. რას გადაწყვეტს გენერალური პროკურორი, ეს უკვე მისი საქმეა. ჩვენ მას მოკვლეული მასალები გადავეცით",** - განაცხადა გუშინდელ სპეციალურ ბრიფინგზე შინაგან საქამეთა მინისტრმა გიორგი ბარამიძემ. რაც შეეხება შსს-ს მიერ მოკვლეულ მასალებს, მინისტრის ინფორმაციით, საქმე ეხება ალეკო კარტოზიას მხრიდან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით საბიუჯეტო სახსრების გაფლანგვას. ამჯერად, ალეკო კარტოზიას "დედა ენის" წიგნების ბეჭდვის მაქინაციებში ედავებიან.

როგორც ირკვევა, კარტოზიას მინისტრობისას, განათლების სამინისტროსა და შპს "ლამპარს" შორის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის დარღვევით, 1999 წლის 23 აგვისტოს დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც სამინისტრო იღებდა ვალდებულებას შპს "ლამპარისაგან" შეესყიდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პირველკლასელთათვის 62,5 ათასი ცალი "დედა ენის" სახელმძღვანელო. ერთი სახელმძღვანელოს ღირებულება განისაზღვრა ოთხი ლარის ოდენობით. სახელმძღვანელოების შესყიდვის ხარჯები არ იყო გათვალისწინებული 1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით, რის გამოც განათლების მინისტრმა კარტოზიამ გამოსცა ბრძანება, რომლითაც შესაბამის სამსახურს დაევალა განათლების სამინისტროს მიზნობრივი პროგრამებისათვის გამოყოფილი ასიგნებებიდან "ლამპარისათვის" 250 000 ლარის გადარიცხვა.

შინაგან საქმეთა მინისტრის განმარტებით, "დედა ენის" სახელმძღვანელოების ბეჭდვის უფლება მხოლოდ გამომცემლობა "განათლებას" გააჩნდა, **"თუმცა, ტენდერში შპს "ლამპარს" გაამარჯვებინეს, გამომცემლობა "განათლება" დამარცხებულად გამოაცხადეს. შპს "ლამპარმა" ერთი ცალი სახელმძღვანელო გამომცემლობა "განათლებისგან" სამ ლარად შეისყიდა, სამინისტროს კი ოთხ ლარად მიჰყიდა. თითო წიგნიდან მოგება - ერთი ლარი - სამინისტროს დარჩა",** - აცხადებს ბარამიძე.

შინაგან საქმეთა სამინისტროში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა ალეკო კარტოზიას მოადგილის ვლადიმერ სანაძის მიმართაც. ვლადიმერ სანაძე კარტოზიას მინისტრობის პერიოდში, განათლების სამინისტროში ეკონომიკურ საკითხებს კურირებდა. ირკვევა, რომ სანაძემ სასკოლო ინვენტარის დამზადების შეკვეთა მისცა მასთან დაახლოებულ ფირმას, რომელსაც 100 ათასი ლარის ნაცვლად, 187 ათასი ლარი გადაერიცხა. სანაძის საქმე, კარტოზიას საქმესთან ერთად, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გენერალურ პროკურატურას გადაუგზავნა.

ერთი სიტყვით, განათლების სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნები დღეიდან გენერალური პროკურატურის უწყების მოლოდინში არიან.

## პოლიციური წარმატებები

გიორგი ბარამიძემ, გუშინ, კარტოზიასა და სანაძის საქმეების გარდა, სხვა საკითხებზეც ისაუბრა. ტრადიციულად, ბოლო დღეებში სამართალდამცველების მიერ გაწეული მუშაობა შეაფასა, სვანეთის ოპერაციას წარმატებული, წინგადადგმული ნაბიჯი უწოდა და კრიმინალებს კიდევ ერთხელ მისცა გაფრთხილება.

შს მინისტრი ამაყია იმით, რომ ნარკომანიასა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებისა და გულუას სახელობის სპეცდანიშნულების რაზმის მონაწილეობით ჩატარებული სპეცღონისძიებისას, გუშინ, გამთენიისას, რუსთავში ნარკოტიკების გასაღებაში ეჭვმიტანილი ძმები, ფიზული და ვადადი ბაირამოვები დააკავეს. სამართალდამცველებმა დაკავებულების საცხოვრებელი ბინიდან ამოიღეს სარეალიზაციოდ გამზადებული, 11 ე.წ. ჩეკად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ოპიუმი და ორ ჩეკად დაფასოებული ჰეროინი. ასევე ამოღებული იქნა დიდი რაოდენობით აქციზური მარკები.

მინისტრის თქმით, ანალოგიური სპეცოპერაციები მარნეულშიც ჩატარდა. ნარკომანიასა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა თავის საცხოვრებელ ბინაში დააკავეს გია თურნაძე, რომელსაც პირადი ჩხრეკისას სარეალიზაციოდ გამზადებული, ექვს ჩეკად დაფასოებული ჰეროინი აღმოაჩნდა. მარნეულშივე, ნარკოტიკული საშუალებების დიდი ოდენობით შენახვისათვის დააკავეს იური მუსა ოღლი ალეპეროვი, რომელსაც აღმოაჩნდა სარეალიზაციოდ გამზადებული, სამ ჩეკად დაფასოებული ჰეროინი, ხოლო მისი ბინის ჩხრეკისას სამართალდამცველებმა ხუთ ჩეკად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ოპიუმი და ჰეროინი ამოიღეს. "დაკავებულების მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები. სულ, მიმდინარე კვირის განმავლობაში ნარკოტიკების რეალიზაციის ფაქტებზე 17 სისხლის სამართლის საქმე აღიძრა",- ასეთი გახლდათ ბარამიძის გუშინდელი ანგარიში.

შს მინისტრის ინფორმაციით, იმერეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა თერჯოლის რაიონის სოფელ ღვანკეთში მცხოვრები იუზა უგრეხელიძის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას დიდი რაოდენობით საბრძოლო მასალა - ხუთი ცალი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ტყვიებით სავსე ორი ყუთი, 30 ცალი მჭიდი, ყუმბარმტყორცნი და ექვსი ჭურვი ამოიღეს. იუზა უგრეხელიძე შს სამინისტროს თერჯოლის საგანგებო სიტუაციების და სამოქალაქო თავდაცვის სამსახურის უფროსია. ბარამიძის მტკიცებით, იუზა უგრეხელიძის სახლში აღმოჩენილი არსენალი უკვე პატიმრობაში მყოფ ვატო ყიფიანს ეკუთვნის. **"ამის შესახებ ჩვენ გვქონდა ოპერატიული ინფორმაცია. ეს ინფორმაცია დადასტურდა",** - აცხადებს ბარამიძე. მისივე თქმით, არსენალის შენახვისთვის პასუხს აგებს თავად იუზა უგრეხელიძეც და მისი საქმე ვატო ყიფიანის საქმესთან გაერთიანდება.

# ბათუმელ მაღალჩინოსანთა დავალება შეუსრულებელი დარჩა

პირველი გვერდიდან

დაკავებულის და აჭარის სამართალდამცველთა მჭიდრო ურთიერთობა რამდენიმე წლის წინ დაიწყო. მაშინ ბერიძეს ჩვენთვის უცნობი დანაშაულისთვის ბათუმის სასამართლოს მიერ ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი, მაგრამ აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის უშუალო დახმარებით, იგი ოთხ თვეში გაათავისუფლეს. აქედან დაიწყო მათი "თანამშრომლობაც".

თუმცა, შესაძლებელია ლერი ბერიძის ბრალეულობა ამით არ ამოიწუროს. მისი გვარი რამდენიმე დღის წინ გენერალურმა პროკურორმა ირაკლი ოქრუაშვილმა აჭარის პოლიციის ერთ-ერთი მაღალჩინოსნის თემურ ინაიშვილის მკვლელობაშიც დაასახელა. შეგახსენებთ, გენპროკურორის თქმით, ინაიშვილის მკვლელობა, სავარაუდოდ, სწორედ სოსო გოგიტიძემ შეუკვეთა.

ლერი ბერიძის საქმეს უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი იძიებს. თავად ბერიძე ამჟამად დუმილის უფლებით სარგებლობს, თუმცა, როგორც სამართალდამცველები გვპირდებიან, მისი რეალური დანაშაულების შესახებ სრული ინფორმაცია მათთვის უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი.

*24 საათი*

# "კაბადონში" მომხდარი ინციდენტი ამოწურულია

*გუშინწინ საღამოს, საგამომცემლო სახლ "კაბადონში" ჩატარებული სპეცოპერაცია მშვიდობიანად დასრულდა. ანუ, მას სერიოზული სამართლებრივი გართულებები არ მოჰყოლია. უშიშროების სამინისტრომ ხელწერილით გაათავისუფლა კაბადონის" ის თანამშრომელი, რომლის ავტომანქანიდანაც შსს-ს 140 ყალბი პირადობის მოწმობა ამოიღეს და რომელიც გუშინწინ, სპეცოპერაციის მიმდინარეობისას დააკავეს.*

როგორც ცნობილია, უშიშროების სამინისტროს მიერ სტამბიდან ამოღებულ შს სამინისტროს თანამშრომლის ყალბ პირადობის დამადასტურებელ მოწმობებს შს ყოფილი მინისტრის კობა ნარჩემაშვილის ხელმოწერა ამშვენებდა. ამ სიყალბეს შს ამჟამინდელი მინისტრი მის ყოფილ კოლეგასთან არ აკავშირებს. გიორგი ბარამიძის განცხადებით, ყალბი მოწმობის დამზადება ნებისმიერი ადამიანის ხელმოწერით შეიძლება. მინისტრის თქმით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოკვლევა, ჩატარდება გამოძიება, მაგრამ რაც შეეხება კობა ნარჩემაშვილის ბრალეულობას, ბარამიძე დარწმუნებულია, რომ ყოფილი მინისტრი ამ საქმეში გარეული არ იქნება.

**"ჩხრეკა "კაბადონში" ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარდა. მივიღეთ შეტყობინება, რომ სტამბაში, სავარაუდოდ, ყალბი საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდებოდა, რაც ჩხრეკის ჩატარების შემდეგ არ დადასტურდა. ჩვენ იქ ფინანსურ დოკუმენტაციას არ შევხებივართ და არც სპეცრაზმი შესულა ოფისში, სპეცრაზმელები შენობის გარე პერიმეტრს აკონტროლებდნენ, ეს იყო და ეს. აღმოჩენილ შსს-ს ყალბ მოწმობებთან დაკავშირებით, რომელიც სტამბის თანამშრომლის მანქანიდან ამოვიღეთ, აღიძვრება საქმე და დადგინდება, საიდან მოხვდა მასთან ეს მოწმობები. მოკვლეული მასალები იმის საფუძველს არ იძლევა, რომ მათ დაბეჭდვაში ეს სტამბა დავადანაშაულოთ. ამჟამად, სტამბის მიმართ ჩვენ არანაირი პრეტენზია არ გაგვაჩნია,"** - "24 საათთან" საუბრისას განაცხადა უშიშროების მინისტრის მოადგილემ გიგი უგულავამ, რომლის ინფორმაციითაც, "კაბადონის" ოფიციალური მეპატრონე უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილე სვიმონ ნოზაძე გახლდათ, მაგრამ ცოტა ხნის წინ საგამომცემლო სახლის აქციები ერთ-ერთმა უცხოურმა კომპანიამ იყიდა. გავრცელებული ინფორმაციით, სტამბის არაოფიციალური მფლობელი რუსეთში მოღვაწე "ახალი ქართველია".

**"რამდენიმე თვის წინ საერთოდ შეიცვალა მენეჯმენტი, სტამბის ამჟამინდელი მეპატრონეა შვეიცარიული კომპანია "პროჯეტრა". ეს არის კომპანია, რომელიც ნავთობპროდუქტების საერთაშორისო ოპერატორია.**

**უშიშროების სამინისტროსა და ჩვენს შორის მომხდარი ინციდენტი ამოწურულია. სამინისტროს თანამშრომლებს მოეპოვებოდათ ოპერატიული ინფორმაცია და ამიტომაც შემოვიდნენ ჩხრეკაზე, მაგრამ სტამბაში ყალბად დაბეჭდილი დოკუმენტაცია არ აღმოჩნდა. გუშინ ყველაფერი გაირკვა, მათ ბოდიში მოგვიხადეს და ამით დასრულდა ყველაფერი,"** - ჩვენთან საუბრისას განაცხადა სტამბის გენერალურმა დირექტორმა ვილი ელიგულაშვილმა.

მისივე ინფორმაციით, სტამბა, რომელიც პირველი კატეგორიის სარეჟიმო ობიექტია, საქართველოში ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელიც დაცული ქაღალდების ბეჭდვაზე მუშაობს. ცოტა ხნის წინ სტამბამ ინგლისურ კომპანია "დელარუს" მიერ ჩატარებულ ტენდერში გაიმარჯვა და საქართველოში თამბაქოს აქციზურ მარკებს მხოლოდ "კაბადონი" დაბეჭდავს. ამიტომაც, ვილი ელიგულაშვილი მიიჩნევს, რომ უშიშროების სამინისტროსა და სხვა უწყებების მიერ დაწესებული კონტროლი მის ინტერესებშიც შედის, რადგან იგი დაცული იქნება.

*24 საათი*


# კულტურული მემკვიდრეობის საველე მეთვალყურე

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტების ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს კულტურული მემკვიდრეობის საველე მეთვალყურის თანამდებობის დასაკავებლად.

**სამუშაოს აღწერა:**

კულტურული მემკვიდრეობის საველე მეთვალყურე უზრუნველყოფს ობიექტზე მიმდინარე ყველა სამშენებლო სამუშაოს შესაბამისობას კონტრაქტის ერთ-ერთი გარემოსდაცვითი პირობის - პროექტის "კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმის" (CHMP) მიზნებთან. კერძოდ, იგი განახორციელებს სამშენებლო ობიექტებზე არსებული არქეოლოგიური და მიწისზედა ძეგლების და მიმდინარე სამუშაოების შემოწმებას პროექტის CHMP-ის IV ფაზით გათვალისწინებული შესაბამისი პროცედურების საფუძველზე. საველე მეთვალყურე ანგარიშვალდებული იქნება "ბი-პი"-ს წინაშე და დაეხმარება მას მილსადენის პროექტის უსაფრთხო განხორციელებაში, არქეოლოგიურ და მიწისზედა ძეგლებზე ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანის გზით. იგი ურთიერთობას დაამყარებს გარეშე დაწესებულებებთან მხოლოდ "ბი-პი"-ს თანხმობით.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობა:**

ძირითადი მოვალეობები მოიცავს, თუმცა არ იფარგლება შემდეგით:

- მშენებლობისას მიწის სამუშაოების მონიტორინგის ჩატარება, რომლის დროსაც შეიძლება გამოვლინდეს უცნობი არქეოლოგიური მასალები და მონიტორინგის შედეგად მოპოვებული დადებითი და უარყოფითი მონაცემების შესახებ ყოველდღიური ანგარიშების მომზადება.
- სამშენებლო სამუშაოების მიწისზედა ძეგლების დაცვის პროცედურებთან შესაბამისობის მონიტორინგი და აღნიშნულთან დაკავშირებით ყოველდღიური ანგარიშების წარდგენა.
- ობიექტის ზედამხედველის მეშვეობით რეკომენდაციის მიცემა მშენებლობის კონტრაქტორისთვის ან/და გარემოსდაცვითი საველე ზედამხედველისთვის, CHMP-ის მიზნების მიღწევის მიზნით.
- გარემოსდაცვითი და სოციალური სფეროს საველე ზედამხედველის მიერ შემუშავებულ ტრეინინგის პროგრამაში მონაწილეობის მიღება.
- პროექტის სხვა საველე პესონალისთვის მითითებების მიცემა კულტურული მემკვიდრეობის საკითხების გათვითცნობიერების და დაცვის კუთხით.
- ყოველდღიური მონიტორინგის საქმიანობის აღრიცხვა და სპეციალური ანგარიშების მომზადება.
- საჭიროებისამებრ ზედამხედველის საქმის კურსში ჩაყენება კონტრაქტორის მიერ კონატრაქტის პირობების შეუსრულებლობის ირგვლივ, რათა მან კონატრაქტორს ამის შესახებ სპეციალური გაფრთხილებები მისცეს.
- დაინტერესებული პირების ინფორმირება მარშრუტის სპეციფიკურ/ლოკალურ საკითხებზე.
- კულტურული მემკვიდრეობის საკითხების ირგვლივ კონტრაქტორისთვის საორიენტაციო შეხვედრის ჩატარება და მისი დახმარება პროექტის კულტურული მემკვიდრეობის საკითხების ირგვლივ სპეციალიზებული ინსტრუქციული და სახელმძღვანელო მასალების მომზადებაში.
- შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნულების და შემოღობვის დამზადება, განთავსება და შენარჩუნება არქეოლოგიური რესურსებისა და ისტორიული ძეგლების დასაცავად.
- "არქეოლოგიური კვლევის ცენტრისა" და "ძეგლთა დაცვის დეპარტამენტისთვის" ფაქსით დროული შეტყობინებების გაგზავნა არქეოლოგიური და მიწისზედა ძეგლების მნიშვნელოვანი გვიანი აღნოჩენების შესახებ და ამ აღმოჩენების კოორდინირება აღნიშნული სახელმწიფო დაწესებულებების შესაბამის წარმომადგენლებთან.
- შემთხვევითი აღმოჩენების მნიშვნელობის წინასწარი შესწავლა.

**მოთხოვნები:**

- კვირაში ექვსი დღე საველე ბანაკებში ცხოვრებისთვის მზადყოფნა
- სასურველია გამოცდილება მილსადენის მშენებლობის მეთოდებში
- ურთიერთობის კარგი უნარი და კოლეგიალობა
- ინგლისური ენის თავისუფლად ფლობა (ანგარიშგება წარმოებს წერილობით და ზეპირად ინგლისურ ენაზე)
- რეგიონის არქეოლოგიის, ისტორიის და გეოლოგიის ცოდნა
- სხვადასხვა ტიპის ობიექტებზე არქეოლოგიური კვლევების და დაზვერვის სამუშაოების ჩატარების ფართო გამოცდილება
- სულ მცირე 3 წლის გამოცდილება შესაბამის დარგში ან შესაბამისი მოვალეობის შესრულების კუთხით
- კონტრაქტორის თანამშრომლებთან მჭიდრო მუშაობისთვის მზადყოფნა და უნარი და ობიექტზე კონტრაქტორის საქმიანობაზე ზემოქმედების უნარი
- საქმისადმი ორგანიზებული, პრაქტიკული და რეალისტური მიდგომა
- "ბი-პი"-ს პრინციპების და ძირითადი ღირებულებების კარგი ცოდნა და ველზე მათი განხორციელებისთვის მზადყოფნა
- MS Word-თან მუშაობის საბაზისო უნარ-ჩვევები, Microsoft Office-ის პროგრამების ცოდნა

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა 2004 წლის 13 აპრილი, 6:00 სთ.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების განყოფილება**
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
"ბი-პი ჯორჯია"
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38


# არასამთავრობო ორგანიზაცია ახმეტისა და თელავის პოლიციელთა საქმიანობის შესწავლას ითხოვს

ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის" ახმეტისა და თელავის პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან უდანაშაულო მოქალაქეების უფლებების დარღვევის ფაქტებზე საუბრობს და მათ დასჯას შსს-ს გენერალურ ინსპექციას სთხოვს.

ამის შესახებ ორგანიზაციის წევრებმა - ნანა კაკაბაძემ, გელა ნიკოლეიშვილმა და თავად დაზარალებულებმა - ედიკ და გაიდარ ბათირაშვილებმა პრესკონფერენციაზე განაცხადეს.

მათი თქმით, 24 მარტს დილის 7 საათზე ახმეტის რაიონის სოფელ ბირკიანში ნიღბიანი სამართალდამცველები ბათირაშვილების საცხოვრებელ სახლში შეიჭრნენ და მათ კონდახების ცემით მძიმე ხასიათის სხეულის დაზიანებები მიაყენეს.

სამართალდამცველთა განცხადებით, ისინი ვინმე ჩეჩენ ალიხანს ეძებდნენ. როდესაც გაირკვა, რომ არავითარი ჩეჩენი იქ არ იმყოფებოდა და ალიხანი იქვე ერთ-ერთ მცხოვრებს ერქვა, მათ სცემეს სამივე ძმა და შემდგომ ახმეტაში წაიყვანეს. სამართალდამცველებმა მათ დედასაც მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა და უგონო მდგომარეობაში მყოფი ქალი სახლში დატოვეს, სისხლით მოსვრილი იატაკი და კედლები კი თავად მორეცხეს.

აღნიშნულ ფაქტს, მათი თქმით, ათეულობით მეზობელი ადასტურებს, რომლებიც ხმაურის შემდგომ მივიდნენ მათ სახლში. შემდეგ, პოლიციის სამმართველოდან ორი ძმა ედიკ და გაიდარ ბათირაშვილები გაათავისუფლეს, ხოლო მოგვიანებით გაირკვა, რომ ალიხანს, თურმე, ნარკოტიკებით ვაჭრობაში სდებდნენ ბრალს. ედიკ და გაიდარ ბათირაშვილებს დაზიანებების კვალი აშკარად ეტყობათ.

არასამთავრობო ორგანიზაციამ შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსს დავით ჯინჯოლავას მასალები გადაუგზავნა და მომხდართან დაკავშირებით რეაგირების გაკეთება მოსთხოვა.

*ინტერ-პრესი*

## ორი სიტყვით

**ბათუმი.** 9 წლის წინ აჭარაში დაკავებულ პირთა ახლობლებმა გუშინ ბათუმში პრესკონფერენცია გამართეს, დაკავებულები პოლიტპატიმრებად გამოაცხადეს და ცენტრალური ხელისუფლებისგან მათთვის ყურადღების მიქცევა მოითხოვეს. საუბარია დავით ასანიძეზე, ნოდარ, ზაურ, ვახტანგ შოთაძეებზე, იოსებ და მამია ქოქოლაძეებზე, რომლებიც 1994 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ სახალვაშეში განხორციელებულ ყაჩაღობასთან დაკავშირებით დააკავეს. როგორც პატიმრების ახლობლებმა განაცხადეს, მიუხედავად იმისა, რომ დაკავებულებს 10-წლიანი პატიმრობა აქვთ მისჯილი, ისინი დღესაც წინასწარი გამოძიების იზოლატორში რჩებიან. "ვითხოვთ საქართველოს ხელისუფლებისგან, ამას სათანადო შეფასება მიეცეს, დაკავებულები პოლიტპატიმრებად აღიარონ და დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ," - განაცხადა ერთ-ერთი პატიმრის ადვოკატმა გულნარა გურგენიძემ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახალხო დამცველის მოვალეობის შემსრულებელი თემურ ლომსაძე სასჯელთაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს შოთა კოპაძეს მიმართავს რეკომენდაციით, იმ საკანში, სადაც "მაგთიკომის" დამფუძნებელი გია ჯოხთაბერიძე იმყოფება, პატიმართა კონტინგენტი შეირჩეს. ლომსაძემ ჯოხთაბერიძე გუშინწინ მოინახულა. მისი თქმით, საკანში მასთან ერთად მძიმე დანაშაულისთვის გასამართლებული ოთხი პატიმარი იმყოფება. "პატიმართა კონტინგენტის შეცვლა ჯოხთაბერიძის ერთადერთი მოთხოვნაა და მას ციხის ადმინისტრაციასთან სხვამხრივ არანაირი პრეტენზიები არ გააჩნია," - განაცხადა ლომსაძემ, რომლის მონაცემებით, მე-5 საპყრობილეში ინფექციური დაავადება წითელა არის გავრცელებული. გია ჯოხთაბერიძე იზოლირებული საკნიდან საერთოში გუშინწინ ღამით გადაიყვანეს, რის გამოც ბრალდებულმა შიმშილობის აქცია დაიწყო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აჭარის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ ელგუჯა ჯინჭარაძე, მეტსახელად "რემბო" დაინიშნა. აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროში დაადასტურეს გავრცელებული ინფორმაცია შინაგან საქმეთა მინისტრის ჯემალ გოგიტიძის ერთ-ერთ მოადგილედ ელგუჯა ჯინჭარაძის დანიშნვის თაობაზე. სარწმუნო წყაროს მტკიცებით, ელგუჯა ჯინჭარაძე, მეტსახელად "რემბო", ასლან აბაშიძის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ხელვაჩაურის რაიონის პოლიციის, ასლან აბაშიძის პირადი დაცვის, აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს ბათუმის იზოლატორის უფროსად მუშაობდა. იმავე წყაროს ცნობით, ასლან აბაშიძის ოპოზიციისადმი სისასტიკით ცნობილი ჯინჭარაძე აქტიურად მონაწილეობდა ჩოლოქის ცნობილ აქციაში, რის შემდეგაც ასლან აბაშიძემ იგი ბათუმის კომენდანტად დანიშნა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის №1 საერთო რეჟიმის დაწესებულებაში იუსტიციის სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად ჩხრეკა ჩაატარა, რომლის შედეგად, დიდი რაოდენობით აკრძალული ნივთებია ამოღებული. ამოღებულ ნივთებს შორის არის დანები, მჭრელი საგნები, ჩაქუჩები, უროები, ერთჯერადი შპრიცები, მობილური ტელეფონები და მისი დამტენები, სახრახნისები და სხვა. ჩხრეკა 3 საათის მანძილზე მიმდინარეობდა. რუსთავის №1 დაწესებულებაში მყოფი 700-მდე პატიმარი ცალ-ცალკე გაიჩხრიკა. ღონისძიებას ექსცესები არ მოჰყოლია. **მედია-ნიუსი**

# ისევ საარჩევნო შეხვედრა, მაგრამ - სხვა საქართველოში

ბექა სისაური
ქუთაისიდან

**"არ მეგონა თუ კიდევ არჩევნების გამო შევხდებოდით ერთმანეთს,"** -მიმართა ქუთაისში ჩამოსულმა ნინო ბურჯანაძემ მოსახლეობას.

"ავტოქარხნის" დასახლებაში ხალხი დათქმულ დრომდე მივიდა. **"ნინო ქუთაისში დაიბადა და თავიდანვე გამორჩეული ადამიანი იყო. მას ახლა მიეცა საშუალება, რომ საქმე გააკეთოს და გვჯერა, რომ იგი ჩვენი საუკეთესო არჩევანია, მის აქ გამოჩენას სიამაყით ველი,"** -განაცხადა ჩვენთან საუბრისას "ავტოქარხნის" დასახლების მკვიდრმა თამუნა გენძეხაძემ. რომ არა ქუთაისელების მტკიცე ნება, ტოტალური გაყალბებების პირობებში, სახელისუფლებო ბლოკი "ახალი საქართველოსთვის" ბურჯანაძეს მშობლიურ ქალაქში დაამარცხებდა. გუშინ კი უკვე ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი მოსახლეობას კვლავ წინასაარჩევნოდ ხვდებოდა, თუმცა სულ სხვა საქართველოში.

**"უპირველეს ყოვლისა, მადლობა მინდა გადაგიხადოთ ყველას, ვინც ფიზიკურად და მორალურად ჩვენს გვერდით იდგა. მინდა ვისურვო, რომ არც ერთ ჩვენთაგანს არ ჰქონოდეს იმის განცდა, რომ რევოლუციის დროს ჩაფიქრებული სურვილები არ შეუსრულდა. ჩვენ ყველას, პრეზიდენტიდან დაწყებული, ხელისუფლების რიგით წარმომადგენლით დამთავრებული, კარგად გვესმის, რამხელა ტვირთი დაგვაწვა მხრებზე. რამდენიმე დღის წინ პრეზიდენტი სპეციალურად ჩამოვიდა ქუთაისში, რათა თქვენთვის თავისი სითბო და კეთილგანწყობა დაედასტურებინა... ცხადია,**



ნინო ბურჯანაძე მშობლიურ ქალაქში.

**რომ ჩვენ ყველა პრობლემის ერთბაშად მოგვარებას ვერ შევძლებთ, მაგრამ ნელ-ნელა ქალაქში მდგომარეობის გამოსწორება დაიწყება,"** - განაცხადა მოსახლეობასთან შეხვედრისას ნინო ბურჯანაძემ. ქუთაისის მაჟორიტარ კანდიდატს ორ ნოემბრამდეც თითქმის იგივე ელექტორატი უსმენდა. თუმცა ხალხის განწყობა მაშინდელთან შედარებით რადიკალურად განსხვავებული იყო. გუშინ მოსახლეობაში გამქრალი იყო უიმედობა, ნიჰილიზმი, ხელისუფლების წარმომადგენლებისადმი აგრესიული დამოკიდებულება. ნინო ბურჯანაძეც ქუთაისელებს პირველ რიგში ქალაქისთვის ყველაზე მწვავე პრობლემების მოგვარებას დაჰპირდა.

**"რაც არ უნდა მოგვენდომებინა მე და გუბერნატორს, ამ პრობლემებს ერთბაშად ვერ გადავწყვეტდით, მაგრამ ვიცი, რომ ნელ-ნელა ქუთაისში ელექტროენერგიის საკითხის გამოსწორება დაიწყო. ქუთაისში ასევე კატასტროფული მდგომარეობა იყო წყალთან დაკავშირებით, რაც ყველაზე მეტად გვაწუხებდა. წლის განმავლობაში ამ პრობლემასაც მივხედავთ. არ მინდა მოვლენებს წინ გავუსწრო, მაგრამ როდესაც მოსკოვში ვიყავი, ძალიან სერიოზული შეხვედრა მქონდა რუს ბიზნესმენებთან. საუბარი იყო "ავტოქარხნის" რეაბილიტაციაზე. რა თქმა უნდა, იქ ერთბაშად 15 000 კაცი ვერ დასაქმდება, მაგრამ ინვესტორები მოვლენ, ნახავენ, რა მდგომარეობაშია ქარხანა და კონკრეტულ პროგრამას წარმოგვიდგენენ. მოკლედ, გეგმები ძალიან ბევრი გვაქვს,"** - განაცხადა ბურჯანაძემ. გუშინვე ქალბატონმა ნინომ ანალოგიური შეხვედრა "ნიკეას" დასახლებაშიც გამართა. საღამოს კი იგი "მწერალთა სახლში" ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლებს შეხვდა.

# პრეზიდენტის მიმართვა ქართველ ხალხს

პირველი გვერდიდან

მინდა ვთქვა, რომ განუზომლად გაიზარდა საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტი. რეალურად გაჩნდა შესაძლებლობა იმისა, რომ საქართველო უახლოეს მომავალში დაუახლოვდეს და გახდეს კანდიდატი ევროპის კავშირის წევრობისა. ჩვენ მოვახერხეთ ჩვენს მეზობლებთან ბევრად უფრო მჭიდრო და ადამიანური ურთიერთობების დამყარება, რაც პრაქტიკულად არ მომხდარა ჩვენი დამოუკიდებლობის შემდგომი მთელი პერიოდის განმავლობაში.

ჩვენ, ასევე, შევძელით სასიკეთო შემობრუნება ეკონომიკის კუთხით. საქართველოში იზრდება პენსია. ხელფასები და პენსიები ძირითადად გაიცემა დროზე, რაც არ ყოფილა მრავალი წლის განმავლობაში. უკვე მაისის თვეში, როგორც დაგპირდით, შემოვიღებთ ახალ საგადასახადო კოდექსს, რომელშიც მკვეთრად გამარტივდება საგადასახადო ვალდებულებები, რათა ყველა ქართველს მიეცეს საშუალება, გახდეს მეწარმე, ჰქონდეს თავისი ბიზნესი. მათი დამცველი იქნება კანონი და პირადად პრეზიდენტი.

პარლამენტი არის ძალიან მნიშვნელოვანი ორგანო. პარლამენტს შეუძლია მართლაც სერიოზულ რეფორმებს დაუდოს დასაბამი ჩვენი ეკონომიკის განვითარების კუთხით, კანონის უზენაესობის და დემოკრატიის განმტკიცების კუთხით და, იმავე დროს, შეიძლება გახდეს ყველა სასიკეთო ცვლილების მესაფლავეც. ამიტომ ვთხოვ თითოეულ ჩვენს მოქალაქეს განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდოს საპარლამენტო არჩევნებს. ნუ ჩათვლით, რომ არჩევნების ბედი გადაწყვეტილია იმიტომ, რომ თითოეული დეპუტატის ყოფნა პარლამენტში არის მნიშვნელოვანი ქვეყნის მომავალი განვითარებისთვის. ის, თუ როგორი იქნება ეს ხალხი, როგორი პოლიტიკოსები მოხვდებიან პარლამენტში, არის გადამწყვეტი, რათა ქვეყანამ გააგრძელოს ნორმალური გზით სიარული და ის პერსპექტივა, რომელიც გაუჩნდა თითოეულ ქართველს, მართლაც გახდეს შეუქცევადი და შევძლოთ დასახული მიზნების მიღწევა.

სამწუხაროდ, ყველგან ერთდროულად და ერთნაირად კარგად არ მიმდინარეობს საარჩევნო კამპანია. არის სერიოზული პრობლემები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, თუმცა, ჩვენი შეთანხმების შემდეგ, ბათუმში ბოლო დღეებში გარკვეული დადებითი ტენდენციები შეიმჩნეოდა კამპანიის თავისუფლად წარმოების კუთხით. ამავე დროს, რამდენიმე ადგილობრივ პოლიტიკოსს ამ წუთშიც კი არ უშვებენ საკუთარ ხალხთან საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად. მინდა, ვუთხრა ჩემს ერთგულ თანამოქალაქეებს, ჩემს საყვარელ აჭარლებს: ძმებო, ნუ შეგეშინდებათ! დღეს თქვენზე არის ძალიან ბევრი რამ დამოკიდებული. დღეს თქვენს გამბედაობას უყურებს არა მხოლოდ საქართველო, არამედ მთელი მსოფლიო. ასეულობით უცხოელი დამკვირვებელი დაიძრა დღეს აჭარისკენ. ნუ შეგეშინდებათ შეიარაღებული ხალხისაც კი! იფიქრეთ თქვენი და თქვენი შვილების მომავალზე! იფიქრეთ იმაზე, რომ მათ ჰქონდეთ საქართველოში ცხოვრების საშუალება! ამავე დროს, მინდა გითხრათ, რომ კვირას მე ვაგზავნი საქართველოს პრემიერ-მინისტრს ზურაბ ჟვანიას, მთავრობის წევრებთან ერთად აჭარაში, რათა იქ აწარმოოს დაკვირვება არჩევნების პროცესზე და დადგეს თქვენს გვერდით, იმისთვის, რომ არ დაირღვეს თქვენი უფლებები.

მინდა ვუთხრა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე თანამდებობის ყველა პირს: არ მოვითმენ არჩევნების გაყალბებას, საქართველოში უნდა ჩატარდეს ნამდვილად თავისუფალი, გამჭვირვალე, დემოკრატიული არჩევნები! ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევქმნათ ის სტანდარტი, რომლის მიხედვითაც საქართველოში ამომრჩეველთა ხმები არ იპარება. ჩვენ ამ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ წინ გვაქვს ადგილობრივი არჩევნები და ყველამ უნდა ვისწავლოთ, რომ არჩევნები - ეს არის ჩვენი ყველაზე აქტიური მონაწილეობის ფორმა ქვეყნის აღმშენებლობაში. ცალკე ვერც მე და ვერც ჩემი ერთგული თანამებრძოლები ქვეყანას ვერ შევქმნით, თუ თითოეულმა ქართველმა, საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ, არ მიიღო მონაწილეობა საქართველოს აღმშენებლობაში. საქართველო ყველამ უნდა შევქმნათ საკუთარი ხელით, ყველამ უნდა ვიმუშაოთ იმაზე, რომ საქართველოში იყოს კეთილდღეობა, რომ გაჩნდეს ახალი შესაძლებლობები ყველა ასაკის ადამიანებისთვის.

მე ძალიან დიდი იმედი მაქვს თქვენი აქტიურობის და თქვენი მოქალაქეობრივი პოზიციის ამ საპარლამენტო არჩევნებზე.

მინდა, მივმართო ყველა ადამიანს, ვინც ცხოვრობს საქართველოში, მიუხედავად მათი წარმომავლობისა: ეს არის ჩვენი ერთობლივი სამშობლო, ჩვენი ერთიანი სამშობლო და ჩვენ მას აუცილებლად ვაქცევთ წარმატებულ, განვითარებულ ქვეყნად, სადაც არ იქნებიან გაჭირვებულები, დამცირებულები; ადამიანები, ვისაც არ აქვს წამლის ფული, განათლების მიღების ელემენტარული საშუალება. მე ყოველთვის ვიქნები გაჭირვებულების და დაუცველების გვერდით, მე ყოველთვის ვიფიქრებ იმაზე, რომ თითოეულ ბავშვს ჰქონდეს იმის საშუალება, რომ მიიღოს ადეკვატური განათლება, შეექმნას ნორმალური მომავალი, ყოველ ადამიანს ჰქონდეს თავისი შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზების საშუალება, როგორც ბიზნესში, ისე ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში. მაგრამ ამაში ჩვენ თქვენი დახმარება გვჭირდება.

კვირის არჩევნები არის ტესტი თითოეული ჩვენი მოქალაქისთვის და, ასევე - ჩვენი პოლიტიკოსებისთვის. მინდა, იყოს ცივილიზებული არჩევნები, არჩევნები, რომლის შემდეგაც გაგრძელდება დიალოგი ყველაზე პატარა ჯგუფთანაც კი. მაგრამ, ამავე დროს, გადამწყვეტი ჩვენი ქვეყნის ბედის არიან არა პოლიტიკოსები; ჩვენ არ უნდა დავუშვათ ის, რომ პარლამენტში იყოს კერძო ინტერესების ლობირება, არ უნდა დავუშვათ ის, რომ პარლამენტში მხოლოდ საკუთარი ინტერესების დასაცავად მიდიოდნენ, საკუთარი რაღაც ჯგუფის შეყვანა მოახერხონ ხმაურიანი ლოზუნგების და პოპულარული სახელების საფარქვეშ. იმიტომ, რომ საბოლოო ჯამში, პარლამენტი და მთელი ხელისუფლება უნდა იყოს ხალხის ინტერესების წარმომადგენელი და ხალხის ინტერესების დამცველი. თუ თქვენ იქნებით აქტიური კვირას, ჩვენ ამას ერთობლივი ძალით აუცილებლად შევძლებთ და უზრუნველვყოფთ ჩვენს უკეთეს მომავალს.

ღმერთი იყოს ჩვენი ქვეყნის - საქართველოს მფარველი!

# მარჯვნივ, მარცხნივ, თუ პირდაპირ

## პოლიტიკური სპექტრის იდეოლოგიური მოზაიკა

პირველი გვერდიდან

ჩაითვალოს ნეოლიბერალი, ქრისტიან-დემოკრატი, სოციალისტი ან კომუნისტი, და ნაციონალისტიც კი.

რომელი ძალა პასუხობს თანამედროვეობის მოთხოვნებს დღევანდელ საქართველოში?

აშკარაა, რომ ქართული პოლიტიკური ძალები კლასიკური დასავლური მოდელის იმიტირებას ცდილობენ - მემარჯვენეები მემარცხენეების წინააღმდეგ. გავბედავ და ვიტყვი, რომ ქართული პოლიტიკური გაერთიანებების უმრავლესობას ვერც "მემარჯვენეებს" უწოდებ და ვერც "მემარცხენეებს". ქართული პოლიტიკური სპექტრი ჯერ კიდევ არ იმსახურებს ამ სახელწოდებებს, რადგან პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა ისეთ კონსერვატიულ პოზიციებზე დგას, რომ მათ "ჩამორჩენილების" ეპითეტი უფრო მოუხდებათ.

1930-იანი წლებიდან მოყოლებული 1990-იან წლებამდე საბჭოთა კავშირი არა მემარცხენე (კომუნისტური ან სოციალისტური) წესრიგით, არამედ დემოკრატიული ფასადით შენიღბული ფეოდალური წყობით ცხოვრობდა. მოსახლეობა კი, რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო ტრადიციული საზოგადოების სახეს ღებულობდა.

ეს განსაკუთრებით საქართველოზე ითქმის, სადაც საბჭოთა პერიოდში განვითარებული, ფეოდალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი კლანური და ვასალური ურთიერთობები მტკიცედ იყო ფეხმოკიდებული. ამ წყობის რელიქტი დღემდე შემოგვრჩა - აჭარის მმართველი კლანი და მისი პოლიტიკური პარტია "აღორძინება". ამავე წყობის ნარჩენი იყო შევარდნაძის ხელისუფლებაც, რომელიც თავისი არსებობის ბოლო თვეებში მართლაც შუა საუკუნეების სამეფო კარს დაემსგავსა.

დღევანდელი საქართველოს პოლიტიკური პარტიების მთავარი გამოწვევა სწორედ ამ ფეოდალური ტრადიციიდან თავის დაღწევაა, რასაც მათი უმრავლესობა ვერ ახერხებს.

სწორედ კომუნისტური ფასადით გაწყობილი ფეოდალიზმიდან აღმოცენდნენ დღევანდელი ქართველი "სოციალისტები" და "ლეიბორისტები". მათი მოჩვენებითი "მემარცხენეობა" ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. საერთოდ, ჭეშმარიტად მემარცხენე პარტიები მხოლოდ კარგად განვითარებულ ევროპულ სახელმწიფოებში თუ ყალიბდება, სადაც საზოგადოების პოლიტიკური შეგნება იმ დონეზეა, რომ პროგრესულ და ზნეობრივ იდეებს ხალხის ნაწილი პირად გამორჩენაზე მაღლა აყენებს. ევროპის გარეთ "ნამდვილი" მემარცხენეები ცალკეული ინტელექტუალური პოპულაციების სახით თუ გვხვდებიან, თორემ გავლენიან პარტიებს თითქმის ვერასოდეს აყალიბებენ.

ამიტომაც, ქართველი "მემარცხენე" პარტიები სინამდვილეში "გადაცმული" კონსერვატორები არიან. თუ პენსიებისა და დასაქმების შესახებ ყალბ რიტორიკას არ ჩავთვლით, "სოციალისტების", "ლეიბორისტებისა" და "აღორძინების" საქმიანობის მთავარი აქცენტი კომუნისტური წყობის ნაშთების გადარჩენა-შენახვაა. პარადოქსია, რომ ქართველი "სოციალისტებისა" და "ლეიბორისტების" იდეოლოგია, თავისი კონსერვატიული შინაარსით, "ეროვნულ-დემოკრატებისა" და "ტრადიციონალისტების" შეხედულებებს წააგავს. მათ შორის განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ სოციალისტ-ლეიბორისტებისთვის ძვირფასია საბჭოთა წყობის ნოსტალგია, ხოლო ედეპე-ტრადიციონალისტები ცოტა უფრო შორს მიდიან და ცარისტული რუსეთის დროინდელი ქართული თავადაზნაურობის შეხედულებების გაიდეალებას ცდილობენ. არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ჩარჩენილ-გაყინული ყველა ეს პარტია ხვალინდელი არჩევნების აშკარა აუტსაიდერია (თუ, რა თქმა უნდა, აჭარაში "აღორძინებამ" ნაძალადევი ხმები არ მიისაკუთრა).

თანამედროვე რეალობასთან შედარებით უფრო ახლოს დგანან "ახლები" და "მრეწველები", მაგრამ მათი პროგრესულობაც ეჭქვეშ დგება, თუ გავიხსენებთ, რომ თითქმის მთელი მათი კაპიტალი ყოფილ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა-გარიგებების ნაყოფია, რაც ტრადიციულ კონსერვატორებს ახასიათებთ. ამ ძალისთვის "მემარჯვენე ოპოზიციის" წოდება მხოლოდ პირობითად შეიძლება და, აი, რატომ:

თანამედროვე მსოფლიოს წამყვანი პოლიტიკური ძალების ამპლიტუდა მემარცხენე და მემარჯვენე ლიბერალიზმს შორის მერყეობს. შესაბამისად, "ახლები" ლიბერალებად ვერ ჩაითვლებიან, რადგან, ჯერ ერთი, ფული ხელისუფლების ხელშეწყობით აქვთ ნაშოვნი, და, მეორეც, მათ მიერ უამრავჯერ დეკლარირებული "პროდასავლური" და "პროამერიკული" კურსი, სამწუხაროდ, ჯორჯ ბუშის ნეოკონსერვატიული ადმინისტრაციის ცალკეულ წარმომადგენლებთან კერძო შეხვედრებს ვერ გასცდა. ამგვარი "პროდასავლურობა" რომ ლიბერალობისთვის საკმარისი იყოს, პირველი მემარჯვენე ლიბერალი ედუარდ შევარდნაძე იქნებოდა.

რაც შეეხება "მრეწველებს", მათი მემარჯვენე ლიბერალობა უფრო დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა - ამ პარტიის ლიდერთა პოლიტიკური აზროვნება 1960-70-იანი წლების აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ეკონომიკური ნაციონალიზმის დოქტრინებს, უბრალოდ, ვერ სცდება. ამ დოქტრინებმა რამდენიმე ათწლეულით დასწია უკან ხსენებული რეგიონების ეფექტიანი ინტეგრაცია საერთაშორისო ეკონომიკაში. ასე რომ, არც "მემარჯვენე ოპოზიციაა" თანამედროვე სამყაროს რეალობასთან იმდენად ახლოს, რომ ქვეყანაში რეფორმების განხორციელება შეძლოს.

ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელსაც დღეს პროგრესული მუხტის შეტანა შეუძლია ქართულ რეალობაში, "ნაციონალური მოძრაობა -დემოკრატების" საარჩევნო ბლოკია. მისი რიგების ეკლექტურობის მიუხედავად, ამ პოლიტიკურ ძალას გაცნობიერებული აქვს თანამედროვე სახელმწიფოს არსი და შეუძლია, რომ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესი დასავლეთის პოლიტიკურ პრაქტიკას დაუახლოვოს. ამ თვალსაზრისით, "ნაციონალ-დემოკრატების" რიგების იდეოლოგიური ეკლექტურობა შეიძლება კარგიცაა, რადგან არჩევნების ერთპიროვნული მოგების შემთხვევაშიც კი პოლიტიკური დისკუსია ამ ბლოკის სხვადასხვა ფრაქციას შორის დაიწყება და დიქტატურისა და ტოტალიტარიზმის საფრთხეს თავიდან ავიცილებთ.

"ნაციონალ-დემოკრატების" რიგებში პირობითად სამი ბანაკი შეიძლება გამოვყოთ - ორთოდოქსი ლიბერალების, ოპორტუნისტებისა და პროგრესისტების.

პირველი ბანაკი მტკიცედ დგას ორთოდოქსული ნეოლიბერალიზმის პრინციპებზე. მათი იდეოლოგიური მრწამსი ამერიკული დემოკრატიის შეუცვლელობასა და შეუმცდარობას ეყრდნობა. ამ ბანაკს უკვე გამოაჩნდა "ისტორიის დასასრულის" სიმპტომები - მათთვის ლიბერალური დემოკრატია მსოფლიოს ყველაზე მოწინავე იდეოლოგიაა, რომლის მოციქული საქართველოში "ვარდების რევოლუციის" ავანგარდი იყო. შესაბამისად, ყოველივე, რაც მათს ორთოდოქსულ ლიბერალიზმს უპირისპირდება, არ შეიძლება იყოს პროგრესული, რადგან, მათი რწმენით, პროგრესს თავად ისინი განასახიერებენ. ორთოდოქსი ლიბერალები, გარკვეული პერიოდის შემდეგ, ალბათ, კონსერვატიულ პოზიციებზე გადავლენ და მათი პრობლემა, შესაბამისად, მოგვიანებით იჩენს თავს ქართულ პოლიტიკაში.

მეორე ბანაკი ოპორტუნისტებს აერთიანებს - მათთვის იდეოლოგიური მრწამსი ნაკლებად მნიშვნელოვანია, ხოლო ძირითადი ამოცანა ძალაუფლების ან თანამდებობის ხელში ჩაგდება და შენარჩუნებაა. "ნაციონალ-დემოკრატების" ეს ნაწილი უკვე დღეს შედარებით კონსერვატიული აზროვნებით გამოირჩევა და ყველაზე მეტად უახლოვდება ე. წ. "ჩამორჩენილ" პარტიებს, რომლებზეც ზემოთ ვწერდი.

და ბოლოს, მესამე, სამწუხაროდ, ყველაზე მცირერიცხოვანი ბანაკი აერთიანებს იმ ადამიანებს, რომლებისთვისაც ქვეყნის წინსვლა "ვარდების რევოლუციით" არ დასრულებულა და 2003 წლის ნოემბერში არც საქართველოს "ისტორიის დასასრული" დამდგარა. მათთვის ქვეყნის განვითარება მხოლოდ მოსახლეობის ნაწილის გამდიდრებითა და ამერიკული ბაზების საქართველოში მოწვევით არ შემოიფარგლება. ჩემი ვარაუდით, სწორედ ეს მცირერიცხოვანი ბანაკი იქნება პროგრესული პოლიტიკის მამოძრავებელი ძალა საქართველოს მომავალ პარლამენტში.




www.24hours.ge 24 B

შაბათის სტუმარი

# დღე, რომელსაც მოესწრო

A1 გვერდიდან

## მექი კედია

- სპირიდონ კედია ჩვენი ნათესავია, ბებიაჩემის ოჯახში იზრდებოდა. მამა, მექი კედია, 1918-1921 წლებში, რამიშვილის მთავრობაში იყო. 1921 წელს ის იძულებული იყო, დაეტოვებინა საქართველო. ასე რომ არ მოქცეულიყო, უთუოდ მოკლავდნენ. საქართველო მაშინდელ მთავრობასთან ერთად უკანასკნელი გემით დატოვა.

ჩემი მშობლები თავიდან სტამბულში ჩავიდნენ. მეც იქ გავჩნდი. მამას ეგონა, სამშობლოში მალე დაბრუნდებოდა და სულ ამბობდა თურმე, სხვაგან არ წავიდეთ, აქვე ახლოს ვიყოთო. მამას რამდენჯერმე შემოუთვალეს ბოლშევიკებმა, დაბრუნდიო, მაგრამ მან იცოდა, რომ კარგი დღე არ დაადგებოდა. 4 წლის მერე მიხვდა, რომ დაბრუნება შეუძლებელი იყო.

თურქეთში ცხოვრება ძალიან გვიჭირდა. მამა 45 წლის იყო, ენა არ იცოდა და ქარხანაში უბრალო მუშად მუშაობდა, დედაც, ისევე, როგორც ემიგრაციის სხვა ქალები, ბევრს მუშაობდა, ამერიკელი ქალებისთვის აბრეშუმის მაქმანებიან კომბინიზონებს ქარგავდა. სხვათა შორის, ემიგრაცია ქალებმა გაიტანეს. ისტორიულად ყოველთვის ქალები იყვნენ ძლიერნი.

1925 წელს პარიზში ჩავედით. ჩემი ძმა უკვე იქ ცხოვრობდა და სწავლობდა. პარიზშიც ძალიან უჭირდა ემიგრაციას, მაგრამ ერთი და იმავე წრის ადმიანები, ინტელექტუალები ერთად ვიყავით. სითბო არც ოჯახში გვაკლდა და არც გარემოში.

საფრანგეთმა კარგად კი მიგვიღო, მაგრამ თავადაც სირთულეები ჰქონდათ, უმუშევრობა იყო. ემიგრანტებს კი უცხოდ მიგვიჩნევდნენ. მახსოვს, სკოლაში რომ ვიყავი, ერთი სიტყვაც არ ვიცოდი ფრანგულად. კუთხეში ვიყავი, არავინ მეკარებოდა, ვტიროდი... მერე კერძო სკოლაში შემიყვანეს. ერთი ქართველი მანდილოსანი, გვარად ბაგრატიონი, მდიდარი ამერიკელის ცოლი იყო და ის გვიგზავნიდა სტიპენდიას. შემდეგ კოლეჯში გადავედი. იქ კიდევ ორი წელი გრძელდებოდა ეს დაფინანსება, მერე შეწყდა.

ერთი წელი უმაღლეს სასწავლებელშიც ვსწავლობდი, ისტორიის შესწავლა მინდოდა. მაგრამ, ვერ დავამთავრე, რადგან მშობლები ჩემს ზურგზე იყვნენ - მამა ავად გახდა, დედა მას უვლიდა, ამიტომ იძულებული ვიყავი, მემუშავა. დირექტრისამ ჩემივე კოლეჯში სამი წელი მასწავლებლად დამტოვა.

## ქართული პარტიები ყველგან ჩხუბობენ

ემიგრანტთა მეორე თაობა გამოვდივარ. მამა პირველი თაობა იყო, სალომე - მესამე და შვილიშვილები - მეოთხე... თუმცა, ისინი ემიგრანტებად აღარ ითვლებიან. სალომეც ამბობს, ემიგრანტი არ ვარო.

დიახ, მთავრობის ყველა წევრს ერთნაირად უნდოდა სამშობლოსთვის რაღაცის გაკეთება, მაგრამ სოციალისტები, ნაციონალისტები, ფედერალისტები - ბევრი პარტიები იყვნენ და ერთმანეთში ქიშპობდნენ. ჩხუბი და გაწევ-გამოწევაც ხდებოდა... მამა სოციალისტი არ ყოფილა, მაგრამ რადგან მთავრობის წევრი იყო, ცოტა სიმპათია ჰქონდა. ამის გამო ჩემი ძმა სულ ეკამათებოდა...

## ძმა, მიშა კედია

ჩემი ძმა "თეთრ გიორგი"-ში იყო. მახსოვს, ერთმანეთს გულზე ხელმიდებულები ამ სიტყვებით ესალმებოდნენ - "საქართველო უპირველეს ყოვლისა". მასთან ირაკლი ბაგრატიონი, ჯაყელები, მათე კერესელიძე და სხვები მოდიოდნენ, ყველას სახელი აღარ მახსოვს.

მიშამ "ქართული ლეგიონი" დაარსა და ბოლშევიკების წინააღმდეგ მეორე მსოფლიო ომში გერმანელების მხარეს იბრძოდა. ამ ლეგიონიდან ომში ბევრი დაიღუპა. ისევე, როგორც მთელი ჩვენი ოჯახი, მიშაც დიდი პატრიოტი იყო. ის ჰაიდელბერგში გერმანელ არისტოკრატთა ოჯახში ცხოვრობდა, გერმანელებმა სწორედ ამ გზით მიმართეს დასახმარებლად. ის ოჯახი შემდგომ ჰიტლერის წინააღმდეგ შეთქმულებაში იყო ჩარეული და დახვრიტეს. ჩემი ძმა ჯერ პარიზში დაბრუნდა, შემდეგ შვეიცარიაში წავიდა... ის იქ დაავადდა, წარსულის სიმძიმე, სტრესები, სამშობლოში ვერდაბრუნების ტრაგედია მის თავში მუდმივად ტრიალებდა. ამას ველარ გაუძლო და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა... მას ორი შვილი დარჩა, ერთი ადრე გარდაიცვალა, მეორე, ზურაბი პარიზში გამომავალი სპორტული გაზეთისა და რადიოს მმართველობაშია. ახლა ის უკვე 70 წლისაა.

## პირველად საქართველოში

- პირველად, 1986 წელს ჩემდა უნებლიეთ ჩამოვედი. სალომე წამოსვლას აპირებდა. ბავშვები პატარები იყვნენ - თემური 4 წლის, ქეთევანი კი 2 წლის. სალომეს მეუღლეს, რატომღაც, ვიზა არ მისცეს. მე კი პატარა ბავშვებთან ერთად მარტო ვერ გამოვუშვი და წამოვყევი.

ჩემს მეუღლეს არ სურდა საქართველოში წამოსვლა, სანამ საქართველო არ გათავისუფლდება, არ ჩავალ, ჩვენ პრინციპს არ ვუღალატებო. რისთვის წამოვედით, თუ ისევ დაპყრობილ საქართველოში უნდა ჩავიდეო... ლევანი 1974 წელს ისე გარდაიცვალა, რომ საქართველოში ვერ ჩამოვიდა.

პირველი მოგზაურობიდან პარიზში ძალიან დაჩაგრული დავბრუნდი. მაშინ "ივერიაში" ვცხოვრობდით, ეს ერთადერთი ოტელი იყო. გასაქანი არ მოგვცეს - არავის უშვებდნენ ჩვენთან. ერთ მეგობარს დავყავდით მანქანით და უკან ყოველთვის "კაგებეს" მანქანა მოგვდევდა. კახეთში წასვლის ნებართვა ძლივს მივიღეთ და "კაგებე" იქაც გამოგვყვა. სალომეს მამა კალაურიდან იყო. იქ ჩასვლა ვერ მოვასწარი, თუმცა სალომემ მოინახულა.

საქართველოდან პარიზში დაბრუნებული ბევრი ემიგრანტი აღფრთოვანებული ჰყვებოდა, როგორ მიიღეს ისინი საქართველოში. პარიზში არავინ ხარ, აქ რომ ჩამოდიოდნენ, როგორც ემიგრანტებს, მართლაც, კარგად ხვდებოდნენ და ეს მათთვის დიდი ამბავი იყო.

მე ქეიფები არ მაინტერესებდა. ხოლო რაც ვნახე, რა მდგომარეობაშიც მაშინ საქართველო იყო, არ მომეწონა.

## მეუღლე ლევანი

ლევანის დედა ნიკო ნიკოლაძის შვილი იყო. სალომე შვილთაშვილი გამოდის. სხვათა შორის, ნიკო ნიკოლაძის მუზეუმში ვიყავი და ძალიან მომეწონა. ერთხელ იყო ნიკო პარიზში. მაშინ ლევანი სულ ახალგზრდა, 18 წლის თუ იქნებოდა და თავის ბაბუას დაჰყვებოდა. ნიკოს ძალიან უყვარდა ქალები. ლევანი ამბობდა, თვალს რომ გააყოლებდა, სად წავსულიყავი, არ ვიცოდიო...

საქართველო რომ დატოვეს, ლევანი 15 წლის იყო. მამამისი, ივანე ზურაბიშვილი ცნობილი საზოგადო მოღვაწე გახლდათ. მუდამ იქ გამომავალ ჟურნალ "მოამბეში" წერდა. ყველაფერი სახლში მაქვს შენახული.

ჩემი მეუღლე პარიზში გავიცანი. შეიძლება, ერთმანეთი თურქეთშიც ვნახეთ, მაგრამ, პატარა ვიყავი. ლევანი ცოტა ხანს თურქეთში სწავლობდა. პარიზის უმაღლესი საინჟინრო სკოლის დამთავრების შემდეგ რკინიგზაში დიდი თანამდებობა შესთავაზეს. ახლავე მოვაწესრიგებთ ქაღალდებს და მოქალაქეობას გაგიკეთებთო, - უთხრეს. ლევანმა უპასუხა - ქართველად დავიბადე, ქართველი დავრჩებიო... ასე დაკარგა ის ადგილი. შემდეგ ფორდის ავტომობილების ქარხანაში მუშაობდა უფროს ინჟინრად, მაგრამ ისევ ქართველობის გამო დიდ თანამდებობას ვერ მიაღწია. ჩემს მეუღლეს იურიდიულ ფაკულტეტზე უნდოდა სწავლა, მაგრამ არ იყო საფრანგეთის მოქალაქე და ეს ვერ შეძლო.



ზეინაბ კედია-ზურაბიშვილი

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ეს დღე საქართველოს უკანასკნელი იმედია. ეს თუ არ გამართლდა, არ ვიცი, რა იქნება.

მახსოვს, ერთმანეთს გულზე ხელმიდებულები ამ სიტყვებით ესალმებოდნენ - "საქართველო უპირველეს ყოვლისა".

დღეს ყველა ახალგაზრდა ქართველი საფრანგეთის მოქალაქეა. ნელ-ნელა ჩემმა თაობამაც მიიღო მოქალაქეობა, მაგრამ წინა თაობა ყველა ქართველად დარჩა.

თვალწინ ეს ისტორიული სურათი მიდგას - რწმუნებათა სიგელის გადაცემის დროს შევარდნაძე ისეთი გაბრაზებული უყურებს სალომეს... იცის, ვინც არის, როგორი განწყობაა, როგორ წერდა მამამისი შევარდნაძეზე.

## შვილები, სალომე და ოთარი

- ჩემს შვილებს, სალომეს და ოთარს საბუთში ლტოლვილი ეწერათ. 18 წლის რომ გახდნენ, სწავლა-განათლებაში ბავშვებსაც რომ არ შეშლოდათ ხელი, მოქალაქეობა მიიღეს. ეს ნებაყოფლობით არ წყდებოდა. საკითხს ასე სვამდნენ - გინდათ დარჩეთ ლტოლვილი თუ გინდათ ფრანგობა... ამაზე უარის თქმა შეუძლებელი იყო.

დღეს ყველა ახალგაზრდა ქართველი საფრანგეთის მოქალაქეა. ნელ-ნელა ჩემმა თაობამაც მიიღო მოქალაქეობა, მაგრამ წინა თაობა ყველა ქართველად დარჩა.

სალომე ყოველთვის კარგად სწავლობდა. როდესაც საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში კონკურსს აბარებდა, საბჭოელებმა ქართველი ემიგრანტის შვილობის გამო ხელი შეუშალეს. წერითი კონკურსის მერე, სამინისტროში დაიბარეს და უთხრეს, ზეპირი არ მოამზადოთ, მაინც არ გახვალთო. ჩემი ქმარი გაოცდა - როგორო, სად ვართო, როგორ შეიძლება, საფრანგეთზე სსრკ-მ ასეთი ზეწოლა განახორციელოსო... ლევანი ჩვენს მოძღვართან, მამა ილიასთან წავიდა. ისიც აღშფოთდა ამის გამო. იყო ასეთი ადამიანი, ანდრონიკაშვილი - ჯერ დე გოლის და მერე პომპიდუს თარჯიმანი. პომპიდუსთან მივიდა და მხოლოდ მისი ჩარევის შემდეგ გავიდა სალომე გამოცდაზე. საგანი 15 დღეში მოამზადა... რა ამბავი იყო, იცით? დღე და ღამე ხმამაღლა მეცადინეობდა, სახლიდანაც კი წავედი... კონკურსზე პირველი გავიდა, რუსებს, ალბათ, გული გაუსკდათ.

სულ სალომეზე ვლაპარაკობ, ბიჭს ჩაგრავო, მეუბნებიან. ოთარი ექიმია, ძალიან დიდი პატრიოტია, ბევრს მუშაობს. რევოლუციას ძალიან განიცდიდა. იმ დროს ვერ მოახერხა და შემდეგ ჩამოვიდა. ექიმებთან კონტაქტის დამყარება და საქმის კეთება უნდა.

ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს ოთარი მის სანახავად ჩამოვიდა. მან კი პარიზში საქართველოს წარმომადგენლად დანიშნა. საუბედუროდ, ეს ყველაფერი მალე დამთავრდა. ახლა მიმაჩნია, რომ ყველა, ვინც ზვიადს მხარს უჭერდა, დღეს მიშასთან არის.

## მეორე დამოუკიდებლობა

- 90-იან წლებში ზვიადის არჩევნების დროს ჩამოვედი. დავდიოდი სხვადასხვა ბიუროებში და არჩევნებს ვაკვირდებოდი. ქალები პირჯვარს იწერდნენ, ღმერთო, ზვიადს გაამარჯვებინეო... რა იყო მაინც ეს?!

ემიგრაცია არაერთგვაროვნად შეხვდა ზვიადის ხელისუფლებას. სოციალისტები არ ემხრობოდნენ. მერე ხმები დაუყარეს, რომ დიქტატორია, ფაშისტია და ა.შ. ჩვენ, პატარა ჯგუფი მხარს ვუჭერდით და მხოლოდ იმიტომ, რომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ვფიქრობ, ზვიადმა ბევრი რამ გააკეთა ახალგაზრდებისთვის, მან გამოაღვიძა ისინი, ბევრი რამ ქართული ენის, ძეგლების დასაცავადაც გააკეთა - მხოლოდ ამისთვის არის პატივსაცემი, მაგრამ, ეგებ, არ იყო პოლიტიკური ადამიანი, ბევრი შეცდომა დაუშვა და თანაც არ აცალეს...

## ახალი ქართული რევოლუცია

- ვერ წარმოიდგენთ, რა ბედი მეწვია... სალომე რომ ელჩად დანიშნეს, მითხრა, საქართველოში წამოდიო. დაღლილი ვარ, არ შემიძლიამეთქი, მაგრამ, ღმერთო ჩემო, ეს ჩემთვის ზღაპარი იყო. ჩამოვედი და მეორე დღესვე დაიწყო ყველაფერი... სალომეს საფრანგეთიდან ურეკავდნენ, რევოლუცია უკვე მოამზადეო? ახლა თუ სადმე რევოლუცია გვექნება, იქ გაგაგზავნითო...

როგორც კი ჩამოვედი, ტელევიზორთან დავჯექი. სალომეს დავემუქრე, მანიფესტაციაზე გავალ-მეთქი... ჩაგკეტავო, მითხრა. რაღა მექნა, ვიჯექი ტელევიზორთან და მთელი დღე ვუყურებდი. ისეთი ემოციები მქონდა, რომ ხალხთან ერთად აქედან "გადადექის" მეც ვყვიროდი. მიშა რომ პარლამენტში შევიდა, შემეშინდა და ვეუბნებოდი - მიშა, დაწყნარდი, ახლა დინჯად, მშვიდად...

პარიზის ძველი თაობის ქართველებიდან ბევრი წავიდა. ახალგაზრდებს კი უნდათ სამშობლოს კეთილდღეობა, მაგრამ ზოგს აღარ ესმის, მგონი, რაღაც დაეკარგათ. იქ დიდ ბრძოლაში ვიყავი, მიშაზე მეუბნებოდნენ, კარგი, მაგრამ ახლა რომ ხალხს იჭერსო? იმიტომ იჭერს, რომ დასაჭერი არიან-მეთქი, ვპასუხობდი. ერთმა მითხრა, შევარდნაძე მეცოდებაო... როგორ? რა გაუკეთა საქართველოს, როგორ გააწვალა ქართველები. მარტო ის დახოცილი ახალგაზრდები ეყოფა ცოდვად-მეთქი. ყოველთვის ანტიშევარდნაძისტი ვიყავი.

ჰო, აი, რა უცნაური ამბავი მოხდა. არეულობის გამო სალომეს რწმუნებათა სიგელის გადაცემა შეფერხდა. ჩემთვის ვფიქრობდი - ღმერთო, რა იქნება, შევარდნაძეს არ გადასცეს-მეთქი... გადადგომამდე სამი დღით ადრე გადასცა. თვალწინ ეს ისტორიული სურათი მიდგას - სიგელის გადაცემის დროს შევარდნაძე ისეთი გაბრაზებული უყურებს სალომეს... იცის, ვინც არის, როგორი განწყობაა, როგორ წერდა მამამისი შევარდნაძეზე - ლევანი საშინელი ანტიკომუნისტი იყო. სადაც შეიძლებოდა, ყველაგან ამას ლაპარაკობდა და წერდა.

## არა! - საბჭოთა დროშებს პარიზში

- ჩემი ქმარი ხრუშჩოვის გამო ცოტა ხნით პარიზიდან გაასახლეს. სსრკ-ს მაშინდელი პირველი მდივანი ხრუშჩოვი პარიზში ჩამოდიოდა. ეშინოდათ, ვინმეს ბომბი არ ესროლა. მოგეხსენებათ, მაშინ სსრკ-სა და საფრანგეთს რთული ურთიერთობები ჰქონდათ.

ერთ დღეს მოვიდნენ და მითხრეს, თქვენმა მეუღლემ ჩემოდანი მოამზადოს, ხვალ უნდა წავიყვანოთო. ვიკითხე, ტერორისტები ვართ თუ რა-მეთქი, ჩემს ქმარს თუ იჭერთ, მეც დამიჭირეთ, ბომბის სროლა მეც შემიძლია-მეთქი. ხვალ დილას მოვალთო, თუმცა ეტყობოდათ, შეწუხებულები იყვნენ. ლევანს სამსახურში დავურეკე და ეს ვუთხარი. სიცილით მოკვდა... დილის 6 საათზე მოვიდნენ და ლევანი წაიყვანეს. ბავშვები პატარები იყვნენ, გამოვიდნენ და დაბღვერილები უყურებდნენ, როგორ მიჰყავდათ მამიკო.

იმავე დილას ბავშვები სკოლაში მიმყავდა. სკოლა მოშორებით იყო და ავტობუსით ვმგზავრობდით ხოლმე. ავტობუსებზე საბჭოთა დროშები იყო დამაგრებული. ბავშვებმა ეს რომ დაინახეს, არ ავალთო - გამომიცხადეს. ვუთხარი, ხრუშჩოვის გულისთვის ტაქსში ფულს არ დავხარჯავ, თვალებზე ხელები აიფარეთ და ისე ვიმგზავროთ-მეთქი.

ბავშვები კარგ სკოლაში დადიოდნენ. ვიფიქრე, იტყვიან, მამა პოლიციაში წაიყვანესო და ქურდი ან მკვლელი არ ეგონოთ-მეთქი. დირექტრისასთან მივედი და მდგომარეობა ავუხსენი, ძალიან აღშფოთდა.

ლევანი ერთი თვის შემდეგ დააბრუნეს. ის და რამდენიმე "საშიში" ქართველი კორსიკაში გადაუსახლებიათ.

## საქართველოს უკანასკნელი იმედი

- პრეზიდენტთან შესახვედრად პარიზში ბევრი ქართველი მოვიდა, თითქმის ყველა. შევარდნაძე რომ ჩამოვიდა, მე არ დავხვდი. ვბრაზობდი, როგორ შეიძლება მისი დახვედრა, არ იციან, რას წარმოადგენს-მეთქი. ახლა იგივე ხალხი მიშას შეხვდა. ოპორტუნისტი ხალხი არ მიყვარს. მეც და ჩემი ქალიშვილიც პირდაპირი ადამიანები ვართ. მეუღლეც ასეთი იყო.

საქართველოში ოპოზიცია უთუოდ უნდა არსებობდეს. ისე, როგორც უწინ იყო, ერთპარტიულობა არ შეიძლება, მაგრამ უნდა იყოს კონსტრუქციული ოპოზიცია. სამწუხაროდ, ასეთს ჯერჯერობით ვერ ვხედავ...

ჩემი აზრით, დღევანდელი დღე საქართველოს უკანასკნელი იმედია. ეს თუ არ გამართლდა, არ ვიცი, რა იქნება.

## თეიმურაზი და ქეთევანი

- ჩემი შვილიშვილები გვარად გორჯესტანები არიან. ისინი გუგუშვილები იყვნენ. მათი მამის წინაპარი ჯერ კიდევ დამოუკიდებლობამდე წავიდა სპარსეთში და გვარი გორჯესტანად გადაიკეთა, რაც საქართველოდან მოსულს ნიშნავს. ბავშვებმა ქართული იციან. სალომე ხშირად მოგზაურობდა, ბავშვებთან ყოფნა მე მიწევდა და ქართულად ველაპარაკებოდი.

საცოდავი ბავშვები, ახლა მარტო არიან პარიზში. თემური მალე 23 წლის გახდება. ისიც დიპლომატიურ გზას დაადგა. თუ მშობლებს შეუძლიათ, რომ შვილებს განათლება მისცენ, მომხრე ვარ, ახალგაზრდობამ რაც შეიძლება, მეტი ისწავლოს. სალომესაც ყოველთვის ასე ვეუბნებოდი - ისწავლე, დამოუკიდებელი უნდა იყო, რომც გათხოვდე, შენი საქმე უნდა გქონდეს-მეთქი...

ქეთევანი იურიდიულის მესამე კურსზე გადადის. ახლა ის არის დიასახლისი. არ უყვარს ეს საქმე, მაგრამ მისმა ძმამ სწავლის გარდა არაფერი იცის. არა, სწავლის შემდეგ უყვარს წასვლა-წამოსვლაც და ცეკვაც...

ოთარს სამი შვილი ჰყავს. მისი ცოლი ქართველია, დარეჯან ბერიკაშვილი. ის ახლა სწავლობს ქართულს. ბავშვებს მხოლოდ მამასთან უწევდათ ქართული საუბარი და უჭირდათ. მერი - 22 წლის არის, უნივერსიტეტში ფსიქოლოგიას ეუფლება, 19 წლის დალი სინემას სწავლობს, პატარა ნიკოლოზი კი 12 წლისაა.

## დღე, რომელსაც მოვესწარი

- ტელევიზიით გასული სიუჟეტის შემდეგ მკვიდრი ნათესავები გამომიჩნდნენ, ძალიან აღელვებული ვარ. მოაქვთ სურათები, ამბებს მიყვებიან. ჩემმა ნათესავებმა, თოფურიძეებმა ჩემთვის შეინახეს თეფში, რომელიც 150 წლის არის.

სალომეს საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნა ცოტათი ადრე გავიგე, მაგრამ სალომემ მითხრა, სანამ თბილისში არ გამოაცხადებენ, არავის არაფერი უთხრაო. ორი დღე ვერავის ვერ ვეუბნებოდი, კედლებს და სურათებს ველაპარაკებოდი. რას მოვესწარი... სალომეს ვუთხარი, ახლა შემიძლია, ზეცაში მშვიდად წავიდე-მეთქი.



სალომეს ოჯახთან ერთად.



მიშა კედია.




### კონცერტი

**კონსერვატორიის დიდი დარბაზი**
საოპერო სტუდიის სპექტაკლები
დონიცეტი
"დონ პასკუალე"
დას: 19:00 სთ.

### თეატრები

**თეატრალური სარდაფი**
მაიკლ ფრეინი
"ხმაური სცენის მიღმა"
რეჟისორი: ოთარ ეგაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ავქსენტი ცაგარელი
"ხანუმა"რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
ლაშა ბუღაძე
"ნუგზარი და მეფისტოფელი"
დას: 19:00 სთ.

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
რაფიელ ერისთავი
"ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს"
რეჟისორი: გიორგი მარგველაშვილი
დას: 19:00 სთ.

**სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი**
აკა მორჩილაძე
"ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები"
რეჟისორი: დავით ანდღულაძე
დას: 18:00 სთ.

### გამოფენა

**TMS**
ზაზა ნებიერიძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა (ფერწერა)

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
"პერესტროიკიდან" გადატრიალებამდე

**"კოპალა"**
უცნობი გუდიაშვილი

**"ჰობი"**
ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა-კონკურსი

**სურათების ეროვნული გალერეა**
გამოფენა "ექიმები ხატავენ"

### კინოთეატრები

**რუსთაველი**
"ძიძა მამები"
დას: 11:30; 13:15; 15:00 სთ.

"კარიბის ზღვის მეკობრეები"
დას: 17:00; 19:45; 22:30 სთ.

### ახმეტელი

"კარიბის ზღვის მეკობრეები"
დას: 11:30; 14:30 სთ

"ძიძა მამები"
დას: 17:00; 18:30; 20:15 სთ

"ბლუბერი"
დას: 22:00 სთ

### კლუბები

**"აჭარა მიუზიკ ჰოლი"**
დი-ჯეი ბრაიანი
კლუბის გახსნა: 22:00 სთ.
ბილეთის ფასი: 25 ლარი

**ნოა-ნოა**
Liber Tango
აკორდეონის ცოცხალი ფონი
ტანგოს მოცეკვავე "ჟიგოლოები"
დი-ჯეი ტანო
დას: 23:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* *culture@24hours.ge*

## წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

**შაბათს, 27 მარტს 16 საათზე** პროექტი "საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული პარლამენტი" ციკლით "ახალი სახეები ქართულ ხელოვნებაში".

ბავშვთა თეატრალური სტუდია "თეატრალი" წარმოგვიდგენს სპექტაკლს "რჩეული" ლადო ასათიანის პოეზიის მიხედვით.

***მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50***

## ახალი თეატრის გახსნა გადაიდო

თბილისში ათონელის ქუჩაზე ახალაშენებული კამერული თეატრი, რომლის გახსნა თეატრის საერთაშორისო დღეს, 27 მარტს იყო დაგეგმილი, საპარლამენტო არჩევნების გამო რამდენიმე დღით გადაიდო.

თეატრს, სავარაუდოდ, „კამერული თეატრი" ან „თეატრი მშრალ ხიდთან" ერქმევა. მისი სამხატვრო ხელმძღვანელი ახალგაზრდა რეჟისორი გოჩა კაპანაძეა.

თეატრის დარბაზი 120-მდე მაყურებელს დაიტევს, ხოლო თეატრალური სეზონი მონო-სპექტაკლით „მე — სერგო ფარაჯანოვის" პრემიერით გაიხსნება. მთავარ როლს თავად გოჩა კაპანაძე შეასრულებს, რომელიც ცნობილ კინორეჟისორს, სერგო ფარაჯანოვს განასახიერებს. სპექტაკლი მხატვრულ-დოკუმენტური ჟანრისაა და, ძირითადად, სერგო ფარაჯანოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპიზოდებს მოიცავს. „სცენარის სიუჟეტები ვითარდება თბილისში, მოსკოვსა და კიევში. მონო-სპექტაკლის საშუალებით შევეცდებით ფარაჯანოვის არაორდინარული და ორიგინალური პიროვნების წარმოჩენას", - ამბობს გოჩა კაპანაძე.

*მედია-ნიუსი*

# "მაკბეტი" მაკბეტის გარეშე

## ხელმძღვანელობის კრიზისი თუ საბოტაჟი ოპერის თეატრში

მადი სერებრიაკოვა

*ეს ოპერის თეატრის სცენაა, ვერდის "მაკბეტის" დეკორაცია; წესით აქ მთავარი გმირი – მაკბეტი უნდა იდგეს. თუმცა, როგორც ერთ-ერთი კინოგმირი იტყოდა: "დაუკარით, უპატარძლო ქორწილია..." მთავარი პარტიის შემსრულებლები სცენაზე პროტესტის ნიშნად არ გამოდიან. გაფიცული მაკბეტები თეატრში ხელმძღვანელობის შეცვლას ითხოვენ და ცდილობენ ამ ფორმით მიაწვდინონ ხმა ხელისუფლებას. თუმცა, ხელმძღვანელობა უკან დახევას არ აპირებს: გაფიცულ მაკბეტებს შემცვლელი მოეძებნა – 4 აპრილს მთავარ პარტიას სპექტაკლში სანკტ-პეტერბურგის მარიას თეატრის სოლისტი ედემ უმეროვი შეასრულებს.*


*ეს ოპერის თეატრის სცენაა, ვერდის "მაკბეტის" დეკორაცია.*

როგორც თეატრის დირექტორმა, ზურაბ ლომიძემ აღნიშნა, გუშინ თეატრში გამართული საჩვენებელი წარმოდგენა მხოლოდ რეპეტიცია იყო უმეროვის გასტროლის წინ. თუმცა, ჩვენებაზე სანდრა რულოვსსა და მეცენატებს ელოდებოდნენ, პირველი ლედი გუშინ ოპერაში არ მისულა. მთავარმა რეჟისორმა გურამ მელივამ ბრძანა, რულოვსი წინასაარჩევნო კამპანიით არის დაკავებული და თეატრისთვის ვერ მოიცალაო. გაფიცული სოლისტების თქმით კი, **"არც ერთი მეცენატი თეატრის ამ ხელმძღვანელობასთან საქმეს არ დაიჭერს, ბოლო წლების განმავლობაში თეატრის საქმე უკან მიდის, გვინდა მივაწვდინოთ ხმა ხელისუფლებას, რომ თეატრში საშინელება ხდება. ხელმძღვანელობა სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს."**

ხელმძღვანელობის კრიზისი ოპერაში გუშინ არ დაწყებულა. გასულ ზაფხულს დაძაბულობამ პიკს მიაღწია. **"მას შემდეგ, რაც ჯანსულ კახიძე გარდაიცვალა, თეატრი გურამ მელივას სათამაშოდ იქცა. თეატრში ისეთი სიტუაციაა, რომ მომღერალი უკანასკნელი ადამიანი გახდა. არც ხელფასია და არც წესიერი სპექტაკლები"** - უკმაყოფილო სოლისტების მოთხოვნით თეატრში მუსიკალური ხელმძღვანელის პოსტი შეიქმნა. ამ პოსტისთვის თავიდანვე დირიჟორ ზაზა აზმაიფარაშვილს მოიაზრებდნენ. თუმცა, საბოლოოდ იგი ცნობილმა მომღერალმა თემურ გუგუშვილმა დაიკავა. დირიჟორი აზმაიფარაშვილი კი თეატრიდან წავიდა. გუგუშვილის დანიშვნამ დროებით ჩააცხრო კონფლიქტი – იგი ყველასთვის პატივსაცემი და საყვარელი ფიგურა იყო. თუმცა, საბოლოოდ პრობლემა არ გადაჭრილა. **"ჩვენ თავიდანვე ვთხოვეთ თემურს უარი ეთქვა ამ პოსტზე იმიტომ, რომ, ამით თავის კოლეგებს, ჩვენ დაგვიპირისპირდებოდა. თუმცა, იგი დაგვპირდა, რომ ხელმძღვანელობაში ჩვენთვის მისაღებ პოლიტიკას გაატარებდა. საბოლოოდ, ყველაფერი ძველებურად დარჩა."**

სოლისტები უსახსრობას და სპექტაკლების ნაკლებობას უჩივიან. მათი განცხადებით, ამჟამად თეატრი თვეში მხოლოდ სამ სპექტაკლს უშვებს, რაც ჩვეული გრაფიკის მეხუთედიც არ არის. ხელმძღვანელობა ამას უსახსრობით ხსნის. თეატრი საბიუჯეტო ორგანიზაციაა და სახელმწიფო სახსრები არათუ რეპერტუარის განახლებასა და თეატრის შემოქმედებით ინტერესებს, არამედ თანამშრომელთა ხელფასებსაც ძლივს ფარავს. გაფიცული სოლისტები კი იმაზე მიუთითებენ, რომ თეატრი თითქმის ყოველ მეორე დღეს ქირავდება (თითო გაქირავება 1500 დოლარი ღირს, თუმცა ეჭვობენ, რომ ეს სახსრები თეატრის ბიუჯეტში არ მიდის და გაურკვეველი მიმართულებით მიედინება), თეატრის შტატი სავსეა "მკვდარი სულებით", რომელთა ნაწილი მხოლოდ ხელფასის დღეს აღდგება ხოლმე მკვდრეთით. **"თუ ამას ბოლო არ მოეღო, თეატრი ვერასოდეს დადგება ფეხზე,** - აღნიშნავს სოლისტი ბესიკ გაბიტაშვილი, - **დღეს არსებობს საშუალება, რომ თეატრში ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი მოვიდეს. ამერიკაში მოღვაწე ვახტანგ ჟორდანია ბრწყინვალე მუსიკოსია და ამასთან, შესანიშნავი ორგანიზატორი. იგი გვპირდება, რომ ერთ წელიწადში ჩვენი ოპერა ევროპული დონის თეატრად იქცევა."**

ვახტანგ ჟორდანია საქართველოდან 70-იან წლებში წავიდა და ამ წლების მანძილზე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებში ნაყოფიერად მოღვაწეობს. დასავლეთში სახელმოხვეჭილ დირიჟორს, მართლაც, სურს საქართველოში დაბრუნება და ოპერის თეატრის განვითარების გეგმაც უკვე შედგენილი აქვს. გასულ ზაფხულს ჟორდანია ედუარ შევარდნაძესაც შეხვდა და თეატრში საკუთარ გეგმებზე უამბო; შევარდნაძემ მოიწონა, თუმცა საქმე აქვე გაჩერდა.

ოპერის კულუარებში თეატრის ხელმძღვანელის პოსტზე კიდევ რამოდენიმე პიროვნებას მოიაზრებენ. მათ შორის, კვლავ ზაზა აზმაიფარაშვილსა და ვახტანგ კახიძეს. ეს უკანასკნელი გუშინ "მაკბეტის" რეპეტიციასაც ესწრებოდა, თუმცა ჩვენთან საუბარში უარყო ჭორი ოპერაში გადმოსვლის შესახებ და აღნიშნა, რომ მუსიკალურ ცენტრში მისი მოღვაწეობა იმდენ დროს მოითხოვს, რომ სხვაგან მუშაობა წარმოუდგენელია.

ასეა თუ ისე, საოპერო თეატრში გუშინ "მაკბეტი" მაკბეტის გარეშეც შეასრულეს. გურამ მელივამ გაფიცული სოლისტები კონტრაქტით დაკისრებული მოვალეობების უგულებელყოფასა და საბოტაჟში დაადანაშაულა. **"თეატრში დევს განცხადებები, რომ ეს ხალხი უარს ამბობს სპექტაკლში მონაწილეობაზე და ამას ფსიქოლოგიური მდგომარეობით ხსნის".** აღსანიშნავია, რომ სპექტაკლს არც მისი დამდგმელი დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი დირიჟორობს. სადირიჟორო პულტთან, გუნდის ხელმძღვანელი გელა ფარჩუკიძე დგას. გაფიცული სოლისტები აღნიშნავენ, რომ თეატრის ხელმძღვანელობამ მოსკოვის დიდ თეატრსაც მიმართა, რათა მათ მაკბეტის პარტიის შემსრულებელი გამოეგზავნათ, თუმცა დიდი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი – მაყვალა ქასრაშვილი თბილისის თეატრში მიმდინარე პროცესების საქმის კურსში ყოფილა და უარი უთქვამს მოსკოვიდან სოლისტის გამოგზავნაზე.

4 აპრილს "მაკბეტს" პეტერბურგელი სოლისტი შეასრულებს, თუმცა გასტროლიორის იმედად თეატრი ვერ იქნება. ადგილობრივი მაკბეტები კი მთავრობისა და კულტურის სამინისტროსგან რადიკალურ გადაწყვეტილებებს ელოდებიან: **"ახლანდელ ხელისუფლებას, მიხეილ სააკაშვილს აქვს კურსი აღებული, რომ უცხოეთში მოღვაწე ქართველების სამშობლოში დაბრუნებას შეუწყოს ხელი. ვახტანგ ჟორდანიას შესწევს ძალა, აქვს შესაბამისი გავლენა და კავშირები, რომ თეატრი ფეხზე დააყენოს – რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ეს შანსი?"**

# საჩუქარი

## ნდობის გამჟღავნებისა და თანამშრომლობის წინაპირობა

ვერა ნეფარიძე

*შარშან თბილისში ლეგენდარული ამერიკელი ფოტოჟურნალისტის რობერტ კაპას ექსპოზიციის ჩვენებამ საყოველთაო ინტერესი გამოიწვია. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გახსნილ გამოფენაზე, რომელიც აშშ-ს საელჩოსა და კომპანია "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების" ერთობლივი პროექტი იყო. ითქვა, რომ ექსპოზიცია საქართველოში დარჩებოდა. ამ ხნის განმავლობაში აშშ-ს საელჩოში ფიქრობდნენ, ვისთვის ჩაებარებინათ ექსპოზიცია, რომელიც ჩვენთვის, ვიზუალურის გარდა, განსაკუთრებულ ისტორიულ ღირებულებასაც იძენს. გუშინ ფართო საზოგადოებისთვის გაცხადდა, რომ საელჩოსა და "ბორჯომის" წარმომადგენლებმა არჩევანი "ფოტოგრაფიისა და ახალი მედიების კავკასიის ინსტიტუტზე" შეაჩერეს.*


*მამუკა ხაზარაძე, გიორგი გაბაშვილი და დავით ლორთქიფანიძე*

"რობერტ კაპას ეს ფოტოები ქართველ ხალხს ეკუთვნის. ექსპოზიციის უმეტესი ნაწილი შარშან პირველად გამოვიტანეთ ფართო საზოგადოების წინაშე. ჩვენი მხრიდან, ძალიან დიდი მადლობა უნდა გადავუხადოთ ფოტოგრაფის ძმას კორნელ კაპასა და რობერტ კაპას არქივის კურატორს რიჩარდ ველანს გაწეული მხარდაჭერისთვის", - "ფოტოგრაფიისა და ახალი მედიების კავკასიის ინსტიტუტში" საჩუქრის გადაცემის ცერემონიალი საქართველოში აშშ-ს საელჩოს კულტურისა და პრესის ატაშემ ქალბატონმა როინა კროს-ნაჯაფმა გახსნა. ღონისძიება ნაკლებად პომპეზური, მაგრამ, თუ სტუმართა სტატუსს გავითვალისწინებთ, საკმაოდ საქმიანი და საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო. საქართველოს ისტორიის მუზეუმ "ქარვასლაში" განთავსებულ ფოტოგრაფიის ინსტიტუტში, ოფიციალური სტუმრის სახით, პირველად ვიხილეთ კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გიორგი გაბაშვილი; მინისტრი შეხვედრაზე მოადგილესთან თამარ ქვარიანთან ერთად მოვიდა. მათ გარდა, "ქარვასლაში" იყვნენ: "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" პრეზიდენტი მამუკა ხაზარაძე, კომპანიის რამდენიმე წარმომადგენელთან ერთად; ასევე, შეხვედრას ესწრებოდა ხელოვნების სფეროში მომუშავე რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელიც.


*როინა კროს-ნაჯაფი*

"რობერტ კაპას ფოტოების ჩამოტანა, რაც დრო გადის, ჩემთვის საქართველოში განძის ჩამოტანის ტოლფასი ხდება. სიამაყის გრძნობა მეუფლება, რომ ჩვენმა კომპანიამ მიიღო ამ პროექტში მონაწილეობა. იმედი მაქვს, მოვახერხებთ, რომ პერიოდულად ეს ფოტოები ვაჩვენოთ ჩვენს საზოგადოებას", - გვითხრა გუშინ წარმატებულმა ბიზნესმენმა მამუკა ხაზარაძემ.

ექსპოზიციის გადაცემა უპირობო და სპონტანური არ ყოფილა. აშშ-ს საელჩოს ერთადერთი პირობა ექსპოზიციის მომავალი მესაკუთრეებისთვის ასეთი იყო – მათ უნდა შეენახათ ფოტოები და მიეცათ პირობა, რომ დროდადრო ამ ფოტოებს ფართო საზოგადოებას წარუდგენდნენ. ექსპოზიციის საქართველოში დატოვების რამდენიმე ვარიანტი იყო. მათ შორის - ერთ-ერთი ასეთიც: გამოფენის ის ნაწილი, სადაც აღბეჭდილია აჭარა, საქართველოს ამ კუთხეში გაეგზავნათ; მაგრამ, საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ სჯობდა ექსპოზიციის მთლიანობა შეენარჩუნებინათ.

"ჩვენთვის ორი მომენტია მნიშვნელოვანი. რასაკვირველია, გვიხარია, რომ საჩუქარი ჩვენ გადმოგვეცა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ დონორებს აქვთ ჩვენი ნდობა. ჩემი აზრით, ეს კოლექცია არაა აუცილებელი ცალკე, დამოუკიდებლად არსებობდეს. შესაძლებელია მისი ინტეგრირება სხვადასხვა გამოფენებთან; ამ ფოტოებს მე დიდი ვიზუალური პროექტების კონტექსტში ვხედავ", - ამბობს "ფოტოგრაფიისა და ახალი მედიების კავკასიის ინსტიტუტის" ხელმძღვანელი ვატო წერეთელი. რაც შეეხება ექსპოზიციასთან დაკავშირებულ სამომავლო გეგმებს, ჯერჯერობით, კაპას ფოტოების გამოფენის სურვილი "წიგნის სახლმა" გამოთქვა. ინსტიტუტში განიხილება სხვა პროექტებიც. ასე რომ, ამიერიდან რობერტ კაპას ფოტოექსპოზიციას სხვადასხვა გალერეაში დროგამოშვებით დავათვალიერებთ. გუშინდელი შეხვედრა კი იმის წინაპირობა მეჩვენა, რომ მალე ჩვენთანაც შეძლებენ კულტურული პროექტების ირგვლივ გაერთიანებას: არასამთავრობოები, ბიზნესმენები, სახელმწიფო სტრუქტურები და უცხოელი დონორი ორგანიზაციები.

# კინორეჟისორი კინოს შესახებ

სალომე კიკალეიშვილი

*"ჩემი ფილმები თავისუფალ ადამიანზეა, რომელიც საკუთარი უფლებების დასაცავად იბრძვის. ეს არის და ეს, მეტი არაფერი".*

21 მარტს ქართველ კინორეჟისორს, მერაბ კოკოჩაშვილს 69 წელი შეუსრულდა. 60-იანელთა კიდევ ერთი წარმომადგენელი, "მიხას", "დიდი მწვანე ველის", "ნუცას სკოლის", დოკუმენტურ-პუბლიცისტური "გზის" (საქართველოს ისტორიაზე) თუ სხვა, ქართველი მაყურებლისათვის ნაცნობი ფილმების ავტორი, დღეს, ძირითადად, პედაგოგიური საქმიანობით არის დაკავებული. ასწავლის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხელმძღვანელობს სატელევიზიო ფილმების სტუდიას, კინოენისა და სტრუქტურის ლაბორატორიას და ქართული კინოსათვის საკმაოდ მძიმე პერიოდში მაინც ახერხებს, მოკლემეტრაჟიანი ფილმების შექმნას.

პოლემიკა ქართული კინოს ყოფნა-არყოფნის შესახებ, შეიძლება ითქვას, მოძველებულია. თუმცა, ფაქტია, ქართული პროდუქციის ნახვა ეკრანზე დღეს იშვიათი სიამოვნებაა, ანდა თუ ნახე, მაშინ სიამოვნების რა მოგახსენოთ, შეიძლება გაწბილებულიც კი დარჩე. რა არის ამ ყველაფრის მიზეზი? მხოლოდ უსახსრობა? ამ კითხვებით ვეწვიეთ ბატონ მერაბ კოკოჩაშვილს.


ქართული კინოს 60-იანელები: ლანა ღოღობერიძე, მერაბ კოკოჩაშვილი და ელდარ შენგელაია

**- ქართულ კინოს არაერთხელ განუცდია კრიზისი. მაგრამ ყოველთვის ახერხებდა მდგომარეობიდან გამოსვლას. მაგალითად, როცა მოვიდა 60-იანელთა თაობა. კინემატოგრაფი დღესაც გარკვეულ ჩიხშია მოქცეული. იქნებ შესაძლებელია გარკვეული პარალელის მოძებნა, ძველთან და ახალთან, რაღაცნაირად სწორი გზის შერჩევა...**

- რაღაც ასოციაციები, რა თქმა უნდა, ჩნდება, თუმცა პირდაპირი პარალელის გავლება არასწორი იქნებოდა. ისევე როგორც დღეს, ის დრო უმძიმესი პერიოდი იყო ქართული კინემატოგრაფისთვის, მაგრამ მაშინ ეს დაკავშირებული იყო იმ სახელმწიფო, საბჭოთა სისტემასთან, რომელიც მთლიანად იდეოლოგიზირებული იყო. ამ სისტემამ მიგვიყვანა იქამდე, რომ სცენარიდან დაწყებული, ლამის მსახიობის შერჩევით დამთავრებული, ყველაფერს მთავრობა აკონტროლებდა; სტალინი, ცეკას მდივნები წყვეტდნენ იმას, თუ რომელი ფილმი იქნებოდა გადაღებული, სად რომელი მსახიობი ითამაშებდა. მოკლედ იმ დროის კინო ძალზედ დიდი იდეოლოგიური ზეწოლის ქვეშ იყო. მათ არ სჭირდებოდათ ახალი აზროვნება. ამ ჩარჩოების გამო იქმნებოდა ძალიან ცოტა ფილმი, და ისიც ისეთი, როგორიც იმ მთავრობას აწყობდა. სწორედ 50-იანი წლებიდან იწყება ის ძვრები ქართულ კინოში, რომელიც თენგიზ აბულაძეს, რეზო ჩხეიძეს, შოთა მანაგაძეს უკავშირდება. ჩვენი, 60-იანელების მოსვლა კინოში კი დაემთხვა ხრუშჩოვის, ე.წ. ლღვობის პერიოდს. ჩვენი მისია, იყო არსებული წინაღობის დაძლევა, რადგან ხელოვნებასთან არის ეს დაკავშირებული, თუ ცხოვრებასთან, თუ არ ხდება იმ ბარიკადის დაძლევა, რომელიც გზად გხვდება, მაშინ არ შეიძლება არსებობდეს განვითარება. ჩვენი სირთულე იმ იდეოლოგიური ხვრელის მოძებნა იყო, რომელიც სიმართლეს გვათქმევინებდა. მე მიჭირს სხვებზე ვისაუბრო, თუმცა ჩემთვის მთავარი იმ თავისუფალი ადამიანის ჩვენება იყო, რომელიც საკუთარი უფლებებისთვის იბრძვის, ის, რაც ყველაზე მეტად დათრგუნული იყო იმ პერიოდში. დღევანდელი გადასახედიდან ვფიქრობ, რომ იმ თაობამ შეასრულა თავისი მისია, მათ თქვეს ის, რაც უნდა ეთქვათ, მონახეს საშუალება იმ პირობებში, როცა სახელმწიფო თავისი იდეოლოგიის გამაგრებისთვის იძლეოდა ფულს ფილმის გადასაღებად, შეექმნათ ნამდვილი, ჭეშმარიტი ხელოვნება.


მერაბ კოკოჩაშვილი 69 წლისაა

**- დღევანდელი ახალგაზრდები აბსოლუტურად თავისუფალნი არიან არჩევანში, და, ვთქვათ იგივე 60-იანელების წინაშე არსებულ სირთულეებს არ განიცდიან, მაგრამ არა აქვთ მთავარი - ფინანსები. ის, რაც დღეს კეთდება, იგივე სტუდენტური ფილმების ფესტივალზე ნაჩვენები ფილმების უმრავლესობა თავისი თემატიკით თუ მხატვრული გამომსახველობით, ძალიან სუსტია. რისი ბრალია? იქნებ აქ სხვა მიზეზებიცაა, და ჩვენ კიდევ ყველაფერს ფინანსებს ვაბრალებთ?**

- მართალია, არის სუსტი, მაგრამ ასევე ნორმალური ფილმებიც, ეს ხომ ყოველთვის ასეა, არის კარგიც და ცუდიც. თუ მაშინ გადაღების შესაძლებლობა იყო, მაგრამ არ იყო თავისუფალი აზროვნების შესაძლებლობა, დღეს ყველაფერი პირიქითაა: არსებობს აბსოლუტურად თავისუფალი, ინდივიდუალური, პიროვნული აზროვნების შესაძლებლობა. მაგრამ, ეს პიროვნული აზროვნება ღრმა და სერიოზული, იყოს, ამისთვის უნდა იყოს პიროვნება, უნდა არსებობდეს თვალსაზრისი, რომელიც არა მარტო პიროვნებისეული, ინდივიდუალური, ანუ შენ თავში ჩაკეტილი იქნება, არამედ უნდა გახსოვდეს ის, ვისთვისაც კინო განდა – მაყურებელი. შენი ამოცანაა, ისეთ სიმს მოქაჩო, რომელიც მასაც აღელვებს, რადგან მარტო შენი ღელვა აქ არაფერია. ეს უნდა ყველას შეეხოს, ერთად აჟღერდეს ისევე, როგორც ქართული მრავალხმიანი სიმღერა. რადგან ცალკე ნათქვამი ხმა - ცალკე ნათქვამია, ერთად კი იქმნება ის ჰარმონია, რასაც ხელოვნება ჰქვია. თუ არსებობს თვალსაზრისი, მაშინ ამას აუცილებლად მოჰყვება სუბიექტური განცდის შედეგად დაბადებული ინდივიდუალური აღქმა და გამოხატულება იმისა, რაც გაწუხებს, გაღელვებს.

მაგრამ, არის კიდევ ერთი ფაქტორიც. ჩემი თაობის რეჟისორებს, გაცილებით ფუნდამენტური განათლება ჰქონდათ მიღებული როგორც კინემატოგრაფიული, ისე ზოგადი. ჩვენ შესანიშნავ ინსტიტუტში (მოსკოვის სახელმწიფო კინემატოგრაფიის ინსტიტუტი) ვსწავლობდით. ამ საფუძვლიანი, ფუნდამენტური განათლების არქონა, ლიტერატურის, მუსიკის, მხატვრობის თუ სხვა იმ ყველაფრის არცოდნა, რასაც თავის თავში აერთიანებს კინო, მატერიალური შესაძლებლობის არარსებობა, როდესაც იშვიათად მუშაობ, იშვიათად იღებ, ზედმეტია პროფესიონალიზმზე, მის ჩამოყალიბებაზე ლაპარაკი. კინო, ისეთი ძვირად ღირებული ხელოვნებაა, სადაც ჯერ უნდა დადო ფული, რომ ამის მერე შესძლო შენი ჩანაფიქრის რეალიზება. თუ მწერალს, შეუძლია იჯდეს სახლში და წეროს ძალიანაც რომ უჭირდეს, კინოში ამის შესაძლებლობა არ არის. თუ ახალგაზრდა ხელოვანი, ხშირად ვერ მუშაობს და ფული არა აქვს, პროფესიონალიზმის მოპოვებას ვერ ახერხებს. ამ ყველაფრის არ არსებობას კი იქამდე მიჰყავს ყველაფერი, რომ შეიძლება ერთი ან ორი ფილმი გადაიღო და მერე ნელ-ნელა იწყება კვდომა, რადგან არარის ცოდნის, ათვისების შესაძლებლობა. ხოლო თუ მეცნიერული, საგანმანათლებლო საფუძველი გაქვს, მაშინ არ ჩერდები, წინ მიდიხარ. მეორეს, მხრივ, არის ის საშუალებები, რაც ახალგაზრდებს ხელს უწყობს, კარგად და მარტივად იმუშაოს, ვინაიდან კინოკამერა გაცილებით თავისუფალი გახდა. ვიდეოკამერით შესაძლებელია იმის ფიქსირება, რასაც კინოკამერით, დიდი გაჭირვებით ვიღებდით. სულ პატარა კამერა, რომელსაც ხშირ შემთხვევაში არ სჭირდება სპეციალური განათება, გაცილებით ამარტივებს ყველაფერს. მაგრამ, მეორეს, მხრივ იმ კინოკამერას, რომელსაც სჭირდებოდა მაღალი პროფესიონალიზმი, ცოდნა იმისა თუ რა, როგორ უნდა დაგედგა, რომ მაღალი ხარისხი მიგეღო, უდავოდ აუცილებელია; უნდა იცოდე ძველი და დღევანდელი კამერა. არ შეიძლება არ ვახსენო ლევან ღლონტის "ხახვის ცრემლები", გერმანიაში გადაღებული ფილმი ახალგაზრდა ქართველზე, რომელიც მთელი დღე მუშაობს, გაჭირვებაშია და ღამღამობით თავისი საქმით, ხელოვნებით არის დაკავებული. აქ ამ პატარა, თავისუფალმა ვიდეოკამერამ საშუალება მისცა რეჟისორს, ცხოვრებაში გაეკეთებინა იმის ფიქსირება, რაც მერე შეიძლება მხატვრულ სახედ აქციო. მე ძალზედ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი ჩვენი თაობების მიმართ და მჯერა, რომ მონახავენ რეალიზაციის გზას, გამოსავალს. რაოდენობა სტუდენტებისა, რომლებიც კინოსკენ ილტვიან უზარმაზარია.

**- როგორც ახსენეთ, თითქმის ყველა პირობა, რაც აუცილებელია მომავალი რეჟისორებისათვის, დღეს მორყეულია. არადა, მართლაც, უამრავი ახალგაზრდა სწავლობს სარეჟისოროზე, იქნება ეს სახელმწიფო თუ კერძო სასწავლებლებში. თქვენ თვითონაც ხომ მათ ზრდით, რა პერსპექტივა აქვთ? რა საშუალებებია დღეს გადაღებისთვის?**

- პერსპექტივა არც ისე დიდია. ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, სადაც არ არსებობს კინობაზარი, მხოლოდ და მხოლოდ მთავრობამ უნდა იზრუნოს და მფარველობა გაუწიოს კინოს. არსებობს კონკურსები, სადაც გამარჯვებულებს აფინანსებენ, თუმცა იმ პროდუქციას ვერ ვუწოდებთ მაღალ ხელოვნებას. კინოცენტრშიც შეიქმნა კონკურსების საფუძველზე მცირედი პერსპექტივა, მაგრამ თანხა აქაც იმდენად მცირეა, რომ ამით რაიმე კარგის გაკეთება შეუძლებელია. თუმცა, როდესაც ჩემს ბოლო ჯგუფთან ერთად ვმუშაობდი, მივხვდით, რომ თუ ჩვენ თვითონვე არ ვეცდებით, არანაირი პერსპექტივა არ იქნება. და ჩვენ ეს მოვახერხეთ, სოროსის ფონდის დახმარებით, ვიშოვეთ საჭირო აპარატურა, გადასაღები თუ სამონტაჟო და სტუდენტებმა საკუთარი ფილმები თავისი აპარატურით გადაიღეს. უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული ეს პატარა სტუდია, რომელსაც "ახალგაზრდა რეჟისორთა სტუდია" ეწოდება, დღესაც ფუნქციონირებს, და მომავალ ჯგუფებსაც ამ აპარატურით ვასწავლით. ანუ მოინახა რაღაც გამოსავალი. დღეს უამრავი ჩემი მეგობარი, რომელიც რუსეთში მოღვაწეობს, სწორედ ასე - პატარ-პატარა, საკუთარი სტუდიების საშუალებით აკეთებს ფილმებს.

**- ამ პატარა სტუდიებმა, გამახსენა კინოს დასაწყისი პერიოდი, ე.წ. საბაზრო კინო, როდესაც იგი, უბრალოდ, სანახაობას, გართობას წარმოადგენდა. მაშინ არავინ ფიქრობდა კინოზე როგორც ხელოვნებაზე, ის იყო სუფთა კომერცია. დღეს უფრო მეტი კომერციულობაზეა ორიენტირებული, სანახაობის შექმნაზე. ნელ-ნელა უკან ხომ არ მივდივართ? რამდენად საშიშია ის იმ ჭეშმარიტი, ნამდვილი კინოსათვის, რომელიც ახსენეთ, ან რისი იმედი უნდა გვქონდეს მომავალში, იმ თაობის რომელიც მოწამლულია და სანახაობაზეა გაზრდილი?**

- იქიდან გამომდინარე თუ რას იღებენ დღეს კინოში, რა ფილმები იმარჯვებენ ფესტივალებზე, ხვდები, რომ საშიშროება, მართლაც, დიდია, ეს არის მაყურებლის დაბრმავების, მონად ქცევის მარტივი გზა. 10 წლის მანძილზე ტელევიზიების საშუალებით და არალიცენზირებული მდარე ხარისხის ფილმების შემოყრით მოხდა მაყურებლის გემოვნების დეგრადაცია. დღეს სწორედ მაყურებლის ეს დეგრადირებული გემოვნება კარნახობს, თუნდაც ქართულ ტელეარხებს, რომ აკეთოს ის პროდუქცია, რაც ასეთი გემოვნების მაყურებელს სჭირდება; თავად შექმნას გაფუჭებული გემოვნებით გაკეთებული სერიალები თუ უცხოეთიდან შემოიტანოს. ალბათ, არასოდეს ყოფილა საერთო გემოვნება ასეთი დაბალი, როგორიც ახლა. თუმცა, მე მაინც მჯერა, რომ ეს ყველაფერი წარმავალია, დროებითი ფონია და ნელ-ნელა ის დაკარგავს თავის ძალას. გაჩნდება ისეთი ფესტივალები, სადაც ნამდვილი კინოს ნახვა იქნება შესაძლებელი. საგანმანათლებლო სისტემის წესრიგში მოყვანით, სახელმწიფოსგან ფინანსური დახმარებით, რაც დღეს არ არის, მჯერა რომ სიტუაცია არსებითად შეიცვლება. მართალია, შეიძლება მე ვერ მოვესწრო, მაგრამ თქვენი თაობა ამას მაინც იხილავს.

**- რა გეგმები გაქვთ, თუ აპირებთ ფილმის გადაღებას?**

- ისევ და ისევ უფულობის გამო ვარ გაჩერებული, 2006 წლისთვის მზად უნდა ყოფილიყო პროექტი, რომელზეც მუშაობა ჯერ კიდევ შარშან დავიწყე, თუმცა ამ ეტაპზე გაჩერებულები ვართ, ეს არის რამოდენიმე სერიანი, მთელი ციკლი "ქართული კულტურის" შესახებ, რომლის, ელემენტარულად, სახელმძღვანელოც კი არ არსებობს. აქ მუშაობდა 10 ჯგუფი, მუსიკოსების, მხატვრების... ქართული კულტურის მთელ სპექტრზე, თუმცა გაჩერებულები ვართ. ასევე ვფიქრობ მხატვრული ფილმის გადაღებას, სცენარიც მზად მაქვს, თუმცა ჯერ არ ვიცი, ვნახოთ. მთავარი ისევ ამ შრომის რეალიზებაა...

## ათეულები

| კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" | | | |
|---|---|---|---|
| ავტორი | წიგნი | გამომცემლობა | რეიტინგი |
| გიორგი მაისაშვილი | "ქართული სახელმწიფოს მშენებლობისთვის" | | 2.4 |
| რატი ამაღლობელი | "თუ" | "საარი" | 2.4 |
| [illegible] | [illegible] | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 1.6 |
| [illegible] | [illegible] | | 1.6 |
| [illegible] | [illegible] | | 1.6 |
| ნოდარ დუმბაძე | "მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" | "საარი" | 1.6 |
| გოდერძი ჩოხელი | "ადამიანთა სევდა" | "საბა" | 1.2 |
| აკა მორჩილაძე | "წიგნი | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 1.2 |
| აკა მორჩილაძე | "ფილიპინელის ქუჩის ძაღლები" | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 1.2 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.2 |




| კვირის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინოთეატრების მონაცემებით | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფილმი | რეჟისორი | მსახიობი | უიკენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
| "მიცვალებულთა ალიონი" | ზაკ სნაიდერი | სარა პოლი, ვინგ რეიმსი | 26,722,575 | 26,722,575 |
| "ქრისტეს ვნება" | მელ გიბსონი | ჯეიმს კავიზელი, მონიკა ბელუჩი, მაია მორგენშტერნი | 19,414,377 | 295,507,244 |
| Taking Lives | დ. ჯ. კარუზო | ანჯელინა ჯოლი, იოან ჰოუკი, კიფერ საზერლენდი, ოლივიე მარტინესი | 11,458,465 | 11,458,465 |
| "სტარსკი და ჰატჩი" | ტოდ ფილიპსი | ბენ სტილერი, ოუენ უილსონი, სნუპ დოგი, კარმენ ელექტრა, ჯულიეტ ლუისი | 10,392,443 | 67,462,135 |
| "საიდუმლო ფანჯარა" | დევიდ კოეპი | ჯონი დეპი, მარია ბელო | 9,264,701 | 32,775,496 |
| "ჰიდალგო" | ჯო ჯონსტონი | ვიგო მორტენსენი, ომარ შარიფი | 8,415,810 | 48,418,806 |
| Eternal Sunshine of the Spotless Mind | მიშელ გონდრი | კეიტ უინსლეტი, ჯიმ კერი, კირსტენ დანსტი, ელაია ვუდი | 8,175,198 | 8,175,198 |
| "აგენტი ქოდი ბენქსი 2: დანიშნულების ადგილი ლონდონი" | კევინ ალენი | ფრენკი მუნიცი, ენტონი ანდერსონი | 6,030,302 | 17,323,515 |
| "პირველი პაემანი 50-ჯერ" | პიტერ სიგალი | ადამ სენდლერი, დრიუ ბერიმორი | 4,186,739 | 113,080,464 |
| "თინეიჯერი დედოფლის აღსარება" | სარა შუგარმანი | ლინდსეი ლოჰანი, ელისონ პილი, ადამ გარსია | 1,560,872 | 27,592,110 |



| ევროპის საუკეთესო ალბომები ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით | | |
|---|---|---|
| შემსრულებელი | ალბომი | ხმის ჩამწერი კომპანია |
| ნორა ჯონსი | Feels Like Home | Blue Note |
| "ბლექ აიდ პიზ" | Elephunk | Interscope |
| "ევანესენს" | Fallen | Wind-Up/Epic |
| ნორა ჯონსი | Come Away With Me | Blue Note |
| ჯოს სტოუნი | The Soul Sessions | Relentless/Virgin |
| ქეთი მელუა | Call Off The Search | Dramatico |
| ლაიონელ რიჩი | Just For You | Arista |
| დაიდო | Life For Rent | Mercury |
| "ვირ სინდ ჰელდენ" | Die Reklamation | Capitol |
| ივონ კატერფელდი | Meine Welt | Hansa |

კალათბურთი

# ფინალების დღე



დრაჟენ ბრაიკოვიჩი იმედიანადაა

დღევანდელი დღე კალათბურთის მოყვარულთათვის იმით არის ორიგინალური, რომ ვერის ბაღში გაიმართება საქართველოს თასის პირველი ფინალი ქალთა გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდება საქართველოს ორი საუკეთესო გუნდი - თსუ და "ქუთაისი". აქამდე საქართველოში ანალოგიური ფინალი არ გამართულა, ასე რომ, კალათბურთის მოყვარულებს საინტერესო სანახაობა ელით. მატჩი პირველ საათზე დაიწყება. სამ საათზე კი საქართველოს თასის გათამაშების ვაჟთა ფინალურ მატჩში "დინამო" და "სტუ-ჯეოსელი" დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. "ფინალი ფინალია და აქ ყველანაირი სიურპრიზია მოსალოდნელი. ამიტომ, ვფიქრობ, თამაში უაღრესად დაძაბული იქნება. რაც შეეხება ჩემს გუნდს, ის კარგად არის მომზადებული და მაყურებელს თავის საუკეთესო თვისებებს უჩვენებს. თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ დიდი იქნება ფსიქოლოგიური ტვირთი", - ეს სიტყვები "დინამოს" ხორვატმა მწვრთნელმა დრაჟენ ბრაიკოვიჩმა მატჩისწინა პრესკონფერენციაზე თქვა.

"სტუ-ჯეოსელის" მწვრთნელის ნუგზარ ჭეიშვილის აზრით, ფსიქოლოგიური ტვირთი ნებისმიერ ფინალს ახლავს და არც ეს მატჩი იქნება გამონაკლისი. "ეს არ არის რიგითი კალენდარული მატჩი. ეს ფინალია და, ბუნებრივია, შეცდომის უფლება არ გვაქვს. საინტერესო სანახაობა იქნება. ჩვენს გუნდს სერიოზული დანაკლისი აქვს. ტრავმის გამო შეიძლება ვერ ითამაშოს ბაბიაშვილმა. მის საკითხს ექიმი დღეს გადაწყვეტს. მეტოქეს გარკვეულ სიურპრიზს ვუმზადებთ, რაც თამაშის დროს აუცილებლად გამოჩნდება. ჩვენს გულშემატკივარს კი ვპირდებით, რომ კმაყოფილი დარჩებიან", - ამბობს ნუგზარ ჭეიშვილი.

**მერაბ რატიშვილი** (კალათბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი): "ფინალის წინ ერთ საინტერესო სიახლეზე მინდა მოგითხროთ. ქვემო ქართლში ყალიბდება კალათბურთის რეგიონული ფედერაცია. მისმა ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს, ფინალის საუკეთესო მოთამაშისთვის პრიზი დაეწესებინათ, რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუხდი. აქვე იმასაც გეტყვით, რომ კვირას მოეწყობა საჩვენებელი წვრთნა 1988 წელს დაბადებული მოზარდებისთვის, რომელსაც მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ნიკოლოზ დერიუგინი ჩაატარებს ".

**ირაკლი ხოშტარია** (თბილისის "დინამოს" კაპიტანი): "ამ თამაშისთვის სამი-ოთხი თვის განმავლობაში ვემზადებოდით, ამიტომ, თქმა არ უნდა იმას, რომ ბოლომდე ვიბრძოლებთ და გამარჯვების მოსაპოვებლად ყოველ ღონეს ვიხმართ. რა თქმა უნდა, გულშემატკივრის მხარდაჭერასაც დიდი მნიშვნელობა ექნება".

**გიორგი ნიკოლაძე** ("სტუ-ჯეოსელის" გუნდის კაპიტანი): "უაღრესად დაძაბული მატჩი იქნება, ყველა ფინალისგან განსხვავებული. გულშემატკივარი ნამდვილად არ მოიწყენს. თუ ფავორიტებზე ვისაუბრებთ, გეტყვით, მიუხედავად იმისა, რომ დღეისთვის სატურნირო ცხრილში "დინამო" პირველ ადგილზეა, შანსები თანაბარია. ეს ფინალია, ფინალში კი ყველაფერი ხდება. გუნდში ტრავმირებული კალათბურთელები გვყავდა, მაგრამ ხვალ მიზნის მისაღწევად თავს არ დავზოგავთ, რადგან ჩვენი მიზანი მხოლოდ პირველობაა და მეტი არაფერი".

# ჭაბუკები გამარჯვებისთვის ემზადებიან

პირველ აპრილს საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალურ ეტაპში ჩაებმება. 5 აპრილამდე ქართველები ხუთ მატჩს გამართავენ. ჩვენები, შესაბამისად, - იტალიის, ხორვატიის, ფინეთის, ლატვიისა და საფრანგეთის ნაკრებ გუნდებს გაეჯიბრებიან. "ჯგუფში უაღრესად სერიოზულმა შემადგენლობამ მოიყარა თავი, მაგრამ ჩვენ მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ", - ამბობს დელეგაციის ხელმძღვანელი მამუკა კაციტაძე, - ჩვენს ნაკრებს ესპანეთში წასვლის შანსი აქვს და შევეცდებით, ეს შანსი გამოვიყენოთ".

გუნდის მთავარი მწვრთნელია თამაზ ოქრუაშვილი, რომელმაც ნაკრებში შემდეგ კალათბურთელებს უხმო - **გიორგი ცინცაძე** (ცსკა, რუსეთი), **გიორგი გამყრელიძე** (დინამო), **ბესიკ ლეჟავა** (თსუ), **მანუჩარ მარკოიშვილი** (მიტელდოიჩერი, გერმანია), **ირაკლი საყვარელიძე** (თსუ), **ვიქტორ სანიკიძე** (დიჟონი, საფრანგეთი), **ნოდარ ბექაური** (დინამო), **დავით გვიმრაძე** (დინამო), **დავით გიორგობიანი** (სტუ-ჯეოსელი), **გიორგი ხურცია** (დინამო), **ტატო ჯანეზაშვილი** (სტუ-ჯეოსელი), **რევაზ ათანელიშვილი** (სლოვანი, სლოვენია).

გუნდი ხორვატიის ქალაქ სისაკში კვირას, 28 მარტს გაემგზავრება. 30 მარტს კი სპარინგ-მატჩში ხორვატ თანატოლებს გაეჯიბრება. გუნდს ტრავმის გამო არ მიჰყვება ძირითადი ხუთეულის წევრი ნიკა ჩხატარაშვილი. მერაბ რატიშვილის თქმით, ეს ქართველი ჭაბუკებისთვის დიდი დანაკლისი იქნება. გუნდს 29 მარტს ხორვატიაში შეუერთდება მანუჩარ მარკოიშვილი, რომელიც თავის კლუბში მნიშვნელოვან თამაშს ატარებს. სლოვენიიდან ხორვატიაში პირდაპირ გადავა რევაზ ანათელიშვილიც.

"მარკოიშვილთან დაკავშირებით კლუბმა გარკვეული პრობლემები შეგვიქმნა. ისინი ამბობდნენ, რომ ნაკრებში სათამაშოდ ვერ გამოუშვებდნენ, მაგრამ ჩვენ ფიბას წესდებაზე მივუთითეთ და პრობლემაც მოიხსნა", - ამბობს მერაბ რატიშვილი. - ცსკა კი, პირიქით, მხარში ამოგვიდგა და გიორგი ცინცაძე უპრობლემოდ დაგვითმო".

სამწუხაროდ საქართველოს ნაკრებმა ვერ მოახერხა სრულფასოვანი შეკრების მოწყობა. "მოგეხსენებათ, გუნდის ძირითადი ბირთვი უცხოეთში თამაშობს. იქ კი გახურებული სეზონია, ამიტომ შეკრება ვერ მოვახერხეთ. თუმცა, საორგანიზაციო საკითხები მოვაგვარეთ და 30 მარტს ხორვატიის ახალგაზრდულ ნაკრებს გავეჯიბრებით. ჩვენი გუნდი, მართლაც, კარგად თამაშობს და ამიტომ წარმატების იმედს არ ვკარგავთ", - განაცხადა მამუკა კაციტაძემ.

ფეხბურთი

# მახარაძე - ბოლნისის გმირი

www.pfl.ge

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპი დაბალი შედეგიანობით დაიწყო: ჩემპიონობისთვის მებრძოლი ექვსეულის სამივე შეხვედრა ფრედ, თანაც, უგოლოდ დასრულდა. გუშინ კი არა მხოლოდ გოლები გავიდა, არამედ საკმაოდ სენსაციური შედეგები დაფიქსირდა.

წინა ტურის მიმოხილვის დროს აღვნიშნე, რომ მეორე ეტაპზე ცნებამ "ცენტრალური მატჩი" მნიშვნელობა დაკარგა, რადგან ზეექვსეულის ყოველი შეხვედრა, თავისთავად, ცენტრალურია და გადამწყვეტ გავლენას ახდენს საპრიზო ადგილების გადანაწილებაზე. თუმცა, ამ თვალსაზრისით მე-2 ტურის ორი მატჩი მაინც გამორჩეული იყო.

დავიწყებ "თბილისი" - "ვიტ ჯორჯიას" დაპირისპირებით, რომელიც ავლაბარში, "ოლიმპის" სტადიონზე გაიმართა. მატჩამდე ამ გუნდებს შორის სხვაობა სამი ქულა იყო. წარმატების შემთხვევაში, მასპინძელთა გუნდი ვეტერინარებს წამოეწეოდა და საჩემპიონო რბოლაშიც რეალურად ჩაერეოდა. თავის მხრივ, "ვიტ ჯორჯიას", რომელიც ბოლო წლებში მუდმივად იბრძვის ჩემპიონობისთვის და ამ მიღწევამდე სულ ერთი, თანაც, ბოლო ნაბიჯი აკლდება, ამჯერად კი 4 ქულით ჩამორჩებოდა ლიდერს, წაფორხილების უფლება არ ჰქონდა.

პირველი ეტაპის ფინიშზე, ბოლოსწინა ტურში, ეს გუნდები ამავე არენაზე შეხვდნენ ერთმანეთს და ის მატჩი ფრედ, 1:1 დასრულდა. ამ შედეგმა "თბილისი" კინაღამ ზეექვსეულს მიღმა დატოვა.

გუშინდელი მატჩიც უშეღავათო ბრძოლაში გაილია. ფეხბურთელებს დამატებით სტიმულს აძლევდა ის გარემოება, რომ თამაშს ესწრებოდა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ალენ ჟირესი, რომელიც, როგორც იქნა, საქართველოში ნანახი ფეხბურთით, ასე თუ ისე, კმაყოფილი დარჩა.

დასაწყისში, დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოახერხა უპირატესობის მოპოვება. მოედნის ცენტრს ორივე გუნდი სწრაფად გადიოდა და ხან ერთ, ხან მეორე კართან ზედიზედ იქმნებოდა სახიფათო მომენტები. მე-16 წუთზე მასპინძლებმა პირველი და ერთადერთი შედეგიანი შეტევა განახორციელეს. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრმა, გოჩა ხოჯავამ მარჯვენა ფლანგიდან კარგი პასით მეკარესთან პირისპირ დატოვა გიორგი ჭელიძე, რომელმაც ზუსტი, მოჭრილი დარტყმით ანგარიში გახსნა.



"თბილისმა" "ვიტ ჯორჯიას" 1:0 მოუგო

გოლი კი ერთადერთი გამოდგა, მაგრამ სტადიონზე მისულ გულშემატკივარს არ მოუწყენია. ვეტერინარები ანგარიშის გათანაბრებას ცდილობდნენ, მასპინძლები კი კონტრიერიშებით პასუხობდნენ. ბოლო წუთებში სტუმრები ვა-ბანკზე წავიდნენ და ზურგი საგრძნობლად მოიშიშვლეს, რის გამოც "თბილისს" გოლის გატანის რამდენიმე კარგი შესაძლებლობა მიეცა, მაგრამ ამით ვერ ისარგებლა. პირიქით, ვიტელთა კაპიტანს, გიორგი ადამიას სულ ბოლო წუთზე რომ გამართლებოდა, როდესაც მისი ძლიერი დარტყმა ოდნავ აცდა კარს, მატჩი ფრედ დასრულდებოდა.

"რამდენიმე ფეხბურთელი მომეწონა, თუმცა, დღეს მათი დასახელებისგან თავს შევიკავებ. ყველაზე უფრო იმით ვარ კმაყოფილი, რომ ორივე გუნდმა მთელი მატჩი მაღალ ტემპში ჩაატარა. თანამედროვე ფეხბურთი ძალზე სწრაფია და ქართულმა კლუბებმა ამ ტემპს ფეხი უნდა აუწყონ", - განაცხადა მატჩის შემდეგ ჟირესმა, რომელიც დღეს საქართველოს ეროვნულ ნაკრებთან ერთად გერმანიაში ამხანაგური თამაშის გასამართად მიემგზავრება.

თუ "თბილისის" გამარჯვებას შეიძლება სერიოზული მოულოდნელობა ვუწოდოთ, "დინამოს" მარცხს ბოლნისში ასეთი მოკრძალებული შეფასება არ ეყოფა და დიდ სენსაციადაც შეიძლება მოვნათლოთ. ბოლნისის "სიონმა", რომელსაც მწვრთნელი, თემურ მახარაძე დაუბრუნდა, ჯერ პირველ ტურში, გასვლით მატჩში "ვიტ ჯორჯიას" დააკარგვინა ორი ქულა, ხოლო გუშინ ჩემპიონატის ლიდერი და ფავორიტი სულაც უქულოდ გაისტუმრა შინ. თანაც, შემთხვევით კი არ გაიმარჯვა, არამედ ჩემპიონის კარში სამი ბურთი გაიტანა. ბოლნისელთაგან გაბისკირიამ, ონიანმა და გონჩაროვმა გამოიჩინეს თავი. "დინამომაც" გაიტანა გოლები, ოღონდ მეტოქეზე ერთით ნაკლები. ეს გოლები კვირკველიასა და იაშვილის ანგარიშზეა.

რაც შეეხება ზეექვსეულის ჯერჯერობით გამოკვეთილ აუტსაიდერთა მატჩს "დილასა" და "ლოკომოტივს" შორის, რომელსაც გორმა უმასპინძლა, იგი ფრედ, 0:0 დასრულდა.

ორი ტურის შემდეგ "დინამოს" ისევ 26 ქულა აქვს, "სიონს" - 24, "თბილისს" და "ვიტ ჯორჯიას" – 22-22, "ლოკომოტივს" და "დილას" – 19-19.

NBA

# ქართველი ან რუსი

სანდრო ნავერიანი

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რეგულარული ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება და სწორედ ახლა მიმდინარეობს გაშმაგებული ბრძოლა პლეი-ოფის საგზურებისთვის. ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ქართველ კალათბურთელთა მოღვაწეობაა. მოგეხსენებათ, ოკეანის გაღმა, მსოფლიოს ყველაზე ძლიერ ლიგაში, სამი ქართველი თამაშობს. ნიკოლოზ ცქიტიშვილი, ვლადიმერ სტეფანია და ზაზა ფაჩულია. ორი უკანასკნელი ვერ დაიკვეხნის იმით, რომ წლევანდელი სეზონი მაღალ დონეზე ჩაატარეს, თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ზაზა ფაჩულია პირველ სეზონს ატარებს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში, ხოლო ვლადიმერ სტეფანიას გამუდმებულმა ტრავმებმა საშუალება არ მისცეს, ოპტიმალურ ფორმაში შესულიყო. რაც შეეხება ნიკოლოზ ცქიტიშვილს, მან შედარებით უკეთესი სეზონი ჩაატარა. შეიძლება გახსოვთ კიდეც: დეკემბერში, "დენვერ ნაგეთსისა" და "მინესოტა თიმბერვულვზის" შეხვედრაში, ცქიტიშვილი თავისი გუნდის ლიდერი იყო. მან 14 ქულა მოაგროვა (მასზე მეტი ქულა, ორივე გუნდის შემადგენლობაში, კევინ გარნეტის ანგარიშზეა). რა თქმა უნდა, ეს ფაქტი სასიამოვნოცაა და საამაყოც. "მინესოტა" ხომ ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია, ხოლო კეი ჯი (გარნეტის მეტსახელი-რედ.) - ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე.

დღეს არ ვაპირებ იმაზე ლაპარაკს, თუ ვინ როგორ ითამაშა სეზონის განმავლობაში. გეტყვით, თუ რა მდგომარეობაა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში. ზაზა ფაჩულიას "ორლანდო მეჯიქს" პლეი-ოფში გასვლის შანსი არა აქვს, ვლადიმერ სტეფანიას "ტრეილ ბლეიზერზს" კარგი შანსი აქვს საიმისოდ, რომ პლეი-ოფში გააღწიოს, თუმცა, ეს მხოლოდ მასზე არ არის დამოკიდებული. თუ პორტლენდურ გუნდს პლეი-ოფში თამაში სურს, მაშინ დარჩენილი მატჩებიდან "დენვერ ნაგეთსსა" და "იუტა ჯაზზე" სამი თამაშით მეტი უნდა მოიგოს, რაც სავსებით შესაძლებელია, თან, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ პორტლენდურ გუნდს "დენვერზე" ორით, ხოლო იუტაზე ერთი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული. მოკლედ, სტეფანიას გუნდს კარგი შანსი აქვს იმისთვის, რომ პლეი-ოფში გავიდეს, მაგრამ თუ ეს მოხდა, ამაში სტეფანია ვერავითარ წვლილს ვერ შეიტანს - ის ტრავმირებულია და, რა ხანია, სათადარიგოთა სკამზეც კი აღარ ზის.

"დენვერ ნაგეთსი", თავის სკიდასთან (ცქიტიშვილის მეტსახელი-რედ.) და კარმელოსთან ერთად, დასავლეთ კონფერენციაში, მერვე პოზიციაზეა, რაც პლეი-ოფში თამაშის საშუალებას იძლევა. კოლორადოელებს 38 მოგება და 35 წაგება აქვთ. დარჩენილია ათი მატჩი, რომლებიც როგორც ჯეფ ბზდელიკის, ისე მისი შეგირდებისთვის, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანია კარიერაში. კოლორადოელებმა ასევე ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი უნდა ჩაატარონ "იუტა ჯაზთან", რომელიც მათი მთავარი კონკურენტია თითქმის ყველა ასპექტში: ჯეფ ბზდელიკი (დენვერის მთავარი მწვრთნელი) ან ჯერი სლოანი (იუტას მთავარი მწვრთნელი) სეზონის საუკეთესო მწვრთნელი გახდება. სეზონის აღმოჩენად შეიძლება მოინათლონ "დენვერ ნაგეთსი" ან "იუტა ჯაზი", რომელზეც სეზონის დასაწყისში ამბობდნენ: ყველაზე კარგი რაც შეიძლება "იუტა ჯაზს" დაემართოს, ის არის, რომ გუნდი არ დაიშალოსო. ახლა კი, თავადაც ხედავთ, იუტელები პლეი-ოფიდან ერთ ნაბიჯზე არიან. სკიდას "ნაგეთსს" კირილენკოს "ჯაზზე" ერთი მატჩით მეტი აქვს ჩატარებული. სწორედ ამ ერთი მატჩის ხარჯზე არიან იუტელებზე წინ. თუმცა, ერთნაირი შედეგის შემთხვევაშიც დენვერელთა უპირატესობა იკვეთება -კოლორადოელებს იუტელებთან ჩატარებული სამივე შეხვედრა მოგებული აქვთ. მოკლედ რომ ვთქვათ, "დენვერ ნაგეთსის" შემდეგ, პლეი-ოფში გასვლის ყველაზე კარგი შანსი "პორტლენდ ტრეილ ბლეიზერზს" აქვს. თან, გუნდს საიმისო პოტენციაც ეტყობა, რომ საჭირო დროს შეძლებს ძალების მობილიზებას. ასე რომ, ვნახოთ, კოლორადო, ტეხასი თუ იუტა? რუსი თუ ქართველი? ცქიტიშვილი, სტეფანია თუ კირილენკო?





ფლეი-ოფში ან ცქიტიშვილი ითამაშებს ან სტეფანია

### აღმოსავლეთ კონფერენცია

| აღმოსავლეთი | მ | წ | % | კონფ. მ. | დივიზ.მ. | შინ. მოგ. | გასვლ.მოგ. | ბოლო 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ინდიანა(1)* | 52 | 19 | 0.732 | 32-11 | 16-6 | 28-7 | 24-12 | 7-3 |
| ნიუ ჯერსი(2) | 42 | 28 | 0.600 | 29-13 | 14-4 | 24-11 | 18-17 | 5-5 |
| დეტროიტი(3)* | 46 | 27 | 0.630 | 30-16 | 15-10 | 24-10 | 22-17 | 8-2 |
| ნიუ ორლეანი(4) | 37 | 35 | 0.514 | 27-23 | 13-14 | 24-14 | 13-21 | 4-6 |
| მილუოკი(5) | 35 | 36 | 0.493 | 27-17 | 11-9 | 24-11 | 11-25 | 2-8 |
| მაიამი(6) | 34 | 37 | 0.479 | 23-21 | 12-10 | 24-12 | 10-25 | 9-1 |
| ნიუ იორკი(7) | 33 | 39 | 0.458 | 26-19 | 15-6 | 20-17 | 13-22 | 6-4 |
| კლივლენდი(8) | 31 | 39 | 0.443 | 25-21 | 13-12 | 20-16 | 11-23 | 7-3 |
| ბოსტონი | 31 | 40 | 0.437 | 20-25 | 11-7 | 15-20 | 16-20 | 6-4 |
| ტორონტო | 30 | 41 | 0.423 | 19-26 | 8-12 | 17-18 | 13-23 | 4-6 |
| ფილადელფია | 30 | 42 | 0.417 | 21-25 | 10-9 | 19-16 | 11-26 | 6-4 |
| ვაშინგტონი | 23 | 48 | 0.324 | 14-33 | 1-19 | 16-21 | 7-27 | 3-7 |
| ატლანტა | 23 | 49 | 0.319 | 14-31 | 8-18 | 15-20 | 8-29 | 3-7 |
| ჩიკაგო | 20 | 51 | 0.282 | 17-27 | 10-13 | 13-23 | 7-28 | 2-8 |
| ორლანდო | 19 | 54 | 0.260 | 15-31 | 7-15 | 10-25 | 9-29 | 2-8 |

### დასავლეთ კონფერენცია

| დასავლეთი | მ | წ | % | კონფ. მ. | დივიზ.მ. | შინ. მ. | გასვლ.მ. | ბოლო 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საკრამენტო | 51 | 21 | 0.708 | 29-16 | 15-6 | 31-6 | 20-15 | 5-5 |
| მინესოტა(2)* | 49 | 23 | 0.681 | 26-17 | 10-10 | 27-10 | 22-13 | 5-5 |
| ლ.ა. ლეიკერსი(3)* | 48 | 23 | 0.676 | 24-18 | 12-7 | 28-5 | 20-18 | 8-2 |
| სან ანტონიო(4) | 47 | 25 | 0.653 | 26-17 | 13-9 | 27-8 | 20-17 | 6-4 |
| მემფისი(5) | 45 | 26 | 0.634 | 26-18 | 11-8 | 28-9 | 17-17 | 8-2 |
| დალასი(6) | 44 | 27 | 0.620 | 27-17 | 11-10 | 30-5 | 14-22 | 5-5 |
| ჰიუსტონი(7) | 41 | 29 | 0.586 | 18-23 | 7-11 | 26-11 | 15-18 | 7-3 |
| დენვერი(8) | 38 | 35 | 0.521 | 24-19 | 10-10 | 25-12 | 13-23 | 5-5 |
| იუტა | 37 | 35 | 0.514 | 21-22 | 7-11 | 24-11 | 13-24 | 6-4 |
| პორტლენდი | 36 | 35 | 0.507 | 19-26 | 10-10 | 23-13 | 13-22 | 7-3 |
| სიეტლი | 33 | 38 | 0.465 | 19-23 | 10-11 | 18-18 | 15-20 | 6-4 |
| გოლდენ სტეიტი | 30 | 40 | 0.429 | 19-26 | 10-10 | 22-13 | 8-27 | 5-5 |
| ლ.ა. კლიპერსი | 27 | 46 | 0.370 | 13-32 | 7-14 | 18-18 | 9-28 | 1-9 |
| ფინიქსი | 24 | 48 | 0.333 | 13-31 | 8-14 | 15-21 | 9-27 | 3-7 |

ჩოგბურთი

# ჩვენი პრეზიდენტი

საჩოგბურთო ქალაქი დიღმის მასივში, საერთაშორისო ტურნირები თბილისსა და ბათუმში - სერიოზული არგუმენტები აღმოჩნდა იმისთვის, რომ ლელა მესხი საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტად აერჩიათ. პრეზიდენტს არჩევნებში ერთი მეტოქე ჰყავდა - წარსულში სახელგანთქმული ჩოგბურთელი ალექსანდრე მეტრეველი. თუმცა, ლელა მესხმა საქართველოში თავისი ბოლოდროინდელი მოღვაწეობით ბევრი დელეგატი მიიმხრო და, ფაქტობრივად, ისე გამოვიდა, რომ ალექსანდრე მეტრეველი სრულ უმცირესობაში აღმოჩნდა.

"როცა ალექსანდრე მეტრეველმა დაინახა, თუ რა ხდებოდა და დარწმუნდა, რომ ასეთ სიტუაციაში გამარჯვების შანსი არ ჰქონდა, ადგა და წავიდა, - ამბობს საჩოგბურთო კლუბის დირექტორი თენგიზ ლობჟანიძე, - ჯანო ბაგრატიონმა ჩოგბურთის ვეტერანებს კარგად უთხრა, კი, თქვენ წარსულში დიდი ჩოგბურთელები იყავით, მაგრამ ამჟამად საქართველოში ჩოგბურთის განვითარებისთვის არაფერი გაგიკეთებიათ და რატომ ახდენთ პრესის საშუალებით საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის დისკრედიტაციას? მე სავსებით ვეთანხმები ჯანოს სიტყვებს. ლელა მესხი, ავად თუ კარგად, საქმეს აკეთებს. ის ჩვენი პრეზიდენტია და ამიტომაც მიიღო საყოველთაო მხარდაჭერა".

პრეზიდენტს თითქმის ყველა დელეგატმა დაუჭირა მხარი. ბოლოს ალექსანდრე მეტრეველმა საკუთარი კანდიდატურა მოხსნა. ლელა მესხი ჩოგბურთის ფედერაციას 2008 წლამდე, ანუ პეკინის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებამდე უხელმძღვანელებს. მესხის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის საერთაშორისო ტურნირები, რომლებიც უკანასკნელ წლებში თბილისში იმართება და რომელმაც ტრადიციული სახე მიიღო. ამას გარდა, დიღომში შენდება ჩოგბურთის გრანდიოზული ქალაქი, რომელიც საქართველოში საჩოგბურთო მექად გადაიქცევა. "დელეგატთა უმრავლესობამ ქალბატონ ლელას სწორედ იმ იმედით დაუჭირა მხარი, რომ ის დაასრულებს დაწყებულ საქმეს და აქტიურ მოღვაწეობას მომავალშიც გააგრძელებს", - ამბობს თენგიზ ლობჟანიძე.



გიორგი გაბაშვილი, მერაბ მეტრეველი და ლელა მესხი საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის ყრილობაზე

**ლელა მესხი:** "ბედნიერი ვარ იმ ნდობის გამო, რომელიც დელეგატებმა გამომიცხადეს და მინდა, მათ მადლობა გადავუხადო. საქართველოში ზოგადად ჩოგბურთის განვითარების ტენდენცია შეინიშნება. უაღრესად სასიხარულოა ის წარმატება, რომელსაც საქართველოს ნაკრების ლიდერმა ირაკლი ლაბაძემ ინდიანა-უელსის მასტერსის ტურნირზე მიაღწია. რეიტინგის მიხედვით ის ახლა 35-ე ადგილზეა. მისი გამოცდილება დიდად გამოადგება საქართველოს ნაკრებს, რომელიც აპრილის დასაწყისში დევისის თასის გათამაშების მეორე ჯგუფის მატჩში იტალიის ნაკრებს ეთამაშება.

**- კონკრეტულად სად და როდის გაიმართება ეს მატჩი?**

- მატჩი 9-11 აპრილს იტალიაში გაიმართება. ეს ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. საქართველოს ნაკრებს გამარჯვების შემთხვევაში პირველ ჯგუფში გადასვლის შანსი აქვს.

**- ითამაშებს თუ არა გუნდის შემადგენლობაში ირაკლი ლაბაძე? ბოლო წლებში ის ნაკრების შემადგენლობაში აღარ გამოდიოდა.**

- არა, რატომ? ირაკლიმ უკვე დაიცვა საქართველოს ნაკრების ღირსება და გუნდს მესამიდან მეორე ჯგუფში გადასვლაში დაეხმარა. ჩვენ ახლაც მისი დიდი იმედი გვაქვს. იტალიაში, ირაკლის გარდა, საქართველოს ნაკრების ღირსებას ირაკლი უშანგიშვილი, ლადო ჩიხლაძე და დავით კვერნაძეც დაიცავენ.

**- დღეს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტად აგირჩიეს. როგორია თქვენი გეგმები, რით დააიმედებთ თქვენს ამომრჩევლებს?**

- ვინც თვალყურს ადევნებს ჩვენს საქმიანობას, მან კარგად იცის, რას ვაკეთებთ და სწორედ ამიტომაც დამიჭირეს მხარი. მოგეხსენებათ, დიღომში შენდება დიდი საჩოგბურთო ქალაქი, უახლესი ინფრასტრუქტურით. მშენებლობა მიმდინარეობს კერძო ინვესტიციებითა და საბანკო სესხით. კომპლექსი დიდად დაეხმარება საქართველოში ჩოგბურთის განვითარებას. შევეცდებით, ხელი შევუწყოთ რეგიონებში ჩოგბურთის აღდგენა-განვითარების საქმეს. ამ და სხვა გეგმებზე ამ დღეებში უფრო დეტალურად ვიმსჯელებთ 17-კაციან სამუშაო ჯგუფთან ერთად, რომელიც დღეს ყრილობაზე შეიქმნა.

*24 საათი*

ფორმულა 1

# უდაბნო, ნავთობის სამოთხე და ტერორი

ნინო პირველი

ათ დღეში ფორმულა 1-ის მორიგი რბოლა უნდა გაიმართოს. თავად ამ ფაქტში უცნაური არაფერია - 2004 წლის სეზონი ხომ უკვე დაიწყო. უჩვეულო მხოლოდ ის არის, რომ მიხაელ შუმახერი და კომპანია სეზონის მესამე ტურნირის წინ თავად რბოლის პერიპეტიებზე კი არა, ტერორისტთა მოსალოდნელ გააქტიურებაზე ფიქრობენ. ერთი წლის წინ, როცა ბერნი ეკლსტოუნმა ფორმულას კალენდრიდან ავსტრიის გრან-პრი ამოიღო და მის ნაცვლად ბაჰრეინი ჩასვა, ალბათ, ვერავინ იფიქრებდა, რომ ამ პატარა ქვეყანაში ასეთი დიდი ტურნირის ჩატარება საოცრად სახიფათო იქნებოდა. მაშინ არც მადრიდის ტერაქტი იყო მომხდარი, არც "ჰამასის" ლიდერი აჰმედ იასინი ჰყავდა მოკლული ისრაელს, 2001 წლის 11 სექტემბრის საშინელი ტრაგედიაც, ასე თუ ისე, დავიწყებული ჰქონდა მსოფლიოს. როცა ბაჰრეინის სასარგებლოდ იღებდნენ გადაწყვეტილებას, ფორმულას ბოსები ცუდს არაფერს ელოდნენ, მაგრამ ერთ წელიწადში ყველაფერი შეიცვალა. "ალ ქაიდამ" მადრიდში 201 ადამიანი იმსხვერპლა, ათასზე მეტი სამუდამოდ დაასახიჩრა და ნორმალურად ცხოვრების საშუალება მოუსპო, ისრაელში კი "ჰამასის" ნახევრად ბრმა და მოძრაობის უნარს მოკლებული ლიდერი მოკლეს. ტერორისტები ძალიან გაამწარა იასინის სიკვდილმა. ახლა ისინი სამაგიეროს გადახდაზე ფიქრობენ და არ არის გამორიცხული, მათი რისხვა ფორმულას პილოტებსა და გულშემატკივრებს დაატყდეს თავს. ბაჰრეინის უდაბნო ხომ არავის აძლევს სრული უსაფრთხოების გარანტიას...

ბაჰრეინში ძალიან ფრთხილობენ. "ნავთობის სამოთხის" შეიხებს დიდ პატივად მიაჩნიათ თავიანთ პატარა ქვეყანაში ფორმულას რბოლის გამართვა და ცდილობენ, როგორმე თავიდან აიცილონ სისხლიანი დებიუტი. შეიხმა ჰამად იბნ ისა ალ-ხალიფამ მიხაელ შუმახერს პირადად შესთავაზა, სამეფო პალასში იცხოვრეო, მაგრამ უფროსმა "შუმიმ" არ მოისურვა სასახლეში განმარტოება. მანამში ჩასვლის შემდეგ ძმები შუმახერები იცხოვრებენ ერთ-ერთ სასტუმროში, რომლის სახელიც გასაიდუმლოებულია. იმედია, ტერორისტები წინასწარ ვერ გაიგებენ, სად დაბინავდებიან ძმები. უარის მიუხედავად, შეიხმა მაინც ვერ მოისვენა და შუმახერს შეუთვალა, მანამში ჯავშნიანი ლიმუზინი მოგემსახურება და შეიარაღებული დაცვა გეყოლებაო. მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი, მთელი თავისი ხანგრძლივი კარიერის მანძილზე, ალბათ, არასოდეს ყოფილა ასე საგულდაგულოდ დაცული.


ბაჰრეინში ტერორისტების ეშინიათ

ბაჰრეინში ცდილობენ, სიმშვიდე შეინარჩუნონ და პანიკას არ აყვნენ. "კონკრეტული მუქრა ჯერ არ ყოფილა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ჩვენ მაინც უსაფრთხოების განსაკუთრებულ ზომებს მივიღებთ. ყველა დაცული იქნება - მონაწილეც და მაყურებელიც", - აცხადებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი წარმომადგენელი. ევროპელები ნაკლებად ენდობიან აზიელებს. არც იმის სჯერათ, რომ ტერორისტები ერთხელაც არ დამუქრებიან ფორმულას მასპინძელ ქვეყანას. პორტუგალიელებს ხომ უკვე რამდენჯერმე შეუთვალეს "ალ ქაიდას" წევრებმა, ევროპის ჩემპიონატზე აფეთქებებს ელოდეთო. ბაჰრეინში ფორმულას რბოლას ასე გულგრილად როგორ აუვლიან გვერდს? ოთხშაბათს რადიკალურად განწყობილმა ისლამისტებმა უკვე შეახსენეს თავი ბაჰრეინს - ქვებით შეიარაღებულმა ორასამდე დემონსტრანტმა იერიში მიიტანა ამერიკის საელჩოზე. "სიკვდილი ამერიკას და ისრაელს!" - ყვიროდნენ ისინი და შენობის დარბევას ცდილობდნენ. პოლიციამ დემონსტრანტები ცრემლსადენი გაზითა და ხელკეტებით დაშალა.

დიდი ბრიტანეთის მთავრობა ყატარსა და საუდის არაბეთს შორის მოქცეულ "ნავთობის პატარა სამოთხეს" (500 000 მცხოვრები) ტერაქტის საშიშროებაზე მიუთითებს. ტერორიზმთან ბრძოლაში დახელოვნებული ექსპერტები კი ფორმულას პილოტებს მარშრუტის ხშირ შეცვლას ურჩევენ. არავინ უნდა იცოდეს, რა მიმართულებით იმოძრავებენ პილოტები, რა გზებით მივლენ ტრასამდე, რის დათვალიერებას მოისურვებენ. უმჯობესი იქნება, თუ სპორტსმენები საერთოდ თავს აარიდებენ ქალაქის ცენტრში გადაადგილებას. "უილიამსმა" უკვე შეიმუშავა მოქმედების გეგმა. ინგლისური საჯინიბოს წევრებმა დიდ ჯგუფებად არ უნდა იარონ, ის კი არა, საერთოდ უნდა ერიდონ ქალაქში გასვლას - ან ტრასაზე უნდა იყვნენ, ან სასტუმროში. "ფერარის" ასეთი გეგმა ჯერ არა აქვს, მაგრამ, ცხადია, არც იტალიელები გამოიჩენენ ნაკლებ სიფრთხილეს. "რა თქმა უნდა, მიხაელი ქალაქის ცენტრში არც კი გამოჩნდება. მეტი არაფრის თქმა არ შემიძლია", - ამბობს "შუმის" მენეჯერი ვილი ვებერი.

სხვათა შორის, FIA-ში ბევრი იყო წინააღმდეგი, ბაჰრეინში გამართულიყო რბოლა. როგორც ჟურნალი "ავტოსპორტი" იუწყება, მარტის დასაწყისში ბაჰრეინის რბოლის ერთი წლით გადადებაც კი სურდათ იმ მოტივით, რომ ტრასა ჯერ კიდევ არ იყო მზად, მაგრამ ბერნი ეკლსტოუნი ვერაფრით დაითანხმეს. ტრასის ასაგებად უკვე 150 მილიონი დოლარი იყო დახარჯული და ფორმულას ბოსს წარმოუდგენლად მიაჩნდა რბოლის ერთი წლით გადაწევა. ახლა კი არავინ იცის, რამდენად სწორი აღმოჩნდება ეკლსტოუნის ეს გადაწყვეტილება.

თავად მიხაელ შუმახერს ტერორისტების მაინცდამაინც არ ეშინია. უფროსი "შუმი" ამ საკითხს მეტად ფილოსოფიურად უდგება: "უახლოეს ისტორიას თუ გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ ტერაქტები ისეთ დროს და ისეთ ადგილებში ხდებოდა, სადაც ყველაზე ნაკლებად იყო მოსალოდნელი. ისეთ დროში ვცხოვრობთ, რომ ტერაქტი ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას შეიძლება განახორციელონ. ამიტომაც არ ღირს პანიკის ატეხვა", - მიაჩნია "ფერარის" "წითელ ბარონს". იმედი ვიქონიოთ, რომ ათი დღის შემდეგ რბოლის დროს არაფერი მოხდება და ბაჰრეინის დებიუტი საბედისწერო რბოლის სახელით არ შევა ფორმულას ისტორიაში...

## საქართველოს ჩემპიონი



**გურამ დავითულიანი**

კარატე

რუბრიკას უძღვება
*ზვიად გიორგაძე*

| | |
|---|---|
| *დაბადების თარიღი:* | 1985 წლის 6 მარტი |
| *სიმაღლე:* | 180 სმ |
| *წონა:* | 64 კგ. |
| *ოჯახური მდგომარეობა:* | უცოლო |
| *ტიტულები:* | საქართველოს ჩემპიონი: 1998, 1999, 2000, 2001, 2002 2003 წლებში. 2001 წელს თურქეთის საერთაშორისო ტურნირზე, პირველი ადგილი 2003 წელს დსთ-ს ტურნირზე, მეხუთე ადგილი |
| **პირველი მწვრთნელი:** | ავთანდილ მიქაძე |
| **პირველი გამარჯვება:** | 2001 წელს თურქეთის საერთაშორისო ტურნირზე, პირველი ადგილი |
| **ყველაზე დიდი მიღწევა:** | 2001 წელს თურქეთის საერთაშორისო ტურნირზე, პირველი ადგილი |
| **ბავშვობის ოცნება:** | კარატისტობა |
| **ყველაზე დიდი იმედგაცრუება:** | 2004 წელს ბაქოს საერთაშორისო ტურნირზე დამატებით დროში დავმარცხდი |
| **უხერხული მოწინააღმდეგე:** | გრინ პოლი |
| **საყვარელი ილეთი:** | დოლიო ჩაგი |
| **თქვენი აზრი ქართული სპორტის შესახებ:** | კატასტროფულ მდგომარეობაშია |
| **რა გაღიზიანებთ, რა გახარებთ:** | მაღიზიანებს, როცა ფორმაში ვარ, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო ვერ გამოვდივარ ტურნირზე, მახარებს გამარჯვება |
| **კურიოზი:** | თურქეთში ყოფნისას, თავიდან ხუთვარსკვლავიან სასტუმროში დაგვაბინავეს და არც კვებას ვუჩიოდით, მაგრამ შემდეგ სასტუმროს ორი ვარსკვლავი მოაშორეს და დიეტაზე დაგვსვეს (დღეში ერთხელ გვაჭმევდნენ). მოშიებულები ხშირად საჭმელს ვიპარავდით ხოლმე |
| **ჰობი:** | კალათბურთი |
| **საყვარელი მსახიობი:** | ბრედ პიტი, ჯონი დეპი |
| **საყვარელი ფილმი:** | "გლადიატორი" |
| **საყვარელი მწერალი:** | ვაჟა ფშაველა |
| **საყვარელი წიგნი:** | "კაცია ადამიანი?!" |
| **საყვარელი მუსიკოსი:** | სელინ დიონი |
| **რომელ სამზარეულოს ანიჭებთ უპირატესობას:** | ქართულს |
| **საყვარელი კერძი:** | ხაჭაპური |
| **საყვარელი სასმელი:** | ლუდი |
| **ვისთან ერთად იქეიფებდით:** | პატარკაციშვილთან |
| **სად იცხოვრებდით საქართველოს გარდა:** | იტალიაში |
| **რომელ კურორტზე დაისვენებდით:** | მაიამიში |
| **რას მოისმენდით საკუთარ თავზე:** | გახდა მსოფლიო ჩემპიონი |
| **მიზანი:** | მსოფლიო ჩემპიონობა |
| **დევიზი:** | - |

TV-სპორტი

**შაბათი. 27 მარტი**

**НТВ+ ФУТБОЛ**
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი. მეოთხედფინალი. პირველი მატჩი. "მილანი" - "დეპორტივო"
15:10 "გამჟღავნება"
15:40 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
16:10 "გაიტანე"! რუდ ვან ნისტელროისთან ერთად
16:25 თავისუფალი დარტყმა
16:40 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი. მეოთხედფინალი. პირველი მატჩი. "რეალი" - "მონაკო"
18:35 "ყველაზე სასაცილო ლიგა"
18:55 ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ სიტი" - "ფულჰემი". პირდაპირი ტრანსლაცია
20:50 თავისუფალი დარტყმა
21:05 სახვალიო ტელეპროგრამა
21:10 გერმანიის ჩემპიონატი. "ბაიერი" - "ჰერტა"
22:50 უკრაინის ჩემპიონატი. "დინამო" - "მეტალურგი"
00:30 ესპანეთის ჩემპიონატი. "ესპანიოლი" - "ატლეტიკი". პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (01:20) - თავისუფალი დარტყმა

**НТВ-ПЛЮС СПОРТ**
11:00, 14:10, 17:15, 22:00 პრესცენტრი
11:15, 22:15 ოლიმპის შვილები
11:20 "ყინულის ხანა". პროგრამა ჰოკეიზე
12:20 "ფრისტაილი". ტელეჟურნალი
12:50 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე
13:20 "ფარი და ბურთი". გადაცემა კალათბურთზე
14:25 სამბო. რუსეთის ჩემპიონატი
16:00 სპორტული ცეკვები. "სტანისლავ შკლიარის თასი". პირველი ნაწილი
17:30 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "PHILADELPHIA 76 ERS" - "CLEVELAND CAVALIERS"
20:00 "დიდი რინგი". პროგრამა პროფესიულ კრივზე
22:20 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "DETROIT RED WINGS" - "COLORADO AVALANCHE". პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**
11:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
12:00 სუპერრბოლები გამოსასვლელ დღეებში. იტალიის ჩემპიონატი
13:00 ფეხბურთი. უეფას თასი
13:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
14:30 სუპერრბოლები გამოსასვლელ დღეებში. იტალიის ჩემპიონატი
15:30 ფეხბურთი. უეფას თასი
16:00 ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
20:00 სნუკერი. საერთაშორისო შეჯიბრება
21:30 ოლიმპიური თამაშები. მიზანი – ათენი
22:00 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
23:00 სნუკერი. საერთაშორისო შეჯიბრება
03:00 მულტისპორტი
03:15 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი პორტუგალიაში
03:45 ახალი ამბები
04:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი ავსტრალიაში
05:00 სუპერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ავსტრალიაში
05:30 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი პორტუგალიაში



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# გაზაფხულდა, ბუჩქის ძირას...





რამდენად ნორმალურია 25-28 გრადუსი სითბო მარტის თვეში, არ ვიცი, მაგრამ თბილისს გაზაფხული რომ ძალიან უხდება, ამას, ალბათ, ყველა აღიარებს. ქუჩაში ყოველ ნაბიჯზე ყვავილები იყიდება, ხალხმა ერთფეროვანი პალტოები გაიხადა, თინეიჯერები საყვარელ ჯინსის კურტკებში გამოეწყვნენ, ფეხით სიარული ეხალისებათ და ამიტომ ქუჩაში განსაკუთრებული, საგაზაფხულო ხალხმრავლობაა. გამვლელები თითქოს უკეთეს გუნებაზე არიან, მომხიბვლელად იღიმებიან, ლამაზად, ფერადად ჩაცმას ცდილობენ. გაზაფხულთან ერთად გულში სითბო, სტიმული, მომავლის იმედი ჩნდება - წინ ხომ მზიანი დღეები, კარგი ამინდი ელოდებათ.

ყველა სკვერში, პარკში თუ პატარა გაზონზე მებაღე მუშაობს, რაღაცას რგავენ, კრეჭენ. ესეც საგაზაფხულო განწყობის ტიპური სურათია. თბილისში ერთ-ერთი პირველი "მზიურის" შესასვლელთან უზარმაზარი ხეხილის ხე ყვავდება. მთელი ბავშვობა, მახსოვს, როგორ ველოდებოდი ამ ხის გადათეთრებას, რაც ბავშვურ აღქმაში ზამთრის დასასრულს, საგაზაფხულო არდადეგებს, აღდგომის მოახლოებას, გეტრების ჩაცმის და კლასელებთან ერთად უაზრო სეირნობის ნებართვას ნიშნავდა. დღესაც, გაზაფხულის თბილისში გასეირნებაზე უფრო არაფერი მიყვარს. ისეთი ხალისით და ინტერესით ვათვალიერებ ქუჩებს, თითქოს უცხო ქალაქში ტურისტად ვარ ჩამოსული. მიკვირს, რომ თბილისისნაირ ქალაქში ყოველ ნაბიჯზე ღია კაფეები არ არის და რაც არის, ის ერთეულებიც, ფაქტობრივად, ცარიელია. არადა, რა არის იმაზე სასიამოვნო, როდესაც კაფეში ზიხარ, მზე გათბობს, გარშემო ყველაფერი ყვავის, ცივ წვენს ან ყავას სვამ და გამვლელებს ათვალიერებ. გასული წლების მიუხედავად, "მზიურის" ხის აყვავებასთან დაკავშირებული ემოციები ოდნავაც არ შემინელდა და რაღაცის იმედი დღესაც მიჩნდება. თბილისურ გაზაფხულს რომ არაფერი სჯობია, ეს კი ვიცი. ამბობენ, ამინდი კიდევ შეიცვლება, გაფუჭდებაო. მერე რა, გაზაფხული ხომ მოვიდა! მართალია, ქართულმა საზოგადოებამ უფრო ადრე გამოიღვიძა, მაგრამ ახლა ბუნებაც წამოეწია, საქართველოში გაზაფხულის მათრობელა სუნი ჰაერში დატრიალდა და თუ გინდათ, რომ ამ სურნელმა თქვენს სახლშიც შემოაღწიოს, გამოაღეთ ზამთრიდან ჩაკეტილი ფანჯრები, იყიდეთ ყვავილების, თუნდაც სულ პატარა, თაიგული, წადით არჩევნებზე და მერწმუნეთ, თქვენ ქუჩაზეც მოვა გაზაფხული.





ყვავილები კოლმეურნეობის მოედანზე

# "ცაიტნოტი" - ცაიტნოტში!

ამ ბოლო პერიოდში როგორც პოლიტიკურ, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მუშაობის სტილში ბევრი რამ შეიცვალა. ნელ-ნელა ყელაფერი ცვლილებებს განიცდის. ყველაფერი - საქართველოს ტელევიზიის I არხის გარდა. არა და არ იცვლება ის საერთო უბადრუკობა, პროვინციალიზმი და სიყალბე, რომელიც ამ არხის ტიპური დამახასიათებელი სავიზიტო ბარათი იყო და დღესაც არის. დამისახელეთ I არხის ერთი გადაცემა, რომელსაც ვინმე ელოდება, უყურებს, უჯერებს და აინტერესებს. მე, პირადად, I არხს ფაქტობრივად არ ვუყურებ, მაგრამ ამ კვირაში ტოკ-შოუ "ცაიტნოტის" ნახვა მომიწია, ვინაიდან წამყვან სულხან მელაძეს ორი ჩემი მეგობარი სტუდიაში ჰყავდა მიწვეული და მათი ხათრით და ინტერესით, წინასაარჩევნო თემის მიძღვნილ პოლემიკას თავიდან ბოლომდე ვუსმინე. უნდა გამოგიტყდეთ, რომ, უბრალოდ, დავითრგუნე. დავიწყებ იმით, რომ მსგავსი უბადრუკი, საცოდავი, სხვადასხვა გადაცემიდან მორჩენილი დეკორაციების დეტალებისგან შეთითხნილი და მიტოვებული სადარბაზოსავით განათებული სტუდია ჯერ არასდროს მინახავს. აშკარად იგრძნობოდა, რომ ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, სტუდიაში ცივა კიდევაც. ყველა მიწვეულ სტუმარს ჟაკეტების და ჯემპრების ღილები ბოლომდე ჰქონდა შეკრული, ყელი აწეული და აბუზულები, გაყინულები წარმოუდგენლად მდორე, უინტერესო საუბარში ცდილობდნენ ხელოვნურად ჩართულიყვნენ. სიმფონიური ორკესტრის დირიჟორის ჟესტიკულაციის მქონე წამყვანი სიტყვების კასკადის სახით, რთულ, გავრცობილ შეკითხვებს უსვამდა, რომელთა გაგება არცთუ ისე იოლია და ჩვეულებრივ მოკვდავს არ ძალუძს. ამიტომაც დაძაბული, კითხვის გასაგებად ბოლომდე მობილიზებული, გათოშილი სტუმრები, განსაკუთრებით ისინი, ვინც სასამართლო მოწმეებივით ფეხზე წამოყუდებული ჰყავდათ, გადაცემის, I არხის და თავის თავის გადარჩენას ცდილობდნენ, მაგრამ ტოკ-შოუ "ცაიტნოტი" ისეთ ღრმა ცაიტნოტშია, რომ ეს, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ამგვარი დაძაბულობის, უინტერესობის, უბადრუკობის ფონზე, სრულიად ლოგიკურია, რომ არც ერთ სტუმარს დამატებითი შეკითხვის სურვილი არ დაებადა, ინტერაქტიურ გამოკითხვაზე კი მაყურებელმა არ დარეკა. ეტყობა, ყველას, გადაცემის სტუმრებს, ტელემაყურებლებს, მათ შორის მეც, ერთი სული აქვთ, ეს, ასე ვთქვათ, ტოკ-შოუ როდის დამთავრდება, თორემ შენც უხერხულად გრძნობ თავს, სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ტელევიზიაში მატერიალურ და ინტელექტუალურ გაპარტახებულობას რომ ხედავ. არ მჯერა, რომ ყველაფერს მხოლოდ ფინანსური ბაზა განაპირობებს. დარწმუნებული ვარ, რომ ნორმალური სტუდიის გაკეთებას, ფულზე მეტად, გემოვნება, კულტურა, ტელესპეციფიკის ცოდნა სჭირდება. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოში ძალიან კარგი შრიფტის სპეციალისტები, გრაფიკოსები არსებობენ, რომლებიც ერთ, მარტივ სიტყვა "ცაიტნოტს" ბევრად უფრო წასაკითხი და ცივილური ფორმით დაწერდნენ. დარწმუნებული ვარ, რომ პროფესიონალი რედაქტორი წამყვანს რაღაც ჩარჩოებში მოაქცევდა, რითიც მისი შეკითხვები უფრო ლაკონური და, შესაბამისად, ადვილი გასაგები, ჟესტიკულაცია კი უფრო თავშეკავებული გახდებოდა. დარწმუნებული ვარ, ამ წერილს არავინ გაითვალისწინებს, მით უმეტეს I არხის ისეთი ამბიციური, თვითდაჯერებული ხელმძღვანელობა, რომელსაც ოდნავ ობიექტურობა და პოტენციალი რომ ჰქონოდა, I არხი ამ მდგომარეობამდე არ მივიდოდა, "ცაიტნოტი" კი ასეთ ცაიტნოტში არ აღმოჩნდებოდა. ცვლილებებს გვპირდებიან - ჩვენც ველოდებით. თუმცა, როგორ დავიჯერო, რომ ტელევიზიის უცვლელი ხელმძღვანელობა იმას შეძლებს, რაც ამდენი წელი ან არ, ან ვერ გააკეთა. ნუთუ როდისმე I არხი ტელევიზიას დაემსგავსება და არა ნუცას სკოლას, სტუდია - სტუდიას და არა ლტოლვილების მიერ ფიცრებით აჭედილ, ვიღაცის გადაგდებული ავეჯით გავსებულ ოთახს, წამყვანი კი - წამყვანს, და არა საავტორო მონოლოგის შემსრულებელ მსახიობს.

გამოფენა



თბილისი მოდის ქალაქია და ამ ბოლო წლებში ფოტოხელოვნებით გატაცების სერიოზული ტენდენცია თუ მოდა შეიმჩნევა. ფოტოს იღებს ყველა, ვისაც არ ეზარება, ჯგუფურ თუ პერსონალურ გამოფენებს აწყობენ ხმაურიანი ვერნისაჟებით და შამპანურით, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ისე ხშირად შეხვდები მართლა კარგ, ღირებულ ნამუშევარს. უცნაურია, მაგრამ ქართული ფოტომოდისთვის უფრო ღრმა ჩანაფიქრის მქონე, თითიდან გამოწოვილი, ხელოვნური და ხშირად, გემოვნების თვალსაზრისით საკამათო ფოტოებია დამახასიათებელი. ვერ გეტყვით, რომ ამ დარგში დიდად ვერკვევი, მაგრამ ამ კვირაში კინოთეატრ "ამირანში" მოწყობილი გია ფაილოძის ფოტოგამოფენაზე, მარტივად რომ ვთქვა, ვისიამოვნე. ჩემნაირი დილეტანტისთვის ადვილად გასაგები, ლამაზი, კულტურული, გემოვნებიანი და, რაც მთავარია, არაყალბი ფოტოებია იმისა, რაც ყოველი ჩვენგანის გარშემოა, რაც ჩვენს ცხოვრებას, სამყაროს შეადგენს და რასაც ყოველწამიერად ვხედავთ, მაგრამ მხოლოდ კარგ ფოტოხელოვანს შეუძლია ამის სწორად დანახვა, დაფიქსირება და გადმოცემა. რამდენად ბევრ დადებით მუხტს ღებულობ ამგვარ გამოფენაზე, რომლის ექსპოზიციაც, სტუმრებიც და ზოგადი განწყობაც შენთვის ნაცნობი, ახლობელი და ორგანულია. რამდენად სასიამოვნოა, როდესაც შეგიძლია, გამოფენის ავტორს გულწრფელად მიულოცო და შეამჩნიო, რომ იგი ასევე გულწრფელად ღელავს და თითოეული კეთილი სიტყვის მადლიერია. მოკლედ, მე ვისიამოვნე და გირჩევთ, თქვენც ესტუმროთ კინოთეატრ "ამირანს" და გია ფაილოძის გამოფენა დაათვალიეროთ. დამიჯერეთ, ისიამოვნებთ.



გია ფაილოძის ფოტო-ნამუშევარი

# ერთი, ზემოთ აიხედეთ!

აიხედეთ და დაინახავთ, რომ კატასტროფული რაოდენობის და სიმახინჯის მშენებლობების პარალელურად, თბილისის ცენტრში, ფაქტობრივად, ისეთი სახლი არ დარჩა, რომელსაც ზემოდან რამე არ ჰქონდეს დაშენებული. ერთეულები დელიკატურად, არქიტექტორების პროფესიული დახმარებით აშენებენ, ზოგიერთი კი მხოლოდ თავისი გემოვნების, სურვილისა და გაგების შესაბამისად. თუნდაც ერთი პატარა, ვაკეში მდებარე რიგითი ქუჩა ავიღოთ, რომლის ორივე კუთხეში ისეთი დაშენებებია, თითქოს ქალაქის უპატრონობის გარდა, დამშენებელიც უპატრონო, უძირო, უგულო და უკულტუროა. რამდენადაც ბევრი ხმაურია უკანონო მშენებლობების გარშემო ატეხილი, იმდენად ყურადღებას არავინ აქცევს უკვე დაშენებულ და ამ წუთებში მიმდინარე, ასევე უკანონო, დაშენებებს, რომლებიც, თავის მხრივ, არანაკლებ ამახინჯებენ ქალაქს.



კეკელიძის ქუჩაზე, ვაკის და ვერის გასაყარზე მდებარე უზარმაზარ სახლს დღეს, აი ამ წუთებში, თავზე აშენებენ, ოღონდ აი ვინ ან რას - ეს უცნობი და საკითხავია. სადღაც ცაში, ჩიტის ბუდის მსგავსი, თაღისებური ფანჯრებით და მომრგვალებული აივნებით გალამაზებული დაშენება მიმდინარეობს. დღევანდელი გემოვნება, უფრო სწორად კი, უგემოვნობის სტილი, სრულიად დაცულია, რასაც ვერ ვიტყოდი სახლის საერთო სახეზე. ძალიან საინტერესოა, დღეს, უკანონო მშენებლობების და კორუფციის წინააღმდეგ ტოტალური ბრძოლის პერიოდში, ვინ შეითანხმა ამ დაშენების პროექტი, ვინ დაამტკიცა, ნებართვა გასცა და "არწივის ბუდის" იდეა მოიწონა? ამგვარი ნებართვის გაცემისას რითი შეიძლება გაიმართლოს თავი სამშენებლო ბიუროკრატიამ, ვერც ვხვდები! ან დამშენებელს ამ სიმაღლეზე ულოგიკოდ დაწეპებული, არამყარად დადგმული, ჩახუჭუჭებული ბუდე რად უნდა - ალპინისტია, მზეთუნახავია, რომელსაც უფლისწული უნდა მიწვდეს, კოცნით თვალი აუხილოს და გონება დაუბრუნოს, ქეთოა და კოტეს სერენადის გაგონების ცრუ იმედი აქვს, თუ, უბრალოდ, ერთი უკულტურო კაცია, რომელსაც რაღაცა რომ უნდა, იცის, მაგრამ რა, ვერ გაუგია? თუ კეკელიძის ქუჩის ეს სახლი არ მოწონდა და ერთი სული ჰქონდა, როდის დაამახინჯებდა... მაშინ არ ჯობდა, თავიდანვე სხვაგან ეყიდა ბინა, მით უმეტეს, რომ არჩევანი ნამდვილად არის? კაცია და გუნება! ფული აქვს, მთელი ცხოვრება ვაკელ-ვერელობაზე და ამ თავის დროზე "პრესტიჟულ" სახლზე ოცნებობდა. ხოდა, ვისი რა საქმეა - ყველას იყიდის, ბიუროკრატსაც, მთავარ არქიტექტორსაც, ცნობასაც, ნებართვასაც, სახლის მაცხოვრებლებსაც, სანატრელ ვაკეს ზემოდან გადმოხედავს და თუ საჭირო გახდა, კოტეს ან რომეოსაც იშოვის და მერე ნახონ ვაკელებმა, ვისი დრო დადგა და დღეს სერენადებს ვის უმღერიან!

ფრთხილად იყავით, ძალიან მაღლა აფორთხდით და არ ჩამოვარდეთ!

თქვენს მიერ ნაყიდები უკვე მოხსნილები არიან. ჩვენ კი, ძალიან დაგვიანებით, მაგრამ ზემოთ მაინც ამოვიხედეთ და ახლა უკვე თქვენი თავხედობა რისკის ქვეშ აღმოჩნდა. ვაითუ მოგანგრევინოთ? ყოველ შემთხვევაში, ვეცდებით და უკანონო მშენებლობებთან ბრძოლა, ყველაზე ვანდალურ პროექტებზე მოწყობილი გამოფენა-კონკურსი, მექრთამე ბიუროკრატიის დასჯა ფიქცია თუ არ არის, თქვენ, კეკელიძის ქუჩაზე დამშენებელი, ისევ თქვენი კულტურული დონის შესაბამის სიმაღლეზე აღმოჩნდებით, თანაც ცოტა მტკივნეულად. ვაკელებს და ვერელებს არ უყვართ, როდესაც ვინმე თავზე აჯდება!



# R.E.M.-ისა და ჰელენას ახალი პროექტი





შეგახსენებთ, რომ ლამაზმანი სუპერმოდელი ჰელენა კრისტენსენი რამდენიმე ხნის წინ ფოტოგრაფად იქცა. მან თავისი პერსონალური გამოფენაც მოაწყო და კოლეგები ორივე სამყაროდან დაპატიჟა - ფოტოგრაფიულიდანაც და მოდიდანაც. ახლა ის ახალ ფოტოპროექტს ახორციელებს - ჯგუფ R.E.M.-ს მუსიკალურ ტურნეში მიჰყვება პირადი ფოტოგრაფის რანგში. თუმცა, როგორც გაზეთ "სანს" ჯგუფის ლიდერი მაიკლ სტაიპი უცხადებს, ჰელენა სცენაზე არ გამოჩნდება, ის მათთან ერთად არ იმღერებს. "არავითარი საჯარო დუეტები. ჰელენასთან სიმღერის სიამოვნებას საღამოსთვის შემოვინახავთ ხოლმე, როცა ყველანი ერთად სასტუმროს ნომერში შევიკრიბებით და დავლევთ. ჩვენ ბევრს ვსვამთ ხოლმე – ეს არის ერთადერთი ზარალი, რასაც სასტუმროს ვაყენებთ", - დასძენს სტაიპი.

პრინციპში, ჰელენა და R.E.M.-ი უკვე იყვნენ ერთად. სუპერმოდელმა ჯგუფს ბაჰამის კუნძულზე ჩააკითხა, სადაც ისინი ახალ ალბომს იწერენ. უკანდაბრუნებულმა კი გაზეთ "გარდიანში" მაიკლ სტაიპთან მოკლე ინტერვიუ დაბეჭდა. აი, რა თემებზე საუბრობდნენ მეგობრები ბაჰამის ცხელი მზის ქვეშ:

**ჰელენა:** სად იმყოფები ახლა ფიზიკურად და სულიერად?

**მაიკლი:** ფიზიკურად – ვზივარ მაგიდასთან; გარს მაღალი კედლები მარტყია. ვიმყოფები ბაჰამზე, სტუდიაში, სადაც ვიწერ ახალ ალბომს. სულიერად კი ძალიან კარგად ვგრძნობ თავს - მშვიდად.

**ჰელენა:** ღამით რა ფიქრები არ გაძლევს ხოლმე მოსვენებას?

**მაიკლი:** პრინციპში, არც არაფერი. ერთადერთი, სიმღერის გამო ვერ ვისვენებ ხოლმე. თუ რაღაც ახალზე ვმუშაობ, გამუდმებით ამაზე ვფიქრობ. სხვა მხრივ, მართლა მიმართლებს – ძილს არაფერი მიფრთხობს.

**ჰელენა:** ბევრი ფიქრობს, რომ ძალიან სექსუალური ხარ. შენი აზრით, რატომ?

**მაიკლი:** მართლა არ ვიცი. ისე მსიამოვნებს, ამას რომ მეუბნებიან.

**ჰელენა:** როკ-ვარსკვლავი რომ არ ყოფილიყავი, ახლა სად იქნებოდი?

**მაიკლი:** ერთი ვიცი, აქ, ბაჰამზე ვერაფრით ვიქნებოდი. ისე, თუ დავუშვებ იმ აზრს, რომ მუსიკა ასე ძალიან არ მიყვარდეს, მაშინ, ალბათ, ფოტოგრაფი გამოვიდოდი. ეს სფეროც ძალიან მაინტერესებს.

**ჰელენა:** როგორი იქნება შენი ახალი ალბომი?

**მაიკლი:** დანამდვილებით შემიძლია გითხრა, რომ ალბომში არ იქნება რეგეის გავლენით შექმნილი მელოდიები, მხოლოდ იმიტომ, რომ ახლა კარიბულ სამყაროში ვარ.

**ჰელენა:** რომ გითხრან, - აირჩიე ერთი სიმღერა, რომელსაც მობილური ტელეფონის ზარად არ გადააკეთებენო, - რომელს აირჩევდი?

**მაიკლი:** ალბათ, პრინცის Purple Rain-ს, იმიტომ, რომ საშინელება იქნებოდა მისი ზარად გადაკეთება. ანდა Rhapsody in Blue – ნამდვილად ვერ ავიტანდი მობილურ ტელეფონზე მის მოსმენას.

**ჰელენა:** ვინ არიან შენი ოცნების ჯგუფის წევრები?

**მაიკლი:** მხოლოდ მე. ყველაფერს თვითონ გავაკეთებდი, როგორც პრინცი იქცევა. თუმცა, შეიძლება ჯიმი ვები დამეპატიჟებინა ხანდახან - ეგ არის და ეგ.

**ჰელენა:** ვთქვათ, გაქვს იმის ძალა, რომ რომელიმე, წარსულში მომხდარი ერთი ისტორიული მოვლენა თავიდან აიცილო - რას აირჩევდი?

**მაიკლი:** კარგი კითხვაა... ალბათ, რომის იმპერიის დაცემას ავირჩევდი. საინტერესოა, როგორი იქნებოდა სამყარო, რომი რომ არ დაცემულიყო...

თუმცა, რომი დაეცა და ქვეყანას R.E.M. მოევლინა. სანამ ტურნე დაიწყებოდეს ჰელენა კრისტენსენის თანხლებით, ჯგუფის ხილვა ახლად გამოსულ ციფრულ ვიდეო დისკზე შეგიძლიათ (სათაურით "სრულყოფილი წრე").

## დაიანა როსი - 60

### სოულის დედოფალი



[illegible] Stop! In The Name of Love. 1967 წელს [illegible] 1969 წლიდან [illegible] Ain't No Mountain High Enough [illegible] - Endless Love. [illegible] 1999 წელს [illegible]

### ბიოგრაფიული ფაქტები

[illegible] 1964-1996 წლებში [illegible] 2000 წელს [illegible]

© GRAPHIC NEWS

## სკანვორდი



## TV პროგრამა

27 მარტი

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **08.30** მულტსერიალი **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.20** მულტფილმი **11.00** ლუისი და კლარკი **12.20** "სიმფსონები" **12.50** მხ. ფილმი **15.20** ველური სამყაროს ამბები **16.10** მხ. ფილმი **17.05** "დისკავერი" **18.00, 01.00** კურიერი **18.20** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **19.00** დოკ. ფილმი "თანამედროვე ტექნოლოგიები" **19.30** სერიალი "სერიული მკვლელობები" **21.00** კურიერი **PS 22.00** საოჯახო ტოტო **23.00** "ფსიქო": "გაიცანით ჯონ დოუ". რეჟ. ფრენკ კაპრა. **01.20** მხ. ფილმი "ფრენკი და ჯონი". მთ. რ-ში: ალ პაჩინო, მიშელ ფაიფერი.

**07.00, 09.00,** 11.00(კანადა)**13.00,** 16.00(ბელგია) **21.00,** 23.30(ფრანს2) **01.00,** 03.00(შვეიცარია) 03.30(აფრიკა) **05.00** საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** საინფორმაციო გამოშვებები. **08.00** ჩაი თუ ყავა **09.30** ტელედილა. **11.25** აღმოჩენა. ქათმის გრიპი. **13.15** მაშას არჩევანი. მხ.ფილმი.**15.05** რომ დამეწერა...ალექსანდრე ხოდოროვსკი **17.30** სიგარეტის მწეველები გილენ შენუსთან ერთად. **20.05** დირიჟორობის ხელოვნება. დოკ.ფილმი. **21.30** კრიმინალი. მხ. ფილმი **22.25** დ დიზაინი. **23.00** ასმათები. დოკ. ფილმი.

### პირველი არხი

**08.00, 15.00, 20.00, 23.30** მოამბე **08.15** მხ. ფილმი "ნაპოვნი დრო" **09.30** დოკ. სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **10.00** დილის პაემანი **11.05** მხიარული კარუსელი **11.35** მოგზაურობა სასიტყვეთში **12.05** გლობუსი **12.35** პოზიცია **13.20** კვალი **13.50** დოკ. ფილმი "წყვილები და დუეტები" **14.25** საქართველო, დრო, მოვლენები **15.15** პარლამენტის არჩევნები **17.15** დოკ. სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **17.30** საწინდარი **18.00** ვესტნიკი **18.45** სახსოვარი **19.15** "თბილისის დროით" **19.35** ისტორიანი **20.35** ცაიტნოტი **21.45** ფორტუნა **22.25** პროფათეული **23.00** ამბობენ **23.50** მხ. ფილმი "ორფეოსი" **01.45** ღამის ჯაზი

### პირველი სტერეო

**07.30** მუსიკა **10.00** ტოროლა **13.00** ქართული მუსიკა **15.00** ინფორმატორი **15.20** ფილმი "მახე მშობლებისთვის". მთ.რ-ში ლინდსი ლოხანი, დენის ქუეიდი. **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ბრავო" "სხვა სამყარო" მთ. რ-ში კეიტ ბეკინსეილი, მაიკლ შინი. **01.50** "ღამურა" **03.45** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** მულტფილმი "მულანი" **10.20** საბ. სერიალი "დრაკონის ბეჭედი" **11.30** დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" **12.00** საფეხბურთო მიმოხილვა **12.30** სერიალი "ფანტაზიების კუნძული" **13.30** დღის კინოდარბაზი **14.00, 17.00, 20.50** საინფ. გამოშვება "მზერა" **18.05** სერიალი "მისტერ მკვლელობა" **19.00** ფეხბურთი. პრემიერ ლიგა. "ჩელსი"-"ვოლვერჰემპტონი" **21.20** ფეხბურთი მზეზე **21.50** მხ. ფილმი "შეთქმულების თეორია" (მელ გიბსონი) **23.30** მხ. ფილმი "ფსიქო" (ენტონი პარკინსი)

### მეორე არხი

**19.10** მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი" **19.30** ჯანმრთელობა **20.00** მხ. ფილმი "ჰოროსკოპი" **21.30** მუს. ოქტაგონი **22.15** მხ. ფილმი "დორიან გრეი"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "უკანასკნელი მოჰიკანი" **14.00** მხ. ფილმი "ნიქსონი" **16.00** მხ.ფილმი "პრეზიდენტის თვითმფრინავი" **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** საბ. გადაცემა "ნაცნობი ადამიანების უცნობი წლები" **19.40** მუსიკა **21.00** მხ. ფილმი "ცისფერი კრუიზი" **22.30** მხ. ფილმი "ქალაღდის ჯარისკაცები" **00.20** მხ. ფილმი "სიღრმეში"

### მეცხრე არხი

**08.25** მხ. ფილმი "სათამაშო" **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.35** მხ. ფილმი "ქალაქი ზერო" **13.20** ცხელი ცხრიანი **14.00** მულტსერიალი "ბანანების ზოოპარკი" **14.30, 17.30, 20.30, 00.45** დღის ამბები **14.50** მუსიკა **15.10** სერიალი "პატარა აინშტაინები" **15.35** სერიალი "ზურგის ქარი" **16.35** დოკ. სერიალი "კუდიანი ამბები" **17.00** მხ. სერიალი "ჰორასი და თინა" **18.00** მულტსერიალი "ბანანების ზოოპარკი" **18.30** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** კონცერტი **20.00** "ტელემეტრი" **21.30** მხ. სერიალი "ქალბატონი გამომძიებელი" მე-2ს. **23.00** საუბრები სტუდიაში **23.50** სერიალი "ალმასები" მე-2ს. **01.00** მხ. ფილმი "კეი-პექსი" (კევინ სპეისი)

### იმედი

**09.00, 13.00, 15.00, 17.00** ქრონიკა **09.15** სერიალი "ტყუპები" **10.05** ანიმაც. ფილმი "მითიური მეომრები" **10.30** "ნბა"-ს ჟურნალი **11.05** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **12.00** საიმედო ლოტო (პირ. ეთერი) **12.30** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.10** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.35** მხ. ფილმი "ამაზონი" **15.15** კალათბურთში საქართველოს თასის ფინალი. თბილისის "დინამო"-"ჯეოსელი" **17.05** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **17.55, 01.20** იმედის მელოდიები **18.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი

### არხი

**08.00** ანონსი, დიალოგი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 02.00** ახალი ამბები **15.15** მხ. ფილმი **20.30** ლიტერატ. გადაცემა - სილუეტი **21.00** დოკ. ფილმი **22.45** მხ. ფილმი **00.40** მხ. ფილმი

### არხი

**08.00** მუსიკა **09.00** საინფორმაციო დაიჯესტი **09.30** დოკუმენტური ფილმი **10.20** ფილმი-ზღაპარი "ჩიპოლინო" **11.40** მუსიკა **12.00, 14.00, 16.00, 18.00** საინფ. გამ. "დღეს" **12.10** "პოზიცია" **13.00, 17.00, 19.00, 22.30, 00.20** საინფ.გამოშვება "ნოვოსტი" **13.10** კომედია "რისხვის მართვა" **16.10** მულტფილმი "კორტი მალტეზი" **18.10** კომედია "გზაჯვარედინები" **19.50, 04.00** მუსიკა **20.00, 22.00, 00.00** საინფ. გამ. "დღეს" **20.10** თრილერი "ინტაქტო" **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.20** "Слово" **00.40** მხ. ფილმი "წყალქვეშა ნავი" **04.35** მელოდრამა "სონისა და შერის ისტორია"

### ОРТ

**07.00, 11.00, 13.00, 19.00** Новости **07.10** Сериал "Все путешествия команды Кусто" **07.40** Петр Вельяминов в фильме **"Хищники" 09.20** Играй, гармонь любимая! **10.00** Слово пастыря **10.10** Здоровье **11.10** "Смак" **11.30** "Возвращение домой. Вячеслав Бутусов. Красноярск" **12.10** Дог-шоу **13.10** История с географией. "Стервятники морей" **14.10** Программа передач на вчера **15.00** Дисней-клуб: "Тимон и Пумба" **15.30** Умницы и умники **16.10** "Интересное кино". "Позднее счастье Кузнецова Юрия" **17.00** Николай Рыбников в фильме **"Высота" 18.50** Классика Уолта Диснея. Золотые годы Микки Мауса **19.10** "Шутка за шуткой" **20.00** "Магия. Разоблачение" **21.00** "Кто хочет стать миллионером?" **22.00** Время **22.20** "Розыгрыш" **23.55** "Золотой Граммофон" **00.55** Кевин Спейси в фильме **"Красота по-американски" 04.10** Алек Болдуин в фильме **"В поисках Ричарда" 06.10** Цирковые династии. "Секреты Кио"

### РТР

**07.00** Юрий Никулин в фильме **"КО МНЕ, МУХТАР!" 08.25** "Том и Джерри". Мультсериал **08.45** Золотой ключ **09.05** Русское лото **09.45** "Большая перемена" **10.10** Утренняя почта **10.45** Сам себе режиссер **11.40** Звезды России в игре "Форт Боярд" **13.15** В поисках приключений **14.15** Клуб сенаторов **15.00** Вести **15.20** Всеволод Санаев в детективе **"ВЕРСИЯ ПОЛКОВНИКА ЗОРИНА" 17.00 Футбол. Чемпионат России. "Зенит"** (Санкт-Петербург) **- "Сатурн"** (Моск. обл.) **19.00** "Бенефис Клары Новиковой". Часть 1-я. **21.00** Вести **21.25** Зеркало **21.50** "Честный детектив" **22.20** Аншлаг **23.20** Сильвестр Сталлоне в фильме **"ТАКСИ-3" 00.00** Энтони Хопкинс в фильме **"ГАННИБАЛ" 04.40** Комедия Рене Клера **"ГАЛАНТНЫЕ ПРАЗДНЕСТВА"**

### НТВ

**06.55** Роджер Мур в фильме **"ЧЕЛОВЕК С ЗОЛОТЫМ ПИСТОЛЕТОМ" 09.00, 13.00, 17.00** "Сегодня" **09.20** "Улица Сезам". **09.45** "Та-ра-рам!" **10.00** "Без рецепта". Доктор Бранд. **10.30** Обозреватель. **11.05** Кулинарный поединок: Николай Фоменко - Антон Турчин. **12.00** Квартирный вопрос: окно в сад. **13.20** "Дикий мир: пещерные бесы". Экспедиция Тимофея Баженова. **14.10** Вкусные истории. **14.20** Джин Хэкман в детективе **"УЗКАЯ ГРАНЬ" 16.20** Криминальная Россия: неутомимый заказчик. **17.20** "Женский взгляд". Александр Буйнов. **17.55 Сериал "МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ". 11с. 19.00** Своя игра. **20.00** "Личный вклад" **21.00** Фильм Дениса Евстигнеева **"ЗАЙМЕМСЯ ЛЮБОВЬЮ". 22.50** Стивен Болдуин в боевике **"БЕГЛЕЦЫ" 00.55** Доминик Суэйн в фильме **"СМЕРТЬ В ВОДЕ" 02.40** Двое в городе. **04.05** "Ночные музы". "Стиль от..." Ренаты Литвиновой

# იმედის არომატი

## სურნელოვანი მარკო პოლო უკვე თბილისშია



თამარ ბაბუაძე

თითქმის 40-წლიანი მოგზაურობის შემდეგ მარკო პოლო ჩვენთანაც ჩამოვიდა და საშუალო ფენის ძიებას შეუდგა.

ცნობილი სავაჭრო კომპანიის სახეს ამოფარებულმა ცნობილმა მოგზაურმა მიზნის მიღწევა სპეციალური სურნელოვანი სითხით დაიწყო. სითხეს "ფიუარ მორნინგ" ("წმინდა დილა") ჰქვია და მარკო პოლოს გათვლით, ყნოსვა აუცილებლად უნდა გაულიზიანოს საშუალო ფენის მოსახლეობას, იგივე ინტელექტუალურ და მშრომელ ელიტას.

მიზნის განხორციელებას ის ერთი დიდი პარფიუმერული კონგლომერატის "კოსმოპოლიტან კოსმეტიკსის" გავლით ცდილობს. ეს კომპანია განაგებს "გუჩის", "როშას", "დანჰილის" და კიდევ ბევრი სხვა ცნობილი სავაჭრო ნიშნის ქვეშ დამზადებული სუნამოების ბედსაც და მათ შორის არის ჩვენთან "ყნოსვით დეტექტორად" მოვლენილი "ფიუარ მორნინგიც".

სურნელის ეფექტურად "მუშაობას" მაღაზიათა ქსელი "ისი პარი" უზრუნველყოფს. სუნამოს პრეზენტაციაზე ჟურნალისტებს განგვიმარტეს, რომ "ფიუარ მორნინგ"-ი ევროპული კლასიფიკაციით "აფერ ბრიჯ" კლასს მიეკუთვნება, რაც ჩვენთან საშუალო ფენას ნიშნავს. ამ მომხმარებელზე გათვლილი სურნელი კი აქამდე "ისი პარის" არ ჰქონია, ანუ არაფერი იყო საკმაოდ ძვირ ფასიან სიამოვნებებს – "შანელს", "გუჩს", "ბუშერონს", "ივ სენ ლორანს" და შედარებით იაფიან – "ნაომი კემპბელს" ანდა "სინდი კროუფორდს" შორის. "მარკ ო`პოლოს" მიერ მოვლენილი "ფიუარ მორნინგი" სწორედ ამ სიცარიელის ამოვსებას დაიწყებს, სანამ სხვები არ შეუერთდებიან.

თუმცა, აქვე უნდა დავიმახსოვროთ, რომ "ფიუარ მორნინგის" მისია – მიიზიდოს საშუალო კლასის საზოგადოება, სულაც არ ამცირებს მის ხარისხს. პირიქით, "მარკ ო`პოლოს" სწორედ თავისი მაღალი ხარისხითა და დახვეწილი გემოვნებით იცნობენ ევროპულ ქვეყნებში.

1967 წელს, სტოკჰოლმში დაარსებული ეს სავაჭრო ნიშანი განსაკუთრებით პოპულარულია გერმანულენოვან ქვეყნებსა და სკანდინავიაში. მან სახელი თავიდანვე გაითქვა, ბუნებრივი ნედლეულით და მაღალი ხარისხის პროდუქციით. თანდათან სამოღვაწეო არეალიც გააფართოვა და დღეს ტანსაცმლის რამდენიმე ცნობილი ხაზით ერთად ფლობს ფეხსაცმელების, სათვალეებისა და სხვა აქსესუარების ცნობილ კოლექციებს. მისი რანგის კონკურენტებად მსოფლიო ბაზარზე რალფ ლორენის "პოლო", ტომი ჰილფიგერი და დონა კარანი მოიაზრებიან – ანუ, ისინი, რომლებიც ზრუნავენ ყოველდღიურ ჩაცმულობაზე, აქსესუარებზე და სუნამოებზე, მაგრამ ამ საქმეს მაინც შემოქმედებითად უდგებიან და საქმეშიც მუდამ მაღალი ხარისხის ნედლეულს იყენებენ.

2001 წელს "მარკ ო`პოლოში" სუნამოების წარმოებაც დაიწყეს. პირველ სუნამოს "მარკ ო`პოლო" ეწოდა – ალბათ, იმიტომ, უკეთ რომ მომხდარიყო სურნელის ცნობილ ბრენდთან იდენტიფიკაცია. მეორე არომატი კი უკვე ჩვენთან შემოსული "ფიუარ მორნინგი" გახლავთ. ის სულ ახალი სურნელია – 2004 წელს გამოშვებული და, ალბათ, საუკეთესოდ გამოხატავს ბრენდის სულისკვეთებას – უბრალოებას, ინდივიდუალურობას, ბუნებრიობას.

რაც ყველაზე მთავარია, "ფიუარ მორნინგი" ნამდვილი საგაზაფხულო არომატია – გამაგრილებელი, პოზიტიური ენერგიით სავსე და ნაზი. ის ტყუპი სუნამოა, ანუ ერთდროულად იყიდება მამაკაცებისა და ქალებისთვის. კაცების სურნელს თვითონ შემქმნელი, დელფინ ლებე ასე ახასიათებს: "მარკ ო`პოლო ფიუარ მორნინგს" მივეცი ყინულის სიცივე, მდუღარე წყლის სიწმინდე და იშვიათი ხეების ძლიერება; რადგან ჩემთვის წყალი და ხე გახლავთ ბუნების ძლიერებისა და ენერგიულობის სიმბოლო". იგივე სუნამოს ქალური ვარიანტი უფრო ნაზია. ამ არომატის პირველი შესუნთქვა სიგრილის განცდას იწვევს, შემდეგ სინაზის, ბოლოს კი იმედის გრძნობაც ჩნდება.

"ფიუარ მორნინგი" სწორედ იმედიანი სურნელია. ქალების ვერსიის ავტორი ურსულა ვენდელი აცხადებს კიდეც, რომ "მარკ ო`პოლოს" ახალი სუნამო ადამიანებს უბრუნებს დიდი ხნის წინ დავიწყებულ სიხარულს, რომელსაც ყოველი დღის გათენებისას უნდა განვიცდიდეთ წესით, მაგრამ რუტინად ქცეული ყოველდღიურობის გამო ხშირად გვავიწყდება. ასე რომ, გამოდის – "ფიუარ მორნინგი" დილის სურნელია – თუ დღეს მასთან ერთად დაიწყებთ, დადებითი ენერგიით აღივსებთ, - იქვე დასძენენ მისი შემქმნელები და ზაფხულისთვის "ფიუარ მორნინგის" ახალ ვერსიას ამუშავებენ. "მიდ სამერ" – ასე ჰქვია მესამე "მარკ ო`პოლოს", რომელსაც საქართველოს საშუალო ფენაზე მონადირე (და იმედია, არა ამაოდ) მოგზაური ჩვენთანაც აუცილებლად შემოიტანს.

# სრულყოფილად "ნირვანაზე"



პირველ აპრილს ლეგენდარული როკ-ჯგუფის, "ნირვანას" შესახებ, ახალი წიგნი - Nirvana: The Chosen Rejects გამოვა.

გამოცემის ქვესათაურია - "ყველაზე სრულყოფილი წიგნი "ნირვანას" თაყვანისმცემლებისთვის" და მისი ავტორები დამოუკიდებელი კინორეჟისორი კურტ ტომასი და რადიოს ვეტერანი დი-ჯეი ტროი სმიტი არიან. ეს ორი ადამიანი წლების განმავლობაში აგროვებდა ჯგუფთან და მის წევრებთან დაკავშირებულ მრავალფეროვან ინფორმაციას. წიგნში გამოყენებულია სმიტის საარქივო მასალებიც. თავის დროზე იგი ხშირად იღებდა ინტერვიუებს "ნირვანას" სამივე წევრისგან.

წიგნში ავტორები ცდილობენ, გააანალიზონ ჯგუფის პოპულარობისა და შემოქმედებითი კრიზისის მიზეზები. უხვად არის მსგავსი ტიპის წიგნებისთვის დამახასიათებელი მომენტები – ბიოგრაფიული მონაცემები, სტუდიაში მუშაობის სიტუაციები; განხილულია ის იდეები, რომლებიც საფუძვლად დაედო "ნირვანას" სიმღერებს; დაბოლოს, სწორედ ამ წიგნშია ყველაზე სრული ჩამონათვალი იმ სიმღერების, რომლებიც ოდესმე შეუსრულებია "ნირვანას".

Save the Children USA

## კონკურსი

### სცენარისტებისათვის - ბავშვთა ტოლერანტობის საგანმანათლებლო პროექტი

**"Save the Children"** (ფედერაცია - გადავარჩინოთ ბავშვები) აცხადებს სცენარისტთა კონკურსს ბავშვთა სატელევიზიო სერიებისათვის.

სატელევიზიო სერიები მიზნად ისახავს ბავშვებში ტოლერანტობისა და კრიტიკული აზროვნების უნარის გამომუშავებას პიროვნებათაშორისი და საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრის საქმეში, ასევე კულტურათაშორისი ურთიერთობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას. სერიალი გამიზნულია 5-11 წლის ბავშვებისათვის, რათა ხელი შეუწყოს ისეთი ღირებულებების ჩამოყალიბებას, როგორიც არის ადამიანთა პატივისცემა, სწრაფვა მშვიდობისა და დემოკრატიისაკენ.

სატელევიზიო სერიებში გამოყენებული იქნება საქართველოში შექმნილი თოჯინები.

სცენარის ავტორი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე და უნდა ფლობდეს ქართულ და რუსულ ენებს.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ ბავშვთა ტოლერანტობის საგანმანათლებლო პროექტის კოორდინატორს მარინა Uუშვერიძეს. სატელეფონო ზარები მიიღება ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 15სთ-იდან 17სთ-მდე,

ტელ: 99 64 00; 99 54 54; 93 11 08; 99 65 48.

მის: **"Save the Children"**, თბილისი, ბარათაშვილის ქ. 8, III სართ.

ელ-ფოსტა: marina@save.org.ge

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24

საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი
"რუსული კლუბი"

წარმოგიდგენთ

ალექსანდრე ვერტინსკის იუბილესადმი მიძღვნილ სპექტაკლს

"ყვითელი ანგელოზი"

29 მარტი
5, 12,19, 26 აპრილი
"თავისუფალი თეატრი"

დასაწყისი 19.00 საათზე
ცნობებისათვის დარეკეთ ტელ: 93-43-36 98-58-21



განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
■ კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი.
■ საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word.
■ აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
■ ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა.
■ ოპერაციული სისტემა Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61




# წამალი "სალხინო"

## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

